
ქენევის 1949 წლის 12 აგვისტოს კონვენცია ომის
დროს
სამოქალაქო მოსახლეობის დაცვის შესახებ

ჟენევის 1949 წლის კონვენციები და მათი დამატებითი ოქმები.

წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი, 2008 წ. 390 გვ.

ჟენევის ოთხი კონვენცია წარმოადგენს საერთაშორისო ხელშეკრულებებს, რომელთა მონაწილეც თითქმის ყველა სახელმწიფოა.

კონვენციები იცავს მოქმედ ჯარში დაჭრილებსა და ავადმყოფებს, საზღვაო შეიარაღებულ ძალებში დაჭრილებს, ავადმყოფებსა და ხომალდის დაღუპვაში მოყოლილ პირებს, სამხედრო ტყვეებს, აგრეთვე, სამოქალაქო მოსახლეობას, რომელიც საერთაშორისო კონფლიქტის დროს აღმოჩნდა უცხო სახელმწიფოს მიერ კონტროლირებულ ტერიტორიაზე. ჟენევის ოთხივე კონვენციისათვის საერთო მე-3 მუხლი უზრუნველყოფს არასაერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის მსხვერპლთა მინიმალურ დაცვას.

I დამატებითი ოქმი ეხება და განსაზღვრავს საერთაშორისო შეიარაღებულ კონფლიქტებს და ადგენს სამხედრო მოქმედებების შედეგებისაგან სამოქალაქო მოსახლეობის დაცვის პრინციპებს. II დამატებითი ოქმი ავსებს და ავრცობს არასაერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის მსხვერპლთა დაცვის პრინციპს. III დამატებითი ოქმი კი ეხება დამატებითი განმასხვავებელი ემბლემის მიღებას.

წითელი ჯვრის
საერთაშორისო კომიტეტი
2008 წელს



ICRC

**ქენევის 1949 წლის 12 აგვისტოს კონვენცია ომის დროს
სამოქალაქო მოსახლეობის დაცვის შესახებ**

**პარი I
ზოგადი დებულებები**

მუხლი 1	–	კონვენციის პატივისცემა	155
მუხლი 2	–	კონვენციის გამოყენება	155
მუხლი 3	–	საერთაშორისო ხასიათის არმქონე კონფლიქტები	155
მუხლი 4	–	დაცვის ქვეშ მყოფ პირთა განმარტება	156
მუხლი 5	–	დაცვის შეზღუდვა	157
მუხლი 6	–	გამოყენების დასაწყისი და დასასრული	158
მუხლი 7	–	სპეციალური შეთანხმებები	158
მუხლი 8	–	უფლებებზე უარის თქმის დაუშვებლობა	158
მუხლი 9	–	მფარველი სახელმწიფოები	159
მუხლი 10	–	წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის საქმიანობა	159
მუხლი 11	–	მფარველი სახელმწიფოების შემცვლელი	159
მუხლი 12	–	მორიგების პროცედურა	160

პარი II

**ზოგადი ხასიათის დებულებები ომის ბარკვეული შედეგებისგან
მოსახლეობის დაცვის შესახებ**

მუხლი 13	–	II კარის გამოყენების სფერო	161
მუხლი 14	–	ჰოსპიტალური და უსაფრთხოების ზონები და ადგილები	161
მუხლი 15	–	განეიტრალებული ზონები	162
მუხლი 16	–	დაჭრილები და ავადმყოფები: I. დებულებები ზოგადი დაცვის შესახებ	162
მუხლი 17	–	II. ევაკუაცია	162
მუხლი 18	–	III. საავადმყოფოების დაცვა	163
მუხლი 19	–	IV. საავადმყოფოების დაცვის შეწყვეტა	163
მუხლი 20	–	V. საავადმყოფოს პერსონალი	164
მუხლი 21	–	VI. სახმელეთო და საზღვაო ტრანსპორტი	164
მუხლი 22	–	VII. საჰაერო ტრანსპორტი	165
მუხლი 23	–	სამედიცინო საშუალებების, საკვებისა და ტანსაცმლის პარტიები	165
მუხლი 24	–	ბავშვთა კეთილდღეობასთან დაკავშირებული ზომები	166
მუხლი 25	–	ცნობები ოჯახის შესახებ	166
მუხლი 26	–	განცალკევებული ოჯახები	167

პარი III
დაცვის ქვეშ მყოფ პირთა სტატუსი და მოპყრობა

ნაწილი I

სამართო დებულებები კონფლიქტის მონაწილე მხარეთა ტერიტორიებისა და ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ

მუხლი 27	-	მოპყრობა:	
		I. ზოგადი დებულებები	167
მუხლი 28	-	II. სახიფათო ზონები	168
მუხლი 29	-	III. პასუხისმგებლობა	168
მუხლი 30	-	მფარველი სახელმწიფოებისა და დახმარების ორგანიზაციებისადმი მიმართვა	168
მუხლი 31	-	იძულების აკრძალვა	169
მუხლი 32	-	ფიზიკური დასჯის, წამების, ა.შ. აკრძალვა	169
მუხლი 33	-	ინდივიდუალური პასუხისმგებლობა, კოლექტიური სასჯელები, ძარცვა, რეპრესალიები	169
მუხლი 34	-	მძევლები	169

ნაწილი II

კონფლიქტის მონაწილე მხარის ტერიტორიაზე მყოფი უცხოელები

მუხლი 35	-	ტერიტორიის დატოვების უფლება	170
მუხლი 36	-	რეპატრიაციის მეთოდი	170
მუხლი 37	-	პატიმრობაში მყოფი პირები	171
მუხლი 38	-	არარეპატრირებული პირები:	
		I. ზოგადი დებულებები	171
მუხლი 39	-	II. საარსებო საშუალებები	171
მუხლი 40	-	III. დასაქმება	172
მუხლი 41	-	IV. საცხოვრებელზე მიმაგრება. ინტერნირება	172
მუხლი 42	-	V. ინტერნირების ან საცხოვრებელზე მიმაგრების საფუძვლები. ნებაყოფლობითი ინტერნირება	173
მუხლი 43	-	VI. პროცედურა	173
მუხლი 44	-	VII. დტოლვილები	173
მუხლი 45	-	VIII. სხვა სახელმწიფოსთვის გადაცემა	174
მუხლი 46	-	შემზღუდავი ზომების გაუქმება	174

ნაწილი III
ოკუპირებული ტერიტორიები

მუხლი 47	–	უფლებების შელახვის დაუშვებლობა	175
მუხლი 48	–	რეპატრაციის განსაკუთრებული შემთხვევები ...	175
მუხლი 49	–	დეპორტაცია, გადაცემა, ევაკუაცია	175
მუხლი 50	–	ბავშვები	176
მუხლი 51	–	სამხედრო სამსახურში შესვლა. დასაქმება	177
მუხლი 52	–	მომუშავე პირთა დაცვა	177
მუხლი 53	–	განადგურების აკრძალვა	178
მუხლი 54	–	მოსამართლეები და საჯარო მოხელეები	178
მუხლი 55	–	საკვები და სამედიცინო საშუალებები მოსახლეობისთვის	178
მუხლი 56	–	ჰიგიენა და ჯანმრთელობის დაცვა	179
მუხლი 57	–	საავადმყოფოების რეკვიზიცია	179
მუხლი 58	–	სასულიერო დახმარება	179
მუხლი 59	–	დახმარება: I. ერთობლივი დახმარება	180
მუხლი 60	–	II. ოკუპანტი სახელმწიფოს პასუხისმგებლობები ..	180
მუხლი 61	–	III. დისტრიბუცია	180
მუხლი 62	–	IV. ინდივიდუალური დახმარება	181
მუხლი 63	–	წითელი ჯვრის ეროვნული საზოგადოება და დახმარების სხვა საზოგადოებები	181
მუხლი 64	–	სისხლისსამართლებრივი კანონმდებლობა: I. ზოგადი დებულებები	181
მუხლი 65	–	II. გამოქვეყნება	182
მუხლი 66	–	III. უფლებამოსილი სასამართლოები	182
მუხლი 67	–	IV. მოქმედი სამართლის ნორმები	182
მუხლი 68	–	V. სასჯელები. სიკვდილით დასჯა	183
მუხლი 69	–	VI. პატიმრობაში გატარებული დროის სასჯელის ვადიდან გამოკლება	183
მუხლი 70	–	VII. ოკუპაციამდე ჩადენილი სამართალდარღვევები	184
მუხლი 71	–	სისხლისსამართლებრივი პროცედურა: I. ზოგადი დებულებები	184

მუხლი 72	-	II. დაცვის უფლება	185
მუხლი 73	-	III. გასაჩივრების უფლება	185
მუხლი 74	-	IV. მფარველი სახელმწიფოს მიერ დახმარება	185
მუხლი 75	-	V. სასიკვდილო განაჩენი	186
მუხლი 76	-	დაკავებულთან მოპყრობა	186
მუხლი 77	-	დაკავებულთა გადაცემა ოკუპაციის დასრულებისას	187
მუხლი 78	-	უსაფრთხოების ზომები. ინტერნირება და საცხოვრებელზე მიმაგრება. გასაჩივრების უფლება	187

ნაწილი IV

ინტერნირებულთან მოპყრობის წესები

თავი I

ზოგადი დებულებები

მუხლი 79	-	ინტერნირების შემთხვევები და მოქმედი დებულებები	188
მუხლი 80	-	სამოქალაქო უფლებაუნარიანობა	188
მუხლი 81	-	რჩენა	188
მუხლი 82	-	ინტერნირებულთა დაჯგუფება	188

თავი II

ინტერნირების აღბილები

მუხლი 83	-	ინტერნირების აღბილების მდებარეობა. ბანაკების აღნიშვნა	189
მუხლი 84	-	განცალკევებული ინტერნირება	189
მუხლი 85	-	განთავსება, ჰიგიენა	189
მუხლი 86	-	რელიგიური რიტუალების ჩასატარებელი აღბილები	190
მუხლი 87	-	სურსათ-სანოვაგის მაღაზიები	190
მუხლი 88	-	საპაერო თავდასხმისგან თავშესაფრები. დამცავი ღონისძიებები	191

თავი III

კვება და ტანსაცმელი

მუხლი 89	-	კვება	191
მუხლი 90	-	ტანსაცმელი	192

თავი IV

ჰიგიენა და სამედიცინო დახმარება

მუხლი 91	-	სამედიცინო დახმარება	192
მუხლი 92	-	სამედიცინო გამოკვლევები	193

თავი V

რელიგიური, ინტელექტუალური და ფიზიკური საქმიანობა

მუხლი 93	-	რელიგიური წეს-ჩვეულებები	193
მუხლი 94	-	დასვენება, სწავლა, სპორტი და გართობა	194
მუხლი 95	-	სამუშაო პირობები	195
მუხლი 96	-	სამუშაო რაზმები	196

თავი VI

პირადი ნივთიები და ფულადი სახსრები

მუხლი 97	-	ძვირფასეულობა და პირადი ნივთები	196
მუხლი 98	-	ფულადი სახსრები და ინდივიდუალური ანგარიშები	197

თავი VII

ხელმძღვანელობა და დისციპლინა

მუხლი 99	-	ბანაკის ხელმძღვანელობა, კონვენციისა და ბრძანებების გამოკერა	198
მუხლი 100	-	ზოგადი დისციპლინა	198
მუხლი 101	-	საჩივრები და შუამდგომლობები	199
მუხლი 102	-	ინტერნირებულთა კომიტეტები: I. წევრების არჩევა	199
მუხლი 103	-	II. მოვალეობები	199
მუხლი 104	-	III. უფლებამოსილებანი	200

თავი VIII

ბარე სამყაროსთან ურთიერთობა

მუხლი 105	-	შეტყობინება მიღებული ზომების შესახებ	200
მუხლი 106	-	ბარათი ინტერნირების შესახებ	200
მუხლი 107	-	კორექსონდენცია	201
მუხლი 108	-	დახმარების გზავნილები: I. ზოგადი პრინციპები	201
მუხლი 109	-	II. კოლექტიური დახმარება	202
მუხლი 110	-	III. საფოსტო და სატრანსპორტო ხარჯებისგან გათავისუფლება	202
მუხლი 111	-	ტრანსპორტირების სპეციალური საშუალებები ...	203
მუხლი 112	-	ცენზურა და შემოწმება	204
მუხლი 113	-	იურიდიული დოკუმენტების აღსრულება და გადაცემა	204
მუხლი 114	-	საკუთრების განკარგვა	205
მუხლი 115	-	საქმების მოსამზადებელი და ჩასატარებელი ადგილები	205
მუხლი 116	-	ვიზიტები	205

თავი IX

სისხლისსამართლებრივი და დისციპლინური ზომები

მუხლი 117 – ზოგადი დებულებები. მოქმედი კანონმდებლობა 205

მუხლი 118 – სასჯელები 206

მუხლი 119 – დისციპლინური დასჯა 206

მუხლი 120 – გაქცევა 207

მუხლი 121 – გაქცევასთან დაკავშირებული დანაშაულები 207

მუხლი 122 – გამოძიება. საქმის მოსმენამდე პატიმრობა 207

მუხლი 123 – უფლებამოსილი ორგანოები. პროცედურა 208

მუხლი 124 – დისციპლინური ზომების აღსასრულებელი
სათავსები 208

მუხლი 125 – ძირითადი გარანტიები 209

მუხლი 126 – დებულებები სამართალწარმოების შესახებ 209

თავი X

ინტერნირებული ბადაცემა

მუხლი 127 – პირობები 209

მუხლი 128 – მეთოდი 210

თავი XI

ინტერნირებული ბარდაცვალება

მუხლი 129 – ანდერძები. გარდაცვალების მოწმობები 211

მუხლი 130 – დაკრძალვა. კრემაცია 211

მუხლი 131 – განსაკუთრებულ გარემოებებში მოკლული ან
დაშავებული ინტერნირებულები 212

თავი XII

ბათავისუფლება. რეპატრაცია და ბანთავსება ნეიტრალურ ქვეყნებში

მუხლი 132 – საბრძოლო მოქმედებების ან ოკუპაციის დროს .. 212

მუხლი 133 – საბრძოლო მოქმედებების დასრულების შემდეგ 212

მუხლი 134 – რეპატრაცია და საბოლოო საცხოვრებელ ადგილზე
დაბრუნება 213

მუხლი 135 – ხარჯები 213

ნაწილი V

ცნობათა ბიურო და ცენტრალური სააბმენტო

მუხლი 136 – ეროვნული ბიურო 214

მუხლი 137 – ინფორმაციის გადაცემა 214

მუხლი 138 – სავალდებულო დაწვრილებითი ინფორმაცია 215

მუხლი 139 – პირადი ნივთების გადაგზავნა 215

მუხლი 140	–	ცენტრალური სააგენტო	215
მუხლი 141	–	ხარჯებისგან განთავისუფლება	216

პარი IV
კონვენციის შესრულება

ნაწილი I
ზოგადი დებულებები

მუხლი 142	–	დახმარების საზოგადოებები და სხვა ორგანიზაციები	217
მუხლი 143	–	ზედამხედველობა	217
მუხლი 144	–	კონვენციის გავრცელება	218
მუხლი 145	–	თარგმანები. გამოყენების წესები	218
მუხლი 146	–	სისხლისსამართლებრივი სანქციები: I. ზოგადი დებულებები	218
მუხლი 147	–	II. უხეში დარღვევები	219
მუხლი 148	–	III. ხელშემკვრელი მხარეების პასუხისმგებლობა	219
მუხლი 149	–	გამოძიების პროცედურა	220

ნაწილი II
დასკვნითი დებულებები

მუხლი 150	–	ენები	220
მუხლი 151	–	ხელმოწერა	220
მუხლი 152	–	რეტიფიკაცია	220
მუხლი 153	–	ძალაში შესვლა	221
მუხლი 154	–	ჰააგის კონვენციებთან მიმართება	221
მუხლი 155	–	მიერთება	221
მუხლი 156	–	შეტყობინება მიერთების შესახებ	221
მუხლი 157	–	დაუყოვნებლივ ძალაში შესვლა	221
მუხლი 158	–	დენონსაცია	222
მუხლი 159	–	გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში რეგისტრაცია	222

დანართი I

შეთანხმების პროექტი სანიტარული და უსაფრთხოების ზონებისა და ადგილების შესახებ	223
---	-----

დანართი II

წესების პროექტი სამოქალაქო ინტერნირებულთა კოლექტიური დახმარების შესახებ	226
--	-----

დანართი III

ბარათი ინტერნირების შესახებ	229
წერილი	230
კორესპონდენციის ბარათი	231

ომის დროს სამოქალაქო მოსახლეობის დაცვის შესახებ კონვენციის შესამუშავებლად, 1949 წლის 21 აპრილიდან 12 აგვისტოს ჩათვლით ვენევაში მიმდინარე დიპლომატიური კონფერენციის მონაწილე მთავრობათა ქვემოთ ხელისმომწერი უფლებამოსილი წარმომადგენლები შეთანხმდნენ შემდეგზე:

პარი I
თავი I
ზოგადი დებულებები

მუხლი 1

მაღალი ხელშემკვრელი მხარეები ვალდებულებას კისრულობენ ნებისმიერ გარემოებაში შეასრულონ და უზრუნველყონ წინამდებარე კონვენციის შესრულება.

მუხლი 2

იმ დებულებათა გარდა, რომლებიც უნდა მოქმედებდეს მშვიდობიან დროს, წინამდებარე კონვენცია გამოიყენება გამოცხადებული ომის ყველა შემთხვევაში ან ნებისმიერი სხვა სახის შეიარაღებული კონფლიქტის დროს, რომელიც შეიძლება წარმოიშვას ორ ან რამდენიმე მაღალ ხელშემკვრელ მხარეს შორის, მაშინაც კი, როცა ერთ-ერთი მხარე არ ცნობს საომარ მდგომარეობას.

კონვენცია აგრეთვე გამოიყენება მაღალი ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიის ნაწილობრივი ან მთლიანი ოკუპაციის ყველა შემთხვევაში, მაშინაც კი, როცა აღნიშნულ ოკუპაციას შეიარაღებულ წინააღმდეგობას არ უწევს.

თუ კონფლიქტის მონაწილე ერთ-ერთი სახელმწიფო არ არის წინამდებარე კონვენციის მხარე, ის სახელმწიფოები, რომლებიც კონვენციის მხარეები არიან, ერთმანეთს შორის ურთიერთობებში კვლავაც კონვენციით შეზღუდულნი რჩებიან. ამასთან, ისინი კონვენციით შეზღუდულნი იქნებიან ზემოაღნიშნული სახელმწიფოს მიმართაც, თუ ეს უკანასკნელი ცნობს და გამოიყენებს მის დებულებებს.

მუხლი 3

ერთ-ერთი ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე მიმდინარე საერთაშორისო ხასიათის არმქონე შეიარაღებული კონფლიქტის დროს კონფლიქტის მონაწილე ყოველი მხარე ვალდებულია გამოიყენოს, სულ მცირე, შემდეგი დებულებანი:

(1) პირები, რომლებიც უშუალოდ არ მონაწილეობენ საომარ მოქმედებებში, შეიარაღებული ძალების წარმომადგენელთა ჩათვლით, რომლებმაც დაყარეს იარაღი და რომლებიც ავადმყოფობის, დაჭრის, დაკავების ან ნებისმიერი სხვა მიზეზის გამო აღარ მონაწილეობენ საომარ მოქმედებებში, ყველა შემთხვევაში უნდა სარგებლობდნენ ჰუმანური მოპყრობით რასის, კანის ფერის, რელიგიის ან რწმენის, სქესის, წარმომავლობის, ქონებრივი მდგომარეობის ან ნებისმიერ სხვა მსგავს კრიტერიუმზე დაფუძნებული ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე.

ამ მიზნით, აკრძალულია და ყველგან და ყოველთვის, აკრძალული იქნება ზემოაღნიშნულ პირთა მიმართ შემდეგი ქმედებების განხორციელება:

(ა) პირის სიცოცხლისა და ფიზიკური ხელშეუხებლობის ხელყოფა, კერძოდ, ნებისმიერი სახის მკვლელობა, დასახინჩრება, სასტიკი მოპყრობა და წამება;

(ბ) მძევლად აყვანა;

(გ) ღირსების შელახვა, კერძოდ, შეურაცხყოფელი და დამამცირებელი მოპყრობა;

(დ) სამართალში მიცემა და სასჯელის აღსრულება სათანადო წესით დაფუძნებული სასამართლოს მიერ გამოტანილი წინასწარი სასამართლო გადაწყვეტილების გარეშე, ცივილიზებული თანამეგობრობის მიერ სავალდებულოდ აღიარებული სასამართლო გარანტიების გათვალისწინებით;

(2) დაჭრილებსა და ავადმყოფებს თავი უნდა მოუყარონ და აღმოუჩინონ სათანადო დახმარება.

მიუკერძოებელ ჰუმანიტარულ ორგანიზაციას, მაგალითად წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტს, შეუძლია კონფლიქტის მონაწილე მხარეებს შესთავაზოს თავისი სამსახური.

გარდა ამისა, კონფლიქტის მონაწილე მხარეები შეეცდებიან, სპეციალური შეთანხმებების გზით შეასრულონ წინამდებარე კონვენციის ყველა ან ცალკეული დებულება.

ზემოაღნიშნულ დებულებათა გამოყენებას არ ექნება გავლენა კონფლიქტის მონაწილე მხარეთა სამართლებრივ სტატუსზე.

მუხლი 4

წინამდებარე კონვენცია იცავს იმ პირებს, რომლებიც კონფლიქტის ან ოკუპაციის დროს, ამა თუ იმ მიზეზის გამო, დროის გარკვეულ მონაკვეთში იმყოფებიან კონფლიქტის მონაწილე იმ მხარის ან ოკუპანტი სახელმწიფოს ხელში, რომლის მოქალაქეებიც ისინი არ არიან.

კონვენციის არამონაწილე სახელმწიფოს მოქალაქეები არ სარგებლობენ მოცემული კონვენციის დაცვით. ნეიტრალური ან თანამეომარი

სახელმწიფოს მოქალაქეები, რომლებიც ერთ-ერთი მეომარი ქვეყნის ტერიტორიაზე იმყოფებიან, დაცვით ვერ ისარგებლებენ მანამდე, სანამ იმ სახელმწიფოს, რომლის მოქალაქეებიც ისინი არიან, რეგულარული დიპლომატიური წარმომადგენლობა ეყოლება იმ სახელმწიფოში, რომლის ხელისუფლებაშიც იმყოფებიან მოცემული პირები.

მიუხედავად ამისა, როგორც ეს მე-13 მუხლშია განსაზღვრული, II კარის დებულებანი უფრო ფართოდ გამოიყენება.

პირები, რომლებიც იმყოფებიან მოქმედ ჯარში დაჭრილთა და ავადმყოფთა მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ ჟენევის 1949 წლის 12 აგვისტოს კონვენციის, ან საზღვაო შეიარაღებულ ძალებში დაჭრილთა, ავადმყოფთა და ხომალდის დაღუპვაში მოყოლილ პირთა მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ ჟენევის 1949 წლის 12 აგვისტოს კონვენციის, ან სამხედრო ტყვეებთან მოპყრობის შესახებ ჟენევის 1949 წლის 12 აგვისტოს კონვენციის დაცვის ქვეშ, წინამდებარე კონვენციის დაცვის ქვეშ მყოფ პირებად არ ჩაითვლებიან.

მუხლი 5

კონფლიქტის მონაწილე მხარის ტერიტორიაზე მყოფ იმ პირს, რომელიც წინამდებარე კონვენციის დაცვით სარგებლობს და რომლის შესახებაც კონფლიქტის მონაწილე ამ მხარეს კანონიერი საფუძველი აქვს იფიქროს, რომ იგი მისი უშიშროებისათვის საზიანო საქმიანობას ეწევა, ან როდესაც ამგვარი საქმიანობა უკვე დამტკიცებულია, არ ექნება წინამდებარე კონვენციით განსაზღვრული იმ უფლებებითა და უპირატესობებით სარგებლობის უფლება, რომელთა ამ პირისათვის მინიჭებაც მოცემულ სახელმწიფოს ზიანს მიაყენებს.

თუ ოკუპირებულ ტერიტორიაზე ჯაშუშობის ან დივერსიის გამო წინამდებარე კონვენციის დაცვის ქვეშ მყოფ პირს დააკავენ, ან თუ ის კანონიერადაა ეჭვიმტანილი ოკუპანტი სახელმწიფოს უშიშროებისათვის საზიანო მოღვაწეობაში, სამხედრო უშიშროების უცილობელი მოსაზრებებით, შესაძლებელია ჩამოართვან წინამდებარე კონვენციით მინიჭებული კავშირის დამყარების უფლება.

მიუხედავად ამისა, თითოეულ შემთხვევაში, ასეთი პირები ჰუმანური მოპყრობით ისარგებლებენ, ხოლო სასამართლოს წესით დევნის შემთხვევაში მათ არ ჩამოერთმევათ წინამდებარე კონვენციით გათვალისწინებული სამართლიანი და სტანდარტული სამართალწარმოების უფლება. ამასთანავე, შეძლებისამებრ უმოკლეს ვადაში მათ სრულად მიენიჭებათ ამ სახელმწიფოს ან სათანადო შემთხვევაში ოკუპანტი სახელმწიფოს უშიშროების ზომების შესაბამისი ყველა ის უფლება და უპირატესობა, რომელსაც წინამდებარე კონვენცია ითვალისწინებს დაცვის ქვეშ მყოფი პირებისათვის.

მუხლი 6

წინამდებარე კონვენცია მოქმედებას იწყებს მე-2 მუხლში მითითებული ნებისმიერი კონფლიქტის ან ოკუპაციის დაწყების მომენტიდან.

კონფლიქტის მონაწილე მხარეების ტერიტორიებზე წინამდებარე კონვენციის მოქმედება სრულდება საომარი მოქმედებების მთლიანად დამთავრების შემდეგ.

კონვენციის მოქმედება ოკუპირებულ ტერიტორიებზე დასრულდება საომარი მოქმედების დამთავრებიდან ერთი წლის შემდეგ; თუმცა, ოკუპანტი სახელმწიფო ვალდებულია, რომ, ოკუპაციის პერიოდში, იმ მოცულობით, რომლითაც იგი ამ ტერიტორიაზე მთავრობის ფუნქციებს ასრულებს, დაიცვას წინამდებარე კონვენციის 1-12-ე, 27-ე, 29-34-ე, 47-ე, 49-ე, 51-ე, 52-ე, 53-ე, 59-ე, 61-77-ე და 143-ე მუხლები.

დაცვის ქვეშ მყოფი პირები, რომელთა გათავისუფლება, რეპატრაცია ან ხელახალი განთავსებაც განხორციელდება ამ ვადების შემდეგ, მთელი ამ დროის განმავლობაში ისარგებლებენ წინამდებარე კონვენციის დაცვით.

მუხლი 7

მე-11, მე-14, მე-15, მე-17, 36-ე, 108-ე, 109-ე, 132-ე, 133-ე და 149-ე მუხლებით საგანგებოდ გათვალისწინებული შეთანხმებების გარდა, მაღალ ხელშემკერულ მხარეებს შეუძლიათ დადონ სხვა სპეციალური შეთანხმებები ნებისმიერ საკითხზე, რომლის განსაკუთრებულად მოგვარებასაც ისინი მიზანშეწონილად ჩათვლიან. არც ერთმა ასეთმა სპეციალურმა შეთანხმებამ ზიანი არ უნდა მიაყენოს დაცვის ქვეშ მყოფი პირების წინამდებარე კონვენციით განსაზღვრულ მდგომარეობას, ასევე არ უნდა შეზღუდოს კონვენციით მათთვის მინიჭებული უფლებები.

დაცვის ქვეშ მყოფი პირები სარგებლობენ ამ შეთანხმებებით მინიჭებული უპირატესობებით მანამ, სანამ მათზე ვრცელდება კონვენციის მოქმედება, გამონაკლისია შემთხვევები, როდესაც ზემოაღნიშნული ან მომდევნო შეთანხმებები შეიცავს მკაფიოდ გამოხატულ საპირისპირო დებულებებს, ან აღნიშნულ პირთა მიმართ კონფლიქტის მონაწილე რომელიმე მხარის მიერ უფრო ხელსაყრელი ღონისძიებებია გამოყენებული.

მუხლი 8

დაცვის ქვეშ მყოფ პირებს არავითარ შემთხვევაში არ შეუძლიათ მთლიანად ან ნაწილობრივ განაცხადონ უარი იმ უფლებებზე, რომლებიც მათთვის წინამდებარე კონვენციითა და წინა მუხლში გათვალისწინებული სპეციალური შეთანხმებების არსებობის შემთხვევაში – თუ ისინი ამგვარ დებულებებს შეიცავენ – არის უზრუნველყოფილი.

მუხლი 9

წინამდებარე კონვენციის გამოყენება ეფუძნება იმ მაღალი ხელშემკვრელი მხარეების თანამშრომლობასა და კონტროლს, რომელთაც ეკისრებათ კონფლიქტის მონაწილე მხარეების ინტერესთა დაცვა. ამ მიზნით, მფარველ სახელმწიფოებს, თავიანთი დიპლომატიური ან საკონსულო პერსონალის გარდა, შეუძლიათ საკუთარი ან სხვა ნეიტრალური სახელმწიფოს მოქალაქეთაგან დელეგატების დანიშვნა. ამ დელეგატების დასანიშნად საჭიროა იმ ქვეყნის თანხმობა, სადაც მათ მისია უნდა შეასრულონ.

კონფლიქტის მონაწილე მხარეებმა მფარველი სახელმწიფოს წარმომადგენლებს ან დელეგატებს მუშაობის განხორციელებისას შესაძლებლობების ფარგლებში მაქსიმალურად უნდა შეუწყონ ხელი.

მფარველი სახელმწიფოების წარმომადგენლები ან დელეგატები არავითარ შემთხვევაში არ უნდა გასცდნენ მათი მისიის წინამდებარე კონვენციით განსაზღვრულ ფარგლებს. კერძოდ, მათ მხედველობაში უნდა მიიღონ იმ სახელმწიფოს უსაფრთხოების აუცილებელი მოთხოვნები, სადაც თავიანთ მისიას ასრულებენ.

მუხლი 10

წინამდებარე კონვენციის დებულებები დაბრკოლებას არ წარმოადგენს სამოქალაქო მოსახლეობის დაცვისა და მათთვის დახმარების აღმოჩენის მიზნის მქონე ჰუმანიტარული საქმიანობისათვის, რომელიც, კონფლიქტის მონაწილე დაინტერესებული მხარეების თანხმობით, შეიძლება განახორციელოს წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტმა ან ნებისმიერმა სხვა მიუკერძოებელმა ჰუმანიტარულმა ორგანიზაციამ.

მუხლი 11

მაღალ ხელშემკვრელ მხარეებს ნებისმიერ დროს შეუძლიათ შეთანხმდნენ, რომ სრული მიუკერძოებლობის და ქმედითობის გარანტიის მიმცემ ორგანიზაციას ანდონ წინამდებარე კონვენციით მფარველი სახელმწიფოსათვის დაკისრებული მოვალეობების შესრულება.

თუ წინამდებარე კონვენციით დაცულ პირებზე რაიმე მიზეზით არ ვრცელდება ან აღარ ვრცელდება მფარველი სახელმწიფოს ან პირველ პარაგრაფში მითითებული ორგანიზაციის საქმიანობა, სახელმწიფომ, რომლის ხელისუფლებაშიც იმყოფებიან დაცვის ქვეშ მყოფი პირები, თხოვნით უნდა მიმართოს ნეიტრალურ სახელმწიფოს ან ასეთ ორგანიზაციას, რათა მან თავის თავზე აიღოს კონფლიქტის მონაწილე მხარეების მიერ დასახელებული მფარველი სახელმწიფოს წინამდებარე კონვენციით გათვალისწინებული ფუნქციების შესრულება.

თუ ამგვარი გზით ვერ მოხერხდება მფარველობის განხორციელება,

სახელმწიფომ, რომლის ხელისუფლებაშიც იმყოფებიან დაცვის ქვეშ მყოფი პირები, წინამდებარე მუხლის დებულებათა გათვალისწინებით, თხოვნით უნდა მიმართოს, ან მიიღოს რომელიმე ჰუმანიტარული ორგანიზაციის, როგორცაა წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი, წინადადება თავის თავზე აიღოს წინამდებარე კონვენციის მიხედვით მფარველი სახელმწიფოებისათვის დაკისრებული ჰუმანიტარული ფუნქციების შესრულება.

ამ მიზნით დაინტერესებული სახელმწიფოს მიერ მოწვეული ან საკუთარი სამსახურის შემთავაზებელი ნებისმიერი ნეიტრალური სახელმწიფო ან ორგანიზაცია პასუხისმგებლობის გრძნობით უნდა მოქმედებდეს კონფლიქტის მონაწილე იმ მხარის მიმართ, რომელზეც დამოკიდებულნი არიან წინამდებარე კონვენციის დაცვის ქვეშ მყოფი პირები, და წარმოადგინოს საკმარისი გარანტიები იმისა, რომ მას შეუძლია შესაბამისი ფუნქციების თავის თავზე აღება და მათი მიუკერძოებლად შესრულება.

დაუშვებელია ზემოაღნიშნული დებულებების დარღვევა სახელმწიფოთა შორის დადებული სპეციალური შეთანხმებებით, როცა საომარი მდგომარეობის გამო, თუნდაც დროებით, შეზღუდულია ერთ-ერთი ამ სახელმწიფოს შესაძლებლობა თავისუფლად აწარმოოს მოლაპარაკება სხვა სახელმწიფოსთან ან მის მოკავშირეებთან, განსაკუთრებით მაშინ, თუ ამ სახელმწიფოს მთელი ტერიტორია ან მისი მნიშვნელოვანი ნაწილი ოკუპირებულია.

წინამდებარე კონვენციაში მფარველი სახელმწიფოს სახელწოდებაში ყველგან იგულისხმება წინამდებარე მუხლით გათვალისწინებული მისი შემცველი ორგანიზაცია.

ამ მუხლის დებულებები გავრცელდება და გამოიყენება ნეიტრალური სახელმწიფოს მოქალაქეების მიმართ, რომლებიც იმყოფებიან ოკუპირებულ ტერიტორიაზე ან მეომარი სახელმწიფოს ტერიტორიაზე, რომელშიც სახელმწიფოს, რომლის მოქალაქეები ისინი არიან, რეგულარული დიპლომატიური წარმომადგენლობა არა აქვს.

მუხლი 12

მფარველი სახელმწიფოები ყოველთვის, როდესაც დაცვის ქვეშ მყოფი პირების ინტერესებიდან გამომდინარე ამას მიზანშეწონილად ჩათვლიან, განსაკუთრებით კი კონფლიქტის მონაწილე მხარეთა შორის ამ კონვენციის დებულებათა გამოყენების ან განმარტების თაობაზე უთანხმოების შემთხვევაში, კეთილ სამსახურს გაუწევენ მხარეებს უთანხმოებათა მოსაგვარებლად.

ამ მიზნით, თითოეულ მფარველ სახელმწიფოს შეუძლია ერთ-ერთი მხარის თხოვნით ან საკუთარი ინიციატივით შესთავაზოს კონფლიქტის მონაწილე მხარეების წარმომადგენლების, კერძოდ, დაცვის ქვეშ მყოფ პირებზე პასუხისმგებელ ხელისუფალთა შეხვედრა შესაბამისად

შერჩეულ ნეიტრალურ ტერიტორიაზე. კონფლიქტის მონაწილე მხარეები ვალდებული არიან მსვლელობა მისცენ ამ თვალსაზრისით მათთვის შეთავაზებული წინადადებების შესრულებას. საჭიროების შემთხვევაში, მფარველ სახელმწიფოებს შეუძლიათ კონფლიქტის მონაწილე მხარეებს მხარდასაჭერად წარუდგინონ ნეიტრალური სახელმწიფოს წარმომადგენელი ან წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის მიერ დელეგირებული პირი, რომელიც მიწვეულ იქნება აღნიშნულ შეხვედრაში მონაწილეობის მისაღებად.

პარი II

ზოგადი ხასიათის დეკლარაციები ომის გარკვეული შედეგების-
ბან
მოსახლეობის დაცვის შესახებ

მუხლი 13

II კარის დებულებები უნდა გავრცელდეს კონფლიქტის მონაწილე სახელმწიფოების მთელ მოსახლეობაზე რასის, ეროვნების, რელიგიის ან პოლიტიკური შეხედულების საფუძველზე ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე და ხელი უნდა შეუწყოს ომით მიყენებული ტანჯვის შემსუბუქებას.

მუხლი 14

მშვიდობიან პერიოდში მაღალ ხელშემკვრელ მხარეებს და საომარი მოქმედებების დაწყების შემდგომ – კონფლიქტის მონაწილე მხარეებს, შეუძლიათ თავის ტერიტორიაზე, ხოლო საჭიროების შემთხვევაში ოკუპირებულ ტერიტორიაზეც, შექმნან სანიტარული და უსაფრთხოების ზონები და ადგილები, რომლებიც იმგვარად უნდა იყოს მოწყობილი, რომ საომარი მოქმედებებისაგან დაიცვას დაჭრილები, ავადმყოფი და ასაკოვანი პირები, თხუთმეტ წლამდე ასაკის ბავშვები, ფეხმძიმე ქალები და შვიდ წლამდე ასაკის ბავშვთა დედები.

საომარი მოქმედებების დაწყებისა და მიმდინარეობისას დაინტერესებულ მხარეებს შეუძლიათ დადონ შეთანხმებები მათ მიერ შექმნილი ზონებისა და ადგილების ურთიერთცნობის შესახებ. ამ მიზნით, მათ შეუძლიათ ისარგებლონ წინამდებარე კონვენციაზე თანდართული შეთანხმების პროექტში მითითებული დებულებებით, იმ ცვლილებებით, რომელთა შეტანასაც აუცილებლად ჩათვლიან.

მფარველი სახელმწიფოები და წითელი ჯვრის საერთაშორისო კო-

მიტეტი მოწვეული იქნებიან კეთილი სამსახურის გასაწევად ასეთი სანიტარიული და უსაფრთხოების ზონებისა და ადგილების შექმნისა და ცნობის გასაადვილებლად.

მუხლი 15

კონფლიქტის მონაწილე ყოველ მხარეს უშუალოდ ან ნეიტრალური სახელმწიფოს ან ჰუმანიტარული ორგანიზაციის მეშვეობით, შეუძლია მიმართოს მოწინააღმდეგე მხარეს წინადადებით, რათა საომარი მოქმედებების რაიონებში შეიქმნას ნეიტრალური ზონები, საომარ მოქმედებებთან დაკავშირებულ საფრთხეთაგან შემდეგი პირების განურჩევლად დასაცავად:

(ა) დაჭრილი და ავადმყოფი კომბატანტები და არაკომბატანტები;

(ბ) სამოქალაქო მოსახლეობა, რომელიც არ მონაწილეობს საომარ მოქმედებებში და ამ ზონებში ყოფნის დროს სამხედრო სახის სამუშაოს არ ასრულებს.

როგორც კი კონფლიქტის მონაწილე მხარეები შეთანხმდებიან ნეიტრალური ზონის ადგილსამყოფლის, ხელმძღვანელობის, მომარაგებისა და ზედამხედველობის შესახებ, კონფლიქტის მონაწილე მხარეთა წარმომადგენლები შეადგენენ და ხელს მოაწერენ წერილობით ხელშეკრულებას. აღნიშნული შეთანხმებით დადგინდება ზონის ნეიტრალურობის დასაწყისი და ხანგრძლივობა.

მუხლი 16

დაჭრილები და ავადმყოფები, ისევე როგორც ინვალიდები და ფეხმძიმე ქალები განსაკუთრებული დაცვითა და მფარველობით ისარგებლებენ.

რამდენადაც ეს საომარი მოქმედებებიდან გამომდინარე იქნება შესაძლებელი, კონფლიქტის მონაწილე თითოეული მხარე ხელს შეუწყობს დაჭრილთა და გარდაცვლილთა მოძიებას, დახმარებას გაუწევს ხომალდის დაღუპვაში მოყოლილ პირებს და იმ პირებს, რომელთაც სერიოზული საფრთხე ემუქრებათ და დაიცავს მათ გაძარცვისა და უდიერად მოპყრობისგან.

მუხლი 17

კონფლიქტის მონაწილე მხარეები შეეცდებიან დადონ ადგილობრივი შეთანხმებები ალყაშემორტყმული ან გარემოცული ადგილებიდან დაჭრილების, ავადმყოფების, ინვალიდების, მოხუცების, ბავშვებისა და მშობიარეების ევაკუაციისა და ამ ადგილებში ყველა აღმსარებლობის

სასულიერო პირის, სამედიცინო პერსონალისა და სანიტარიული აღჭურვილობის გადაადგილების შესახებ.

მუხლი 18

დაუშვებელია დაჭრილების, ავადმყოფების, ინვალიდებისა და მშობიარეების დასახმარებლად ორგანიზებულ სამოქალაქო საავადმყოფოებზე ნებისმიერ გარემოებებში თავდასხმის განხორციელება. კონფლიქტის მონაწილე მხარეებისაგან ისინი ყოველთვის პატივისცემითა და დაცვით უნდა სარგებლობდნენ.

კონფლიქტის მონაწილე სახელმწიფოები ყველა სამოქალაქო საავადმყოფოს უზრუნველყოფენ მოწმობით, რომელშიც აღნიშნული იქნება, რომ ეს სამოქალაქო საავადმყოფოები და მათ მიერ დაკავებული შენობები ისეთი მიზნებისათვის არ გამოიყენება, რომელთა გამოც მათ მე-19 მუხლის თანახმად შეიძლება განსაზღვრულ დაცვაზე უარი ეთქვას.

სამოქალაქო საავადმყოფოები სახელმწიფოთა შესაბამისი ნებართვის საფუძველზე აღინიშნება მოქმედ ჯარში დაჭრილთა და ავადმყოფთა მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ ჟენევის 1949 წლის 12 აგვისტოს კონვენციის 38-ე მუხლში მითითებული ემბლე-მით.

კონფლიქტის მონაწილე მხარეები, რამდენადაც ეს საომარი მოქმედებებიდან გამომდინარე იქნება შესაძლებელი, მიიღებენ ყველა აუცილებელ ზომას, რათა ყოველგვარი აგრესიის თავიდან ასაცილებლად მოწინააღმდეგის სახმელეთო, საჰაერო და საზღვაო ძალები სამოქალაქო საავადმყოფოების აღმნიშვნელ განმასხვავებელ ნიშნებს მკაფიოდ ხედავდნენ.

იმ საშიშროების გათვალისწინებით, რომელიც შეიძლება დაემუქროს სამხედრო ობიექტებთან ახლომდებარე საავადმყოფოებს, რეკომენდებულია მათი ამ ობიექტებისგან რაც შეიძლება მოშორებულ ადგილებში განლაგება.

მუხლი 19

დაცვა, რომლითაც სარგებლობენ სამოქალაქო საავადმყოფოები, მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება შეწყდეს, თუ მათ ჰუმანიტარული ვალდებულებების შესრულების გარდა იყენებენ მოწინააღმდეგის წინააღმდეგ მიმართული მოქმედებების განსახორციელებლად. თუმცა, დაცვა წყდება მხოლოდ შესაბამისი გაფრთხილების შემდეგ, რომელიც ყველა საჭირო შემთხვევაში აწესებს გონივრულ ვადას და სრულდება მხოლოდ მას შემდეგ, რაც ამგვარმა გაფრთხილებამ შედეგი არ გამოიღო.

მოწინააღმდეგის წინააღმდეგ მიმართულ მოქმედებად არ ჩაითვლება ამ საავადმყოფოებში დაჭრილი ან ავადმყოფი სამხედრო მოსამსახურეების მკურნალობა ან მათთვის ჩამორთმეული იმ პირადი იარაღისა და საბრძოლო მასალების შენახვა, რომელიც სათანადო ორგანოებს ჯერ არ ჩაბარებია.

მუხლი 20

დაცვითა და მფარველობით ისარგებლებენ პირები, რომლებიც სისტემატურად და მხოლოდ და მხოლოდ სამოქალაქო საავადმყოფოების მომსახურებით და ადმინისტრაციით არიან დაკავებული, იმ პერსონალის ჩათვლით, რომელიც ახორციელებს დაჭრილი და ავადმყოფი სამოქალაქო პირების ან ინვალიდებისა და მშობიარეების მოძიებას, შეგროვებას, ტრანსპორტირებასა და მკურნალობას.

ოკუპირებულ ტერიტორიაზე და საომარი მოქმედებების ზონებში ზემოაღნიშნული პერსონალის გამორჩევა ხდება პირადობის მოწმობით, რომელშიც მითითებულია მფლობელის სტატუსი, ჩაკრულია ფოტოსურათი და დასმულია პასუხისმგებელ ხელისუფალთა რელიეფური ბეჭედი. სამსახურებრივი მოვალეობების შესრულების დროს პერსონალი მარცხენა ხელზე ბეჭედდარტყმულ, ნესტის გამძლე სამკლავურს ატარებს, რომელსაც სახელმწიფო გასცემს და რომელზეც აღიბეჭდება მოქმედ ჯარში დაჭრილთა და ავადმყოფთა მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ უენევის 1949 წლის 12 აგვისტოს კონვენციის 38-ე მუხლში მითითებული ემბლემა.

სხვა პერსონალს, რომელიც ემსახურება სამოქალაქო საავადმყოფოებს და მათ ადმინისტრირებას აწარმოებს, პატივს სცემენ და იცავენ; მას უფლება აქვს ზემოაღნიშნული და ამ მუხლის დებულებების შესაბამისი სამკლავური იმ დრომდე ატაროს, ვიდრე მას ამგვარი მოვალეობების შესასრულებლად იყენებენ. მათ პირადობის მოწმობაში უნდა აღინიშნოს, თუ რა მოვალეობებს ასრულებენ ისინი.

ყველა სამოქალაქო საავადმყოფოს ადმინისტრაცია ვალდებულია, შესაბამისი ეროვნული ან საოკუპაციო ხელისუფლებისათვის წარსადგენად მზად ჰქონდეს მოცემულ მომენტში საავადმყოფოში მომუშავე ასეთი პერსონალის სია.

მუხლი 21

დაჭრილი და ავადმყოფი სამოქალაქო პირების, ინვალიდებისა და მშობიარეთა ტრანსპორტირება, რომელიც განხორციელდება ხმელეთზე სატრანსპორტო კოლონებით და სანიტარიული მატარებლებით ან ზღვაზე ამგვარი ტრანსპორტირებისათვის განკუთვნილი ხომალდებით, ისეთივე დაცვითა და პატივისცემით უნდა სარგებლობდეს, როგორც

ეს მე-18 მუხლში მითითებული საავადმყოფოებისთვისაა გათვალისწინებული. სატრანსპორტო საშუალებები, სახელმწიფოთა თანხმობის საფუძველზე უნდა აღინიშნოს მოქმედ ჯარში დაჭრილთა და ავადმყოფთა მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ ჟენევის 1949 წლის 12 აგვისტოს კონვენციის 38-ე მუხლში მითითებული განმასხვავებელი ემბლემით.

მუხლი 22

აკრძალულია თავდასხმა საჰაერო ხომალდებზე, რომლებიც მხოლოდ დაჭრილი და ავადმყოფი სამოქალაქო პირების, ინვალიდების, მშობიარეთა ან სამედიცინო პერსონალის გადასაცემად და სანიტარული აღჭურვილობის გადასახიდად გამოიყენება. ისინი პატივისცემით უნდა სარგებლობდნენ მხოლოდ იმ პირობით, რომ კონფლიქტის მონაწილე ყველა მხარეს შორის შეთანხმებულ სპეციალურად განსაზღვრულ სიმაღლეზე, დროსა და მარშრუტით იფრენენ.

ისინი შეიძლება აღინიშნოს მოქმედ ჯარში დაჭრილთა და ავადმყოფთა მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ ჟენევის 1949 წლის 12 აგვისტოს კონვენციის 38-ე მუხლით გათვალისწინებული განმასხვავებელი ემბლემით.

თუ სხვაგვარად არ არის შეთანხმებული, მოწინააღმდეგის ან მის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე ფრენა აკრძალულია.

ამგვარი საჰაერო ხომალდები უნდა დაემორჩილონ დაშვების ნებისმიერ მოთხოვნას. მოთხოვნის საფუძველზე დაშვების შემთხვევაში, შესაძლო შემოწმების შემდეგ, საჰაერო ხომალდი ფრენის გაგრძელებას შეძლებს თავისი მგზავრებითურთ.

მუხლი 23

ყოველი მაღალი ხელშემკვრელი მხარე თავისუფლად გაატარებს სამედიცინო და სანიტარული საშუალებების ან რელიგიური მსახურებისათვის აუცილებელი საგნების შემცველ ყველა გზავნილს, რომელიც მხოლოდ სხვა მაღალი ხელშემკვრელი მხარის სამოქალაქო მოსახლეობისთვისაა განკუთვნილი, თუნდაც ეს მხარე მისი მოწინააღმდეგე იყოს. ასევე თავისუფლად უნდა გატარდეს საკვები პროდუქტების, ტანსაცმლისა და მატონიზებელი საშუალებების შემცველი ყველა ამანათი, რომელიც თხუთმეტ წლამდე ასაკის ბავშვების, ორსული ქალებისა და მშობიარეებისთვისაა განკუთვნილი.

ხელშემკვრელი მხარის ვალდებულება – თავისუფლად გაატაროს წინა პარაგრაფში მითითებული ყველა გზავნილი – დამოკიდებულია იმაზე, დარწმუნდა თუ არა მოცემული სახელმწიფო, რომ არ არსებობს სერიოზული საფუძველი ივარაუდოს შემდეგი:

- (ა) გზავნილები შეიძლება დანიშნულების ადგილას არ მოხვდეს;
- (ბ) კონტროლი შეიძლება იყოს არაეფექტური;
- (გ) გზავნილის გატარებამ შეიძლება გარკვეულწილად ხელი შეუწყოს მოწინააღმდეგე მხარის სამხედრო ძალის ან ეკონომიკის აღმავლობას, თუ გზავნილის შემადგენელი საგნები ცვლიან საქონელს, რომელიც, სხვა შემთხვევაში ამ სახელმწიფოს უნდა ეწარმოებინა, ან თუ იგი ამ საქონლის წარმოებისათვის საჭირო ნედლეულს, საგნებსა და სამუშაო ძალას გამოათავისუფლებს.

პირველ პარაგრაფში მითითებულმა სახელმწიფომ, რომელიც თანახმაა გზავნილების გატარებაზე, დათანხმების პირობად შეიძლება გზავნილების მოსარგებლეთა შორის განაწილებისას მფარველი სახელმწიფოს მიერ ადგილზე კონტროლის განხორციელება მოითხოვოს.

ასეთი გზავნილების გადაგზავნა რაც შეიძლება სწრაფად უნდა განხორციელდეს და მათი თავისუფლად გატარებისათვის თანხმობის მიმცემ სახელმწიფოს უფლება აქვს დააწესოს გადაგზავნისათვის საჭირო ტექნიკური პირობები.

მუხლი 24

კონფლიქტის მონაწილე მხარეები აუცილებელ ზომებს მიიღებენ, რათა თხუთმეტ წლამდე ასაკის დაობლებული ან ომის შედეგად ოჯახს დაცილებული ბავშვები საკუთარი თავის ანაბრად არ დარჩნენ და ხელი შეეწყონ მათზე ზრუნვას და მათ რელიგიასა და აღზრდასთან დაკავშირებული მოვალეობების შესრულებას. მათი აღზრდა, შესაძლებლობის ფარგლებში უნდა დაეკისროთ მსგავსი კულტურული ტრადიციის აღამიანებს.

მფარველი სახელმწიფოს არსებობის შემთხვევაში მისი თანხმობით და იმის გარანტიით, რომ პირველ პარაგრაფში მითითებული პრინციპები სათანადოდ შესრულდება კონფლიქტის მონაწილე მხარეები ხელს შეუწყობენ კონფლიქტის მსვლელობის პერიოდში აღნიშნული ბავშვების ნეიტრალურ ქვეყანაში განთავსებას.

გარდა ამისა, ამოსაცნობი მედალიონით ან ნებისმიერი სხვა საშუალების გამოყენებით, ისინი შეეცდებიან დაადგინონ თორმეტ წლამდე ასაკის ყველა ბავშვის ვინაობა.

მუხლი 25

ყოველ პირს, რომელიც იმყოფება კონფლიქტის მონაწილე მხარის ან მის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე, შეუძლია პირადი შეტყობინება გაუგზავნოს ოჯახის წევრებს და მათგანაც მიიღოს ცნობები მიუხედავად მათი ადგილსამყოფელისა. ეს კორესპონდენცია სწრაფად უნდა გადაიგზავნოს და შექმლებისდაგვარად არ უნდა დაყოვნდეს.

თუ შექმნილი გარემოებების გამო გართულებული ან შეუძლებელია ფოსტით მიმოწერა, კონფლიქტის მონაწილე დაინტერესებული მხარეები მიმართავენ ნეიტრალურ შუამავალს, მაგალითად 140-ე მუხლში მითითებულ ცენტრალურ სააგენტოს, წითელი ჯვრის (წითელი ნახევარმთვარის, წითელი ლომისა და მზის) ეროვნულ საზოგადოებებს, რათა მასთან ერთად განსაზღვრონ თუ როგორ უნდა უზრუნველყონ მათი მოვალეობების უკეთესად შესრულება.

თუ კონფლიქტის მონაწილე მხარეები ოჯახური მიმოწერის შეზღუდვას აუცილებლად ჩათვლიან, ეს შეზღუდვები უნდა შემოიფარგლოს სტანდარტული ბლანკების შემოღებით, რომლებზეც თავსდება ოცდახუთი სიტყვა. თვეში გასაგზავნი ბლანკების რაოდენობა შეიძლება ერთამდე შეიზღუდოს.

მუხლი 26

კონფლიქტის მონაწილე ყოველი მხარე ხელს შეუწყობს ომის შედეგად განცალკევებული ოჯახის წევრთა ძებნას და შესაძლებლობის შემთხვევაში – მათ შეხვედრას. კერძოდ, იგი ხელს შეუწყობს ამ საქმით დაკავებული ორგანიზაციების მუშაობას იმ შემთხვევაში, თუ ეს ორგანიზაციები სახელმწიფოსათვის მისაღებია და ემორჩილებიან მის მიერ დადგენილ უსაფრთხოების წესებს.

პარი III

დაცვის ძველ მყოფ პირთა სტატუსი და მოპყრობა

ნაწილი I

საერთო დებულებები კონფლიქტის მონაწილე მხარეთა ტერიტორიებისა და ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ

მუხლი 27

დაცვის ქვეშ მყოფ პირებს ნებისმიერ გარემოებაში აქვთ მათი პიროვნების, ღირსების, ოჯახური უფლებების, რელიგიური მრწამსისა და წესების, ჩვევებისა და ადათების პატივისცემის უფლება. მათ ყოველთვის ჰუმანურად უნდა ეპყრობოდნენ, კერძოდ, იცავდნენ ძალადობისა და მუქარის ნებისმიერი აქტისაგან, შეურაცხყოფისა და ხალხის ცნობისმოყვარეობისაგან.

ქალები განსაკუთრებით უნდა იყვნენ დაცულნი მათი ღირსების შეურაცხყოფისაგან, კერძოდ, გაუპატიურების, იძულებითი პროსტიტუციის ან მათი ზნეობის ნებისმიერი სახის სხვა ხელყოფისაგან.

ჯანმრთელობასთან, ასაკსა და სქესთან დაკავშირებული დებულებების გათვალისწინებით, კონფლიქტის მონაწილე მხარე, რომლის ხელისუფლებაშიც იმყოფებიან დაცვის ქვეშ მყოფი პირები, ყველა მათგანს თანაბრად უნდა ეპყრობოდეს ყოველგვარი, კერძოდ კი რასის, რელიგიური ან პოლიტიკურ შეხედულებებზე დაფუძნებული, დისკრიმინაციის გარეშე.

თუმცა, ამ პირთა მიმართ კონფლიქტის მონაწილე მხარეებს შეუძლიათ კონტროლისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის ისეთი ღონისძიებების გამოყენება, რომელიც შეიძლება აუცილებელი აღმოჩნდეს საომარი მოქმედებების გამო.

მუხლი 28

დაცვის ქვეშ მყოფი პირის რომელიმე პუნქტსა და რაიონში ყოფნა არ შეიძლება ამ ადგილებში საომარი ოპერაციების თავიდან აცილების საბაზად იყოს გამოყენებული.

მუხლი 29

კონფლიქტის მონაწილე მხარე, რომლის ხელისუფლებაშიც იმყოფებიან დაცვის ქვეშ მყოფი პირები, პასუხს აგებს მისი წარმომადგენლების მიერ მათ მიმართ მოპყრობაზე, რაც საკუთრივ ამ წარმომადგენლებს პირადი პასუხისმგებლობისაგან არ ათავისუფლებს.

მუხლი 30

დაცვის ქვეშ მყოფ პირებს ყველანაირი შესაძლებლობა ექნებათ, რათა მიმართონ მფარველ სახელმწიფოებს, წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტს, იმ სახელმწიფოს წითელი ჯვრის (წითელი ნახევარმთვარის, წითელი ღომისა და მზის) ეროვნულ საზოგადოებას, რომელშიც ისინი იმყოფებიან, ასევე ნებისმიერ ორგანიზაციას, რომელსაც მათთვის დახმარების აღმოჩენა შეუძლია.

ხელისუფლების წარმომადგენლები აღნიშნულ ორგანიზაციებს საჭირო ყველა შესაძლებლობას შეუქმნიან იმ ფარგლებში, რომელიც საომარი ან უშიშროების მოსაზრებებით დადგინდება.

მფარველი სახელმწიფოებისა და 143-ე მუხლით გათვალისწინებული წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის დელეგატების ვიზიტების გარდა, ოკუპანტი სახელმწიფოები ან სახელმწიფოები, რომელთა ხელისუფლებაშიც დაცვის ქვეშ მყოფი პირები იმყოფებიან, შეძლებისამებრ, ხელს შეუწყობენ დაცვის ქვეშ მყოფი პირების სხვა ორგანიზაციების წარმომადგენელთა მიერ მონახულებას, რომელთა მიზანია მათთვის სულიერი და მატერიალური დახმარების აღმოჩენა.

მუხლი 31

დაუშვებელია დაცვის ქვეშ მყოფ პირთა მიმართ ფიზიკური ან მორალური იძულების რაიმე ზომის გამოყენება, მათგან ან მესამე პირთაგან ინფორმაციის მიღების მიზნით.

მუხლი 32

მაღალი ხელშემკვრელი მხარეები სპეციალურად შეთანხმდებიან იმაზე, რომ თითოეულ მათგანს ეკრძალება ისეთი ზომების გატარება, რომელთაც მათ ხელისუფლებაში მყოფი დაცვის ქვეშ მყოფი პირებისათვის ფიზიკური ტანჯვის მიყენება ან მათი სიკვდილის გამოწვევა შეუძლია. ეს აკრძალვა ვრცელდება არა მხოლოდ მკვლელობაზე, წამებაზე, ფიზიკურ დასჯაზე, სხეულის დასახინრებაზე, სამედიცინო ან სამეცნიერო ცდებზე, რომლებიც დაცვის ქვეშ მყოფი პირის მკურნალობის მოთხოვნებით არ არის გამოწვეული, არამედ სამოქალაქო ან სამხედრო ხელისუფლების წარმომადგენელთა მხრიდან ყოველგვარი სახის უხეში ძალადობის აქტებზეც.

მუხლი 33

დაუშვებელია დაცვის ქვეშ მყოფი პირის დასჯა სამართალდარღვევისთვის, რომელიც მას პირადად არ ჩაუდენია. კოლექტიური სასჯელები, ისევე როგორც დაშინების ყოველგვარი ღონისძიება ან ტერორი აკრძალულია.

აკრძალულია ძარცვა.

აკრძალულია რეპრესალიები დაცვის ქვეშ მყოფი პირებისა და მათი ქონების მიმართ.

მუხლი 34

აკრძალულია მძევლების აყვანა.

ნაწილი II

კონფლიქტის მონაწილე მხარის ტერიტორიაზე მყოფი უცხოელები

მუხლი 35

დაცვის ქვეშ მყოფ ნებისმიერ პირს, რომელმაც ტერიტორიის დატოვების სურვილი შეიძლება კონფლიქტის დასაწყისში ან მისი მიმდინარეობისას გამოთქვას, ამის გაკეთების უფლება მხოლოდ იმ შემთხვევაში ექნება, თუ მისი გამგზავრება ქვეყნის სახელმწიფოებრივ ინტერესებს არ ეწინააღმდეგება. გამგზავრების შესახებ ამ პირთა შუამდგომლობები ჩვეულებრივად დადგენილი წესით უნდა განიხილონ და გადაწყვეტილება მიღებულ უნდა იქნას შეძლებისამებრ უმოკლეს ვადაში. პირებს, რომლებმაც გამგზავრების უფლება მიიღეს, შესაძლებლობა ექნებათ მათი მგზავრობისათვის საჭირო ფული მოიპოვონ და თან წაიღონ საკმარისი რაოდენობის პირადი მოხმარების საგნები და ნივთები.

პირს, რომელსაც გამგზავრებაზე უარს ეტყვიან, უფლება ექნება მოითხოვოს უმოკლეს ვადაში ამ უარის გადასინჯვა სასამართლოს ან დამკავებელი სახელმწიფოს მიერ ამ მიზნით დანიშნული შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ. მოთხოვნის შემთხვევაში, მფარველი სახელმწიფოს წარმომადგენლებს შესაძლებლობა ექნებათ მიიღონ ინფორმაცია ტერიტორიის დატოვების ნებისმიერ შუამდგომლობაზე უარის თქმის მიზეზების შესახებ და ყველა იმ პირის გვარის შესახებ, რომელსაც გამგზავრებაზე უარი ეთქვა, მხოლოდ იმ პირობით, თუ ეს უშიშროების მოსაზრებებს არ ეწინააღმდეგება ან თუ ამაზე თვით დაინტერესებული პირები არ აცხადებენ უარს.

მუხლი 36

წინა მუხლის საფუძველზე ნებადართული გამგზავრება უნდა განხორციელდეს უშიშროების, ჰიგიენის, ჯანმრთელობისა და კვების თვალსაზრისით დამაკმაყოფილებელ პირობებში. დამკავებელი სახელმწიფოს ტერიტორიის გასამგზავრებელი პუნქტიდან წარმოშობილ, მგზავრობასთან დაკავშირებულ ხარჯებს გაიღებს სახელმწიფო, რომელშიც მიემგზავრებიან აღნიშნული პირები, ხოლო ნეიტრალურ ქვეყანაში განთავსებისას კი ქვეყანა, რომლის მოქალაქენიც ამ შესაძლებლობით სარგებლობენ. ამ გადაადგილებათა პრაქტიკული პირობები, აუცილებლობის შემთხვევაში, დაინტერესებულ მხარეებს შორის სპეციალური შეთანხმებით განისაზღვრება.

ზემოაღნიშნული არ ეხება სპეციალურ შეთანხმებებს, რომელიც შეიძლება დაიდოს კონფლიქტის მონაწილე მხარეებს შორის მოწინააღ-

მდევის ხელში მოხვედრილი მათი მოქალაქეების გაცვლისა და რეპარაციის საკითხებს.

მუხლი 37

დაცვის ქვეშ მყოფ პირებს, რომლებიც წინასწარ პატიმრობაში აიყვანეს ან სასჯელს თავისუფლების აღკვეთით იხდიან, პატიმრობის პერიოდში უნდა მოეპყრონ ჰუმანურად.

გათავისუფლებისთანავე მათ შეუძლიათ, წინა მუხლების შესაბამისად, მოითხოვონ ტერიტორიის დატოვების ნებართვა.

მუხლი 38

გარდა წინამდებარე კონვენციით, კერძოდ 27-ე და 41-ე მუხლებით გათვალისწინებული განსაკუთრებული ღონისძიებებისა, დაცვის ქვეშ მყოფი პირების მდგომარეობა მშვიდობიან დროს უცხოელებთან მოპყრობის წესებით მოწესრიგდება. ნებისმიერ შემთხვევაში მათ უფლება ექნებათ:

- (1) მიიღონ მათთვის გამოგზავნილი ინდივიდუალური ან კოლექტიური დახმარება.
- (2) ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე, მიიღონ სამედიცინო დახმარება და იმკურნალონ საავადმყოფოში ისევე, როგორც ამ სახელმწიფოს მოქალაქეებმა.
- (3) აღასრულონ რელიგიური მოვალეობანი და მიიღონ სულიერი დახმარება თავიანთი აღმსარებლობის სამღვდელოების პირისაგან.
- (4) ამ სახელმწიფოს მოქალაქეების მსგავსად გაემგზავრონ იმ რაიონიდან, რომელიც განსაკუთრებულ საომარ საფრთხეში იმყოფება.
- (5) ისარგებლონ თხუთმეტ წლამდე ასაკის ბავშვების, ორსული ქალებისა და შვიდ წლამდე ასაკის ბავშვების დედების იმავე უპირატესობებით, რომელიც ამ სახელმწიფოს მოქალაქეებს აქვთ.

მუხლი 39

დაცვის ქვეშ მყოფ პირებს, რომლებმაც ომის შედეგად დაკარგეს თავისი შემოსავალი, შესაძლებლობა უნდა მიეცეთ მოძებნონ ანაზღაურებადი სამსახური. უშიშროების მოთხოვნებისა და მე-40 მუხლის დებულებათა გათვალისწინებით, ეს შესაძლებლობა ისეთივე უნდა იყოს, როგორც იმ სახელმწიფოს მოქალაქეებს აქვთ, რომლის ტერიტორიაზეც ეს პირები იმყოფებიან.

როდესაც კონფლიქტის მონაწილე სახელმწიფოს მიერ დაცვის ქვეშ მყოფი პირების მიმართ განხორციელებული კონტროლის ზომების შედეგად არ შეუძლიათ ცხოვრების მატერიალური უზრუნველყოფა და განსაკუთრებით მაშინ, როცა უშიშროების ინტერესების გამო არ შეუძლიათ ჰქონდეთ მათთვის მისაღები პირობებით ანაზღაურებადი სამუშაო, აღნიშნულმა სახელმწიფომ მათი და მათ კმაყოფაზე მყოფი პირების ცხოვრება უნდა უზრუნველყოს.

დაცვის ქვეშ მყოფ პირებს ყველა შემთხვევაში შეუძლიათ მიიღონ დახმარება თავისი ქვეყნის, მფარველი სახელმწიფოს ან 30-ე მუხლში მითითებული დამხმარე საზოგადოებებისაგან.

მუხლი 40

დაცვის ქვეშ მყოფი პირები იძულებით მხოლოდ იმ მოცულობით შეიძლება ამუშაონ, რამდენადაც ეს მისაღებია კონფლიქტის მონაწილე იმ მხარის მოქალაქეებისათვის, რომლის ტერიტორიაზეც იმყოფებიან აღნიშნული პირები.

თუ დაცვის ქვეშ მყოფი პირები მოწინააღმდეგე მხარის მოქალაქეები არიან, ისინი შეიძლება აიძულონ შეასრულონ იმგვარი სამუშაო, რომელიც აუცილებელია ადამიანების საკვებით, საცხოვრებლით, ტანსაცმლით, ტრანსპორტითა და ჯანმრთელობის უზრუნველსაყოფად და რომელიც უშუალოდ არ უკავშირდება საომარ მოქმედებებს.

წინა ორ პარაგრაფში მითითებულ შემთხვევებში, დაცვის ქვეშ მყოფი პირები, რომლებსაც იძულებით ამუშავენ, სამუშაო პირობებისა და გარანტიების, კერძოდ, ხელფასის, სამუშაო დღის ხანგრძლივობის, ტანსაცმლისა და აღჭურვილობის, მოსამზადებელი სწავლების, სამუშაოზე უბედური შემთხვევებისა და პროფესიული დაავადებებისათვის კომპენსაციის მიღებისას უთანაბრდებიან მოცემულ სახელმწიფოს მუშებს.

ზემოაღნიშნული დებულებების დარღვევის შემთხვევაში დაცვის ქვეშ მყოფ პირებს უფლება აქვთ 30-ე მუხლში მითითებული გასაჩივრების უფლებით ისარგებლონ.

მუხლი 41

იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფო, რომლის ხელისუფლებაშიც იმყოფებიან დაცვის ქვეშ მყოფი პირები, წინამდებარე კონვენციაში მითითებულ კონტროლის ზომებს არასაკმარისად ჩათვლის, იგი ვერ შეძლებს 42-ე და 43-ე მუხლების დებულებებით გათვალისწინებულ გარკვეულ ადგილას საცხოვრებელზე მიმაგრებაზე ან ინტერნირებაზე უფრო მკაცრი ზომების განხორციელებას.

39-ე მუხლის მეორე პარაგრაფის დებულებათა გამოყენების დროს იმ პირების მიმართ, რომელთაც სხვა ადგილებში საცხოვრებელზე გადაყვანის

გამო თავისი საცხოვრებელი ადგილების დატოვება მოთხოვეს, დამკავებელმა სახელმწიფომ რაც შეიძლება ზუსტად უნდა დაიცვას ამ კონვენციის III კარის IV ნაწილით დადგენილი მოპყრობის სტანდარტები.

მუხლი 42

განკარგულება დაცვის ქვეშ მყოფ პირთა ინტერნირების ან საცხოვრებელზე გადაყვანის შესახებ მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება გაიცეს, როცა ეს დამკავებელი სახელმწიფოს უშიშროების აბსოლუტურ აუცილებლობას წარმოადგენს.

თუ ნებისმიერი პირი მფარველი სახელმწიფოს წარმომადგენელთა მეშვეობით ინტერნირებას ნებაყოფლობით ითხოვს და თუ მისი პირადი მდგომარეობა ამას აუცილებელს ხდის, სახელმწიფომ, რომლის ხელისუფლებაშიც ის იმყოფება, მისი მოთხოვნა უნდა დააკმაყოფილოს.

მუხლი 43

დაცვის ქვეშ მყოფ ინტერნირებულ ან გარკვეულ ადგილას საცხოვრებელზე მიმაგრებულ პირს უფლება აქვს სასამართლოს ან დამკავებელი სახელმწიფოს მიერ ამ მიზნით შექმნილ შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოს მოსთხოვოს ამ გადაწყვეტილებათა უმოკლეს ვადაში გადასინჯვა. თუ ინტერნირება ან გარკვეულ ადგილას საცხოვრებელზე განთავსება ძალაში რჩება, სასამართლომ ან შესაბამისმა ადმინისტრაციულმა ორგანომ პერიოდულად, ყოველ შემთხვევაში, წელიწადში ორჯერ მაინც უნდა გადასინჯოს საკითხი, რათა, თუ მდგომარეობა ამის საშუალებას იძლევა, პირველადი გადაწყვეტილება ამ პირისათვის ხელსაყრელად შეიცვალოს.

თუ დაინტერესებულ დაცვის ქვეშ მყოფ პირებს საწინააღმდეგო არაფერი აქვთ, დამკავებელმა სახელმწიფომ რაც შეიძლება სწრაფად უნდა აცნობოს მფარველ სახელმწიფოს ინტერნირებული ან გარკვეულ საცხოვრებელ ადგილზე მიმაგრებული დაცვის ქვეშ მყოფი ყველა პირის გვარი, ასევე იმ პირთა გვარები, რომლებიც ინტერნირების ან საცხოვრებელზე მიმაგრებული ადგილებიდან გათავისუფლდნენ. წინამდებარე მუხლის პირველ პარაგრაფში მითითებული სასამართლოების ან ადმინისტრაციული ორგანოების გადაწყვეტილებებიც მფარველ სახელმწიფოს ასევე სწრაფად და იმავე პირობების დაცვით უნდა ეცნობოს.

მუხლი 44

წინამდებარე კონვენციაში მითითებული კონტროლის ზომების გამოყენებისას, დამკავებელი სახელმწიფო ღტოლვილებს, რომლებიც ფაქტობრივად არც ერთი მთავრობის მფარველობით არ სარგებლობენ, არ უნდა მოეპყროს როგორც მოწინააღმდეგე მხარის მოქალაქეებს მხოლოდ მათი ეროვნული კუთვნილების გამო.

მუხლი 45

არ შეიძლება დაცვის ქვეშ მყოფი პირების ისეთი სახელმწიფოსათვის გადაცემა, რომელიც ამ კონვენციის მხარე არ არის.

ეს დებულება საომარი მოქმედებების დამთავრების შემდეგ დაცვის ქვეშ მყოფი პირების რეპატრაციას ან მათი უწინდელი საცხოვრებელი ადგილის სახელმწიფოში დაბრუნებას არცერთ შემთხვევაში არ შეუშლის ხელს.

სახელმწიფოს მის ხელისუფლებაში მყოფი დაცვით მოსარგებლე პირების გადაცემა შეუძლია მარტო ამ კონვენციის მონაწილე სახელმწიფოსათვის და მხოლოდ მას შემდეგ, რაც დარწმუნდება, რომ სახელმწიფოს, რომელსაც ისინი უნდა გადაეცეს, წინამდებარე კონვენციის დებულებათა შესრულება სურს და შეუძლია. ასეთი გადაცემის შემდეგ წინამდებარე კონვენციის გამოყენებაზე პასუხისმგებლობა მათ მიმღებ სახელმწიფოს ეკისრება მანამდე, სანამ დაცვის ქვეშ მყოფი პირები მისი მფარველობის ქვეშ იქნებიან. თუმცა, თუ ეს სახელმწიფო არ შეასრულებს წინამდებარე კონვენციის დებულებებს ნებისმიერი მნიშვნელოვან პუნქტთან მიმართებაში, სახელმწიფომ, რომელმაც დაცვის ქვეშ მყოფი პირები გადასცა, მფარველი სახელმწიფოსაგან შეტყობინების მიღებისთანავე მდგომარეობის გამოსასწორებლად ეფექტური ზომები უნდა მიიღოს ან მოითხოვოს დაცვის ქვეშ მყოფი პირების დაბრუნება. ამგვარი მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს.

არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება დაცვის ქვეშ მყოფი პირის გადაცემა სახელმწიფოსათვის, სადაც მას პოლიტიკური შეხედულებებისა თუ რელიგიური მრწამსის გამო დევნის საფრთხე შეიძლება დაემუქროს.

ამ მუხლის დებულებები არ ეწინააღმდეგება საომარი მოქმედებების დაწყებამდე ექსტრადიციის შესახებ დადებული ხელშეკრულებების საფუძველზე სისხლის სამართლის დანაშაულის ჩამდენი დაცვის ქვეშ მყოფი პირების ექსტრადიციას.

მუხლი 46

დაცვის ქვეშ მყოფი პირების მიმართ მიღებული შეზღუდვის ღონისძიებები, თუ ეს მანამდე არ განხორციელდა, საომარი მოქმედებების დამთავრებიდან უმოკლეს ვადაში გაუქმდება.

მათ ქონებასთან დაკავშირებით შემოღებული შეზღუდვები საომარი მოქმედებების დასრულებიდან უმოკლეს ვადაში, დამკავებელი სახელმწიფოს კანონმდებლობის შესაბამისად გაუქმდება.

ნაწილი III ოკუპირებული ტერიტორიები

მუხლი 47

ოკუპაციის შედეგად ოკუპირებულ ტერიტორიაზე მოქმედ დაწესებულებებში ან სამთავრობო უწყებებში მომხდარი ნებისმიერი ცვლილება, არც ოკუპირებულ და ოკუპანტ სახელმწიფოებს შორის დადებული ხელშეკრულებები, ან ოკუპანტი სახელმწიფოს მიერ მთელი ტერიტორიის ან მისი ნაწილის ანექსია არავითარ შემთხვევაში და არასგზით არ წარმოადგენს ოკუპირებულ ტერიტორიაზე მყოფი დაცვით მოსარგებლე პირებისათვის წინამდებარე კონვენციით გათვალისწინებული უპირატესობების ჩამორთმევის საფუძველს.

მუხლი 48

დაცვის ქვეშ მყოფ პირებს, რომლებიც ოკუპირებული სახელმწიფოს მოქალაქეები არ არიან, შეუძლიათ ტერიტორია 35-ე მუხლის დებულებათა დაცვით დატოვონ. აღნიშნულ საკითხზე გადაწყვეტილებას ოკუპანტი სახელმწიფო მიიღებს მითითებულ მუხლში განსაზღვრული პროცედურის შესაბამისად.

მუხლი 49

აკრძალულია ნებისმიერი მოტივით განპირობებული დაცვის ქვეშ მყოფი პირების ინდივიდუალური ან მასობრივი იძულებითი გადაადგილება ან დეპორტირება ოკუპირებული ქვეყნიდან ოკუპანტი სახელმწიფოს ან ნებისმიერი სხვა ოკუპირებული თუ არაოკუპირებული ქვეყნის ტერიტორიაზე.

თუმცა, ოკუპანტი სახელმწიფოსათვის შესაძლებელი იქნება გარკვეული ოკუპირებული რაიონის მთლიანი ან ნაწილობრივი ევაკუაცია, თუ ეს მოსახლეობის უსაფრთხოების ან განსაკუთრებული სამხედრო ხასიათის მოსაზრებებითაა განპირობებული. ასეთი ევაკუაციის დროს, დაცვის ქვეშ მყოფი პირების გადაყვანა დაშვებულია მხოლოდ ოკუპირებული ტერიტორიის სიღრმეში, იმ შემთხვევების გამოკლებით, როცა ეს პრაქტიკულად შეუძლებელია. ამგვარად ევაკუირებული მოსახლეობა საკუთარ საცხოვრებელ ადგილს მოცემულ რაიონში საომარი მოქმედებების დამთავრებისთანავე დაუბრუნდება.

ასეთი გადაადგილებების ან ევაკუაციის განხორციელებისას ოკუპანტმა სახელმწიფომ დაცვის ქვეშ მყოფი პირები, შესაძლებლობის ფარგლებში, სათანადო სათავსებით უნდა უზრუნველყოს. ეს გადა-

ადგილებები უსაფრთხოების, ჰიგიენის, ჯანმრთელობისა და კვების თვალსაზრისით დამაკმაყოფილებელ პირობებში უნდა განხორციელდეს. დაუშვებელია ერთი ოჯახის წევრთა განცალკევება.

ნებისმიერი გადაადგილების ან ევაკუაციის შესახებ მფარველ სახელმწიფოს უნდა ეცნობოს დაუყოვნებლივ.

ოკუპანტმა სახელმწიფომ დაცვის ქვეშ მყოფი პირები განსაკუთრებულად სახიფათო რაიონში მხოლოდ მოსახლეობის უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და მნიშვნელოვანი სამხედრო ხასიათის მოსაზრებების გამო შეიძლება დააკავოს.

ოკუპანტ სახელმწიფოს არ შეუძლია საკუთარი სამოქალაქო მოსახლეობის ნაწილის მის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე დეპორტირება ან გადაყვანა.

მუხლი 50

ოკუპანტმა სახელმწიფომ ეროვნულ და ადგილობრივ ხელისუფლებასთან თანამშრომლობით ხელი უნდა შეუწყოს ბავშვებზე ზრუნვით და მათი აღზრდით დასაქმებული ყველა დაწესებულების სათანადო ფუნქციონირებას.

ოკუპანტმა სახელმწიფომ ყველა აუცილებელი ზომა უნდა მიიღოს, რათა ხელი შეუწყოს ბავშვების ვინაობის დადგენასა და მათი ნათესაური კავშირების რეგისტრაციას. არავითარ შემთხვევაში არ უნდა შეიცვალოს ბავშვების სამოქალაქო მდგომარეობა, ასევე ისინი არ უნდა ჩაირიცხონ ოკუპანტ სახელმწიფოზე დამოკიდებულ ფორმირებებსა და ორგანიზაციებში.

თუ ადგილობრივ დაწესებულებებს არ შეუძლიათ ამ ფუნქციათა შესრულება, ოკუპანტმა სახელმწიფომ უნდა მიიღოს ზომები ობოლი ან ომის შედეგად მშობლებს დაცილებული ბავშვების მოვლასა და სწავლებაზე, თუ მათზე ახლო ნათესავები ან მეგობრები ვერ ასრულებენ აღნიშნულ ფუნქციას; სწავლებას, შეძლებისამებრ, მათივე ეროვნების, რელიგიური მრწამსისა და მათ ენაზე მოლაპარაკე პირები უნდა უძღვებოდნენ.

136-ე მუხლის თანახმად შექმნილი ბიუროს სპეციალური განყოფილება ყველა ზომას მიიღებს, რათა ზუსტად დადგინდეს იმ ბავშვთა ვინაობა, რომელიც ეჭვს იწვევს. მათ ხელთ არსებული მონაცემები ბავშვის მშობლების და სხვა ახლო ნათესავების შესახებ ყოველთვის უნდა დარეგისტრირდეს.

ოკუპანტმა სახელმწიფომ არ უნდა დააბრკოლოს თხუთმეტ წლამდე ასაკის ბავშვების, ორსული ქალებისა და შვიდ წლამდე ასაკის ბავშვების დედების მიმართ კვების, სამედიცინო მოვლისა და საომარი მოქმედებებისგან დაცვის სფეროში ოკუპაციამდე მიღებული პრევენციული ზომების განხორციელება.

მუხლი 51

ოკუპანტ სახელმწიფოს არ შეუძლია აიძულოს დაცვის ქვეშ მყოფი პირი იმსახუროს მის შეიარაღებულ ან დამხმარე ძალებში. ყოველგვარი ზეგავლენა ან პროპაგანდა ჯარში ნებაყოფლობით შესვლის შესახებ აკრძალულია. ოკუპანტ სახელმწიფოს იძულებით სამუშაოებზე შეუძლია გაგზავნოს მხოლოდ თერამეტ წელს გადაცილებული დაცვის ქვეშ მყოფი პირები. ისინი იგზავნიებიან სამუშაოზე, რომელიც აუცილებელია საოკუპაციო ჯარის საჭიროებისათვის ან დაკავშირებულია დაკავებული ადგილის მოსახლეობის კომუნალურ მომსახურებასთან, ჯანმრთელობასთან, ან საკვებით, საცხოვრებლით, ტანსაცმლითა და ტრანსპორტით უზრუნველყოფასთან. დაუშვებელია დაცვის ქვეშ მყოფი პირების იძულება შეასრულონ ისეთი სამუშაო, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს საომარ ოპერაციებში მათი მონაწილეობა. ოკუპანტ სახელმწიფოს არ შეუძლია აღნიშნულ პირებს მოსთხოვოს ძალის გამოყენებით დაიცვან ნაგებობები, რომელშიც ასრულებენ იძულებით სამუშაოს.

სამუშაო სრულდება მხოლოდ იმ ოკუპირებული ტერიტორიის ფარგლებში, სადაც ეს პირები იმყოფებიან. ყოველი მათგანი, შესაძლებლობის ფარგლებში, ჩვეულ სამუშაო ადგილზე დარჩება. მუშაობა სამართლიანად ანაზღაურდება და იგი მომუშავეთა ფიზიკურ და ინტელექტუალურ შესაძლებლობებს შეესაბამება. ოკუპირებულ ქვეყანაში მოქმედი კანონები სამუშაო პირობებისა და შრომის დაცვის შესახებ, კერძოდ, სამუშაო დღის ხანგრძლივობის, ადგილზე დასვენების, წინასწარი მომზადების, სამუშაოზე უბედური შემთხვევებისა და პროფესიული დაავადებების კომპენსაციის შესახებ გამოიყენება დაცვის ქვეშ მყოფი იმ პირების მიმართაც, რომლებიც ამ მუხლში მითითებულ სამუშაოებს ასრულებენ.

იძულებით შრომით საქმიანობაში ჩაბმა არავითარ შემთხვევაში არ უნდა იწვევდეს მომუშავეთა სამხედრო ან ნახევრად გასამხედროებულ ორგანიზაციებში მობილიზაციას.

მუხლი 52

არავითარ კონტრაქტს, შეთანხმებას ან დებულებას არ შეუძლია შეზღუდოს ნებაყოფლობით ან იძულებით მომუშავე პირების უფლება, მიუხედავად ამ პირების ადგილსამყოფელისა, მიმართონ მფარველი სახელმწიფოს წარმომადგენელს ამ სახელმწიფოსაგან შუამდგომლობის მისაღებად.

აკრძალულია ყოველგვარი ღონისძიება, რომელიც უმუშევრობის გამოწვევის ან ოკუპირებულ ტერიტორიაზე მუშაობის შესაძლებლობის შეზღუდვისკენაა მიმართული და რაც მიზნად ისახავს მშრომელი მოსახლეობის ოკუპანტი სახელმწიფოს სასარგებლოდ მუშაობის იძულებას.

მუხლი 53

აკრძალულია ოკუპანტი სახელმწიფოს მიერ კერძო პირების ან სახელმწიფოს, საზოგადოებრივი ან კოოპერაციული ორგანიზაციების ინდივიდუალურ ან კოლექტიურ საკუთრებაში მყოფი მოძრავი ან უძრავი ქონების განადგურება, თუკი ეს უკანასკნელი საომარი ოპერაციებისათვის უკიდურეს აუცილებლობას არ წარმოადგენს.

მუხლი 54

ოკუპანტ სახელმწიფოს ეკრძალება შეცვალოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე თანამდებობის პირთა ან მოსამართლეთა სტატუსი, მიმართოს მათ წინააღმდეგ სანქციები, იძულების ღონისძიებები ან შეავიწროვოს ისინი იმის გამო, რომ სინდისის კარნახით ისინი მოვალეობათა შესრულებას არიდებენ თავს.

ეს აკრძალვა არ ეწინააღმდეგება 51-ე მუხლის მეორე პარაგრაფის დებულებათა გამოყენებას და არ ეხება ოკუპანტი სახელმწიფოს უფლებას თანამდებობის პირები დაკავებული პოსტებიდან მოხსნას.

მუხლი 55

ოკუპანტმა სახელმწიფომ მის ხელთ არსებული ყველა საშუალებით უნდა უზრუნველყოს სამოქალაქო მოსახლეობა სურსათითა და სანიტარული საშუალებებით. კერძოდ, თუ ოკუპირებული ტერიტორიის რესურსები არასაკმარისია, მან სურსათის მარაგი, სანიტარული საშუალებები და სხვა საგნები უნდა შემოიტანოს.

ოკუპანტმა სახელმწიფომ ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებული სურსათის მარაგის ან სხვა საგნების, ასევე სამედიცინო ქონების რეკვიზიცია შეიძლება განახორციელოს მხოლოდ საოკუპაციო ჯარისა და ადმინისტრაციის სასარგებლოდ, მხოლოდ იმ პირობით, რომ სამოქალაქო მოსახლეობის მოთხოვნილებები გათვალისწინებული იქნება. სხვა საერთაშორისო კონვენციათა დებულებების შესრულების პირობით, ოკუპანტმა სახელმწიფომ უნდა მიიღოს ყოველი რეკვიზიციის სამართლიანი ანაზღაურებისათვის საჭირო ზომები.

მფარველ სახელმწიფოს, გადაუდებელი საომარი მოთხოვნებით გამოწვეული დროებითი შეზღუდვების გათვალისწინებით, უფლება აქვს ნებისმიერ დროს, ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე შეამოწმოს მდგომარეობა ოკუპირებულ ტერიტორიებზე სურსათითა და სანიტარული საშუალებებით მომარაგების მხრივ.

მუხლი 56

ოკუპანტი სახელმწიფო ვალდებულია მის ხელთ არსებული ყველა საშუალებით უზრუნველყოს და ეროვნული და ადგილობრივი ხელისუფლების ხელშეწყობით მხარი დაუჭიროს ოკუპირებულ ტერიტორიაზე სამედიცინო დაწესებულებებისა და საავადმყოფოების მუშაობას, ჯანდაცვასა და საზოგადოებრივი ჰიგიენის დაცვას. კერძოდ, მან უნდა გამოიყენოს პროფილაქტიკური და პრევენციული ზომები, რომელიც აუცილებელია გადაამდები სნეულებებისა და ეპიდემიების წინააღმდეგ საბრძოლველად. ყველა კატეგორიის სამედიცინო პერსონალისათვის ნებადართული იქნება თავისი მოვალეობების შესრულება.

თუ ოკუპირებულ ტერიტორიაზე ახალი საავადმყოფოები შეიქმნება, ხოლო ოკუპირებული სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოები ამ ტერიტორიაზე არ ფუნქციონირებენ, საოკუპაციო ხელისუფლებამ, საჭიროების შემთხვევაში, ეს საავადმყოფოები მე-18 მუხლის შესაბამისად უნდა აღიაროს. მსგავს გარემოებებში, მე-20 და 21-ე მუხლების დებულებათა თანახმად ოკუპანტმა ხელისუფლებამ საავადმყოფოთა პერსონალი და სატრანსპორტო საშუალებები უნდა აღიაროს.

ოკუპანტმა სახელმწიფომ ჯანდაცვისა და ჰიგიენის სფეროში დონისძიებათა მიღებისა და განხორციელებისას უნდა გაითვალისწინოს ოკუპირებული ტერიტორიის მოსახლეობის მორალური და ეთიკური მოთხოვნები.

მუხლი 57

ოკუპანტი სახელმწიფოს სამოქალაქო საავადმყოფოთა რეკვიზიცია შეუძლია დროებით და ისიც მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ამას დაჭრილი და ავადმყოფი სამხედრო მოსამსახურეების მოვლის უკიდურესი აუცილებლობა მოითხოვს და იმ პირობით, რომ ამ საავადმყოფოებში მოთავსებული ავადმყოფების მკურნალობისა და მოვლის და სამოქალაქო მოსახლეობის ჰოსპიტალიზაციის მოთხოვნების უზრუნველსაყოფად შესაბამისი ზომები დროულად იქნება მიღებული.

სამოქალაქო საავადმყოფოთა ქონებისა და მარაგების რეკვიზიცია არ შეიძლება განხორციელდეს მანამ, სანამ ისინი სამოქალაქო მოსახლეობის მოთხოვნებისთვისაა აუცილებელი.

მუხლი 58

ოკუპანტი სახელმწიფო სასულიერო პირებს ნებას დართავს სულიერი დახმარება გაუწიონ ერთმორწმუნეებს.

ოკუპანტი სახელმწიფო რელიგიური მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად მიიღებს საჭირო წიგნებისა და საგნების შემცველ გზავნილებს და ხელს შეუწყობს მათ გავრცელებას ოკუპირებულ ტერიტორიაზე.

მუხლი 59

თუ ოკუპირებული ტერიტორიის მთელი მოსახლეობის ან მისი ნაწილის მომარაგება არასაკმარისია, ოკუპანტი სახელმწიფო აღნიშნული მოსახლეობის დასახმარებლად გაწეულ ღონისძიებებზე უნდა დათანხმდეს და მის ხელთ არსებული ყველა საშუალებით ხელი შეუწყოს მათ განხორციელებას.

ამგვარი ღონისძიებები, რომლებიც სახელმწიფოებმა ან მიუკერძოებელმა ჰუმანიტარულმა ორგანიზაციებმა, როგორცაა წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი, შეიძლება განახორციელონ, მოიცავს სურსათის, სანიტარული საშუალებებისა და ტანსაცმლის შემცველი ამანათების გაგზავნას.

ყოველმა ხელშემკრებელმა მხარემ აღნიშნული გზავნილები თავისუფლად უნდა გაატაროს და მათი დაცვა უზრუნველყოს.

სახელმწიფოს, რომელიც კონფლიქტის მონაწილე მოწინააღმდეგე მხარის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე გზავნილებს თავისუფლად ატარებს, უფლება აქვს გზავნილები შეამოწმოს, მოახდინოს მათი გადაზიდვის დადგენილი ვადებისა და მარშრუტების შესაბამისად რეგულირება და მფარველი სახელმწიფოს შეამავლობით დარწმუნდეს, რომ ეს გზავნილები ნამდვილად გაჭირვებული მოსახლეობის დასახმარებლად და არა ოკუპანტი სახელმწიფოს ინტერესებისათვის გამოიყენება.

მუხლი 60

დახმარების გზავნილები ოკუპანტ სახელმწიფოს 55-ე, 56-ე და 59-ე მუხლებით მასზე დაკისრებული პასუხისმგებლობისაგან არავითარ შემთხვევაში არ ათავისუფლებს. ოკუპანტმა სახელმწიფომ დახმარების ტვირთებს რაიმე სხვა დანიშნულება არ უნდა მისცეს, გარდა გადაუდებელი აუცილებლობის გამონაკლისი შემთხვევებისა, რაც უნდა განხორციელდეს ოკუპირებული ტერიტორიების მოსახლეობის ინტერესებისათვის და მფარველი სახელმწიფოს თანხმობით.

მუხლი 61

ზემოაღნიშნულ მუხლებში მითითებული დახმარების ტვირთების განაწილება მფარველი სახელმწიფოს ხელშეწყობითა და ზედამხედველობით ხორციელდება. ეს ვალდებულება ოკუპანტ სახელმწიფოსა და მფარველ სახელმწიფოს შორის ხელშეკრულებით შეიძლება გადაეცეს ნეიტრალურ ქვეყანას, წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტს ან ნებისმიერ სხვა მიუკერძოებელ ჰუმანიტარულ ორგანიზაციას.

ასეთი ტვირთები ოკუპირებულ ტერიტორიაზე ყოველგვარი მოსაკრებლის, გადასახადის ან საბაჟო ბეგარისაგან თავისუფლდება იმ შემთხვევის გარდა, როცა ეს უკანასკნელი ამ ტერიტორიის ეკონომიკური

განვითარების თვალსაზრისით არის აუცილებელი. ოკუპანტმა სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს ამ ტვირთების რაც შეიძლება სწრაფ განაწილებას.

ყველა ხელშემკვრელი მხარე უნდა ეცადოს ნება დართოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე გასაგზავნი ტვირთების უფასოდ გადატანასა და ტრანსპორტირებას.

მუხლი 62

ოკუპირებულ ტერიტორიებზე მყოფი დაცვის ქვეშ მყოფი პირები, თუ ეს უშიშროების ინტერესებს საფრთხეს არ შეუქმნის, შეძლებენ მათთვის პერსონალურად გამოგზავნილი ამანათების მიღებას.

მუხლი 63

ოკუპანტი სახელმწიფოს მიერ განსაკუთრებული ხასიათის უშიშროების მოსაზრებებიდან გამომდინარე შემოღებული დროებითი და გამოწვევის ხასიათის ღონისძიებების შესრულების პირობით:

(ა) წითელი ჯვრის (წითელი ნახევარმთვარის, წითელი ღომისა და მზის) აღიარებულ ეროვნულ საზოგადოებებს შეუძლიათ მოღვაწეობა განაგრძონ წითელი ჯვრის საერთაშორისო კონფერენციებით განსაზღვრული წითელი ჯვრის პრინციპების შესაბამისად. სხვა დამხმარე ორგანიზაციებს ნებას დართავენ მსგავს პირობებში განაგრძონ მათი ჰუმანიტარული მოღვაწეობა;

(ბ) ოკუპანტ სახელმწიფოს არ შეუძლია ამ საზოგადოებების სტრუქტურასა და პერსონალში რაიმე ცვლილების შეტანა მოითხოვოს, თუ ამას აღნიშნული მოღვაწეობისათვის ზიანის მოტანა შეუძლია.

იგივე პრინციპები გამოიყენება უკვე არსებული ან შემდგომში შექმნილი იმ არასამხედრო სპეციალური ორგანიზაციების მოღვაწეობისა და პერსონალის მიმართ, რომლებიც ძირითადად საზოგადოებრივად სასარგებლო სამსახურების მხარდაჭერის, დახმარების განაწილებისა და სამაშველო ღონისძიებათა ორგანიზების გზით სამოქალაქო მოსახლეობის ცხოვრების პირობების უზრუნველყოფას ისახავენ მიზნად.

მუხლი 64

ოკუპირებული ტერიტორიების სისხლის სამართლის კანონმდებლობა ძალაში რჩება იმ გამონაკლისით, რომ ოკუპანტი სახელმწიფოს მიერ ეს უკანასკნელი შეიძლება გაუქმდეს ან შეჩერდეს, თუკი იგი საფრთხეს უქმნის ამ სახელმწიფოს უშიშროებას ან წინამდებარე კონვენციის შესრულებას უშლის ხელს. ზემოაღნიშნული მოსაზრებისა

და მართლმსაჯულების ეფექტიანად აღსრულების უზრუნველყოფის აუცილებლობის გათვალისწინებით, ოკუპირებული ტერიტორიის სასამართლო ორგანოები თავისი ფუნქციების შესრულებას ამ კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა სამართალდარღვევის შემთხვევაში აგრძელებენ.

თუმცა, ოკუპანტ სახელმწიფოს შეუძლია ოკუპირებული ტერიტორიის მოსახლეობა დაუქვემდებაროს კანონების მოქმედებას, რომელიც არსებითად აუცილებელია მის მიერ წინამდებარე კონვენციით განსაზღვრული ვალდებულებების შესასრულებლად, ტერიტორიის ნორმალური მართვისა და ოკუპანტი სახელმწიფოს ჯარების ან ადმინისტრაციის პირადი შემადგენლობისა და ქონების, ასევე, მათ მიერ გამოყენებული ობიექტებისა და საკომუნიკაციო ხაზების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

მუხლი 65

ოკუპანტი სახელმწიფოს მიერ მიღებული სისხლის სამართლის კანონმდებლობა ძალაში მას შემდეგ შედის, რაც გამოქვეყნდება და მოსახლეობა მას საკუთარ ენაზე გაცნობა. ამ კანონმდებლობას უკუქცევითი ძალა არ უნდა ჰქონდეს.

მუხლი 66

ოკუპანტი სახელმწიფოს მიერ 64-ე მუხლის მეორე პარაგრაფის საფუძველზე მიღებული სისხლისსამართლებრივი ხასიათის კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში ოკუპანტ სახელმწიფოს შეუძლია ბრალდებულის გადაცემა მის მიერ შესაბამისად შექმნილი არაპოლიტიკური სამხედრო სასამართლოებისათვის, მხოლოდ იმ პირობით, რომ სასამართლო სხდომები ოკუპირებული ქვეყნის ტერიტორიაზე გაიმართება. სააპელაციო ინსტანციის სასამართლოების სხდომები უპირატესად ოკუპირებული სახელმწიფოს ტერიტორიაზე უნდა გაიმართოს.

მუხლი 67

სასამართლოებს შეუძლიათ კანონმდებლობის მხოლოდ ის დებულებები გამოიყენონ, რომელიც სამართალდარღვევის ჩადენამდე მოქმედებდა და სამართლის ძირითად პრინციპებს, კერძოდ კი სასჯელის დანაშაულთან თანაზომიერების პრინციპს შეესაბამება. მათ უნდა გაითვალისწინონ, რომ ბრალდებული ოკუპანტი სახელმწიფოს მოქალაქე არ არის.

მუხლი 68

თუ დაცვის ქვეშ მყოფი პირი სამართალდარღვევას ერთადერთი მიზნით ჩაიდენს - ზიანი მიაყენოს ოკუპანტ სახელმწიფოს, მაგრამ ეს სამართალდარღვევა არ წარმოადგენს საოკუპაციო ჯარის ან ადმინისტრაციის პირადი შემადგენლობის ფიზიკური ხელშეუხებლობის ან სიცოცხლის ხელყოფას, არ ქმნის სერიოზულ კოლექტიურ საშიშროებას და მნიშვნელოვან ზიანს არ აყენებს საოკუპაციო ჯარის ან ადმინისტრაციის ქონებას ან მათ მიერ გამოყენებულ ობიექტებს, უნდა მოხდეს მისი დაპატიმრება ან ინტერნირება. ამასთან, დაპატიმრების ან ინტერნირების ვადა ჩადენილ სამართალდარღვევას უნდა შეესაბამებოდეს. გარდა ამისა, დაპატიმრება ან ინტერნირება დაცვის ქვეშ მყოფ პირთა მიერ ჩადენილი ამგვარი სამართალდარღვევისათვის სასჯელის ერთადერთი ზომა უნდა იყოს. წინამდებარე კონვენციის 66-ე მუხლში მითითებულ სასამართლოებს თავისუფლად შეუძლიათ დაპატიმრება იმავე ვადით ინტერნირებით შეცვალონ.

ოკუპანტი სახელმწიფოს მიერ 64-ე და 65-ე მუხლების შესაბამისად მიღებული სისხლისსამართლებრივი ხასიათის კანონმდებლობა დაცვის ქვეშ მყოფი პირების სიკვდილით დასჯას იმ შემთხვევაში შეიძლება ითვალისწინებდეს, როცა მათ ბრალი მიუძღვით ჯაშუშობაში, ოკუპანტი სახელმწიფოს სამხედრო ობიექტების წინააღმდეგ სერიოზული დივერსიული აქტების ჩადენაში, წინასწარ განზრახული სამართალდარღვევების განხორციელებაში, რომელთა შედეგად ერთი ან რამდენიმე ადამიანი დაიღუპა და იმ პირობით, რომ ოკუპაციამდე მოქმედი ოკუპირებული სახელმწიფოს კანონმდებლობა მსგავსი დანაშაულებისათვის სიკვდილით დასჯას ითვალისწინებდა.

სასიკვდილო განაჩენის გამოტანა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება, როცა სასამართლოს ყურადღება განსაკუთრებულად იყო გამახვილებული იმ გარემოებაზე, რომ ბრალდებული ოკუპანტი სახელმწიფოს მოქალაქე არ არის და მასთან ერთგულების რაიმე ვალდებულებით არ არის დაკავშირებული.

ნებისმიერ შემთხვევაში, სასიკვდილო განაჩენის გამოტანა ყოვლად დაუშვებელია, თუ სამართალდარღვევის ჩადენის მომენტში დამნაშავეს თვრამეტი წელი არ შესრულებია.

მუხლი 69

ყველა შემთხვევაში წინასწარი პატიმრობის ვადა თავისუფლების აღკვეთის იმ ვადაში ჩაითვლება, რომელიც შეიძლება დაცვის ქვეშ მყოფ პირს მიესაჯოს.

მუხლი 70

ოკუპანტ სახელმწიფოს არ შეუძლია დაცვის ქვეშ მყოფი პირის დაპატიმრება, დევნა ან გასამართლება ოკუპაციამდე ან ოკუპაციის დროებითი შეწყვეტის მომენტში ჩადენილი ქმედებების ან გამოთქმული მოსაზრებებისათვის, გამონაკლისია ომის კანონებისა და ჩვეულებების დარღვევა. ოკუპანტი სახელმწიფოს მოქალაქე, რომელიც კონფლიქტის დაწყებამდე ოკუპირებულ ტერიტორიაზე თავშესაფარს ეძებდა, შეიძლება დაპატიმრებული, სასამართლოსთვის გადაცემული, გასამართლებული ან დეპორტირებული იყოს მხოლოდ საომარი მოქმედებების დაწყების შემდეგ ჩადენილი სამართალდარღვევებისათვის ან მანამდე ჩადენილი სისხლის სამართლებრივი დანაშაულებისათვის, რომელთა ჩადენისათვის, ოკუპირებული სახელმწიფოს კანონმდებლობით, დამნაშავე მშვიდობიან დროსაც ექსტრადიციას დაექვემდებარებოდა.

მუხლი 71

ოკუპანტი სახელმწიფოს კომპეტენტურ სასამართლო ორგანოებს განაჩენის გამოტანა საქმის დადგენილი პროცესუალური წესით განხილვის გარეშე არ შეუძლიათ.

ნებისმიერ პირს, რომელსაც ოკუპანტი სახელმწიფო ბრალს უყენებს, ამის შესახებ დაუყოვნებლივ წერილობით მისთვის გასაგებ ენაზე აცნობებენ, მის წინააღმდეგ წაყენებული ბრალდების დაწვრილებითი მითითებით და მისი საქმე, შეძლებისამებრ, უმოკლეს ვადაში განიხილება. მფარველ სახელმწიფოს უნდა ეცნობოს ოკუპანტი სახელმწიფოს მხრიდან დაცვის ქვეშ მყოფ პირთა დევნის ყოველი შემთხვევა. აღნიშნული ეხება ისეთი დანაშაულისთვის დევნას, რომელიც სიკვდილით ან ორი ან მეტი წლით თავისუფლების აღკვეთით ისჯება. მფარველ სახელმწიფოს ნებისმიერ დროს შეუძლია აღნიშნულ საქმეთა მიმდინარეობას გაეცნოს. ამას გარდა, მფარველ სახელმწიფოს უფლება აქვს ამგვარი საქმეებისა და დაცვის ქვეშ მყოფი პირების დევნის შესახებ ყველა მონაცემი მიიღოს.

მფარველ სახელმწიფოს ამ მუხლის მეორე პარაგრაფში მითითებული შეტყობინება დაუყოვნებლივ ეგზავნება; ნებისმიერ შემთხვევაში მფარველმა სახელმწიფომ შეტყობინება საქმის მოსმენის დაწყებამდე სამი კვირით ადრე უნდა მიიღოს. საქმის მოსმენა ვერ დაიწყება, თუ არ დასაბუთდა, რომ ამ მუხლის დებულებები შესრულებულია. შეტყობინება შემდეგ მონაცემებს უნდა შეიცავდეს:

- (ა) ბრალდებულის ვინაობა;
- (ბ) ინტერნირების ან პატიმრობის ადგილი;
- (გ) ბრალდების ან ბრალდებათა დეტალური ახსნა შესაბამის სისხლის სამართლის დებულებებზე მითითებით;
- (დ) სასამართლოს დასახელება, რომელმაც საქმე უნდა განიხილოს;
- (ე) საქმის პირველი მოსმენის ადგილი და თარიღი.

მუხლი 72

ყოველ ბრალდებულს უფლება აქვს მისი დაცვისთვის საჭირო მტკიცებულებები წარმოადგინოს და სასამართლოში მოწმეთა გამოძახება ითხოვოს. მას უფლება აქვს აირჩიოს კვალიფიციური დამცველი, რომელიც მას შეუზღუდავად მოინახულებს და რომელსაც დაცვის მოსამზადებლად ყველა საჭირო შესაძლებლობა ექნება.

თუ ბრალდებული ადვოკატს ან დამცველს თავად არ ირჩევს, იგი შეიძლება მფარველმა სახელმწიფომ დანიშნოს. როცა წაყენებული ბრალდება სერიოზულია და მფარველი სახელმწიფო არ არსებობს, ოკუპანტი სახელმწიფო, ბრალდებულის თანხმობის საფუძველზე, ადვოკატს ან დამცველს თავად ნიშნავს.

ყველა ბრალდებული, გარდა მის მიერ გამოთქმული უარისა, წინასწარი გამოძიების დროს, ასევე სასამართლოს სხდომებზე სარგებლობს თარჯიმნის დახმარებით. მას შეუძლია თარჯიმანი ნებისმიერ დროს გააპროტესტოს და მისი შეცვლა მოითხოვოს.

მუხლი 73

ყოველ მსჯავრდებულს შეუძლია ისარგებლოს სასამართლოს მიერ გამოყენებული და კანონმდებლობით გათვალისწინებული გასაჩივრების უფლებით. იგი სრულად უნდა იყოს ინფორმირებული გასაჩივრების ან შუამდგომლობის დაყენების, ისევე როგორც გასაჩივრების ვადების შესახებ. წინამდებარე ნაწილში გათვალისწინებული სისხლის სამართლის პროცესუალური წესი, რამდენადაც შესაძლებელია, გამოიყენება გასაჩივრების უფლების მიმართაც. იმ შემთხვევაში, როცა სასამართლოს მიერ გამოყენებულ კანონმდებლობაში გასაჩივრების უფლებასთან დაკავშირებული დებულებები არ შედის, მსჯავრდებულს შეუძლია განაჩენი ოკუპანტი სახელმწიფოს შესაბამისი ხელისუფლების წინაშე გაასაჩივროს.

მუხლი 74

მფარველი სახელმწიფოს წარმომადგენლებს უფლება აქვთ დაესწრონ ნებისმიერ სასამართლო სხდომას, რომელიც დაცვის ქვეშ მყოფი პირების საქმეს იხილავს, იმ გამონაკლისი შემთხვევების გარდა, როცა ოკუპანტი სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარე, საქმის მოსმენა დახურულ კარს მიღმა უნდა წარიმართოს, რაც ამ უკანასკნელმა უნდა აცნობოს მფარველ სახელმწიფოს. მფარველ სახელმწიფოს უნდა შეატყობინონ სასამართლოში საქმის განხილვის დაწყების ადგილი და თარიღი.

ყოველ განაჩენს, რომელიც სიკვდილით დასჯას ან ორი ან მეტი წლით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს, განაჩენის დასაბუთების მითითებით, უმოკლეს ვადაში მფარველ სახელმწიფოს აცნობებენ.

შეტყობინება უნდა შეიცავდეს მითითებას 71-ე მუხლის თანახმად გაკეთებული შეტყობინების შესახებ და თავისუფლების აღკვეთის შესახებ გამოტანილი განაჩენის შემთხვევაში - ცნობას სასჯელის მოხდის ადგილის თაობაზე. სხვა განაჩენები, გარდა ზემოაღნიშნულისა, სასამართლოში ინახება და გადასინჯვისათვის მფარველი სახელმწიფოს წარმომადგენლებს წარედგინებათ. როცა განაჩენი სიკვდილით დასჯას ან ორი ან მეტი წლით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს, მისი გასაჩივრების ვადის ათვლა არ დაიწყება მანამდე, სანამ მფარველი სახელმწიფო არ მიიღებს შეტყობინებას განაჩენის შესახებ.

მუხლი 75

სიკვდილმისჯილს არავითარ შემთხვევაში არ უნდა ჩამოერთვას შეწყალების ან განაჩენის აღსრულების გადავადებისათვის შუამდგომლობის წარდგენის უფლება.

არც ერთი სასიკვდილო განაჩენი სისრულეში არ მოიყვანება სულ მცირე ექვსი თვის გასვლამდე მას შემდეგ, რაც მფარველმა სახელმწიფომ განაჩენის დამამტკიცებელი საბოლოო სასამართლო გადაწყვეტილების შესახებ შეტყობინება ან შეწყალებაზე უარის მთქმელი ბრძანება მიიღო.

ცალკეულ შემთხვევებში, როდესაც განსაკუთრებული მდგომარეობის გამო საფრთხე ოკუპანტი სახელმწიფოს ან მისი შეიარაღებული ძალების უშიშროებას ექმნება, აღნიშნული ექვსთვიანი ვადა შეიძლება შემცირდეს, რის შესახებაც მფარველ სახელმწიფოს ყოველთვის აცნობებენ. მფარველ სახელმწიფოს შეეძლება მიმართოს კომპეტენტურ ოკუპანტ ხელისუფლებას ამ სასიკვდილო განაჩენის თაობაზე, რისთვისაც მას აუცილებელი დრო მიეცემა.

მუხლი 76

დაცვის ქვეშ მყოფ ბრალდებულ პირებს ოკუპირებულ ქვეყანაში დააპატიმრებენ და სათანადო განაჩენის არსებობის შემთხვევაში ისინი სასჯელს იქვე მოიხდიან. შესაძლებლობების ფარგლებში, მათ სხვა პატიმრებისგან განცალკევებით მოათავსებენ და დაწესდება ჯანმრთელობის ნორმალური მდგომარეობის შენარჩუნებისათვის საჭირო სამედიცინო და კვების რეჟიმი, რომელიც სულ მცირე ოკუპირებული სახელმწიფოს ციხეების რეჟიმის შესაბამისი იქნება.

აღნიშნული პირები მიიღებენ მათი ჯანმრთელობის მდგომარეობისათვის აუცილებელ სამედიცინო დახმარებას.

ამასთანავე მათ ნებისმიერი სახის სულიერი დახმარების მიღების უფლებაც ექნებათ.

ქალებს მოათავსებენ ცალკე სათავსებში, ქალთა პერსონალის უშუალო ზედამხედველობის ქვეშ.

მხედველობაში უნდა იქნას მიღებული არასრულწლოვანთათვის განკუთვნილი სპეციალური რეჟიმი.

დაპატიმრებული დაცვის ქვეშ მყოფი პირები შეიძლება მფარველი სახელმწიფოსა და წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის დელეგატებმა 143-ე მუხლის თანახმად მოინახულონ.

ასეთ პირებს შესაძლებლობა ექნებათ მიიღონ თვეში არანაკლებ ერთი დახმარების გზავნილისა.

მუხლი 77

ოკუპირებულ ტერიტორიაზე სამართალდარღვევისათვის ბრალ-დებული ან სასამართლოების მიერ მსჯავრდებული დაცვის ქვეშ მყოფი პირები, ოკუპაციის დამთავრების შემდეგ, მათზე გახსნილი საქმეებითურთ გათავისუფლებული ტერიტორიის ხელისუფლებას გადაეცემა ან.

მუხლი 78

თუ უშიშროების იმპერატიული მოსაზრებებიდან გამომდინარე, ოკუპანტი სახელმწიფო აუცილებლად ჩათვლის დაცვის ქვეშ მყოფი პირების მიმართ უსაფრთხოების ზომების მიღებას, უკიდურეს შემთხვევაში მას შეეძლება, მათი გარკვეულ საცხოვრებელზე მიმაგრება ან ინტერნირება.

გადაწყვეტილებას გარკვეულ საცხოვრებელზე მიმაგრების ან ინტერნირების შესახებ იღებს ოკუპანტი სახელმწიფო წინამდებარე კონვენციის საფუძველზე შემუშავებული რეგულარული პროცედურის თანახმად. ეს პროცედურა დაინტერესებულ პირთა მხრიდან აპელაციის უფლებას უნდა ითვალისწინებდეს. აპელაციის შესახებ გადაწყვეტილებები უმოკლეს ვადაში უნდა იყოს მიღებული. თუ საცხოვრებელზე მიმაგრების ან ინტერნირების შესახებ გადაწყვეტილება ძალაში რჩება, შესაბამისი სახელმწიფოს მიერ შექმნილი კომპეტენტური ორგანო მას პერიოდულად, ყოველ ექვს თვეში ერთხელ მაინც გადასინჯავს.

დაცვის ქვეშ მყოფი პირები, რომლებიც გარკვეულ ადგილას საცხოვრებელზე მიმაგრების გამო იძულებულნი იყვნენ თავისი მუდმივი საცხოვრებელი ადგილები დაეტოვებინათ, წინამდებარე კონვენციის 39-ე მუხლით გათვალისწინებული ყველა უპირატესობით სარგებლობენ.

ნაწილი IV
ინტერნირებულთან მოპყრობის წესები

თავი I
ზოგადი დებულებები

მუხლი 79

კონფლიქტის მონაწილე მხარეებს დაცვის ქვეშ მყოფი პირების ინტერნირება შეუძლიათ მხოლოდ 41-ე, 42-ე, 43-ე, 68-ე და 78-ე მუხლების დებულებათა შესაბამისად.

მუხლი 80

ინტერნირებულები თავის სამოქალაქო უფლებაუნარიანობას სრულად ინარჩუნებენ და მისგან გამომდინარე უფლებებს ახორციელებენ იმდენად, რამდენადაც ამის საშუალებას მათი სტატუსი იძლევა.

მუხლი 81

კონფლიქტის მონაწილე მხარეები, რომლებმაც დაცვის ქვეშ მყოფი პირების ინტერნირება მოახდინეს, ვალდებული არიან უზრუნველყონ მათი არსებობა და ჯანმრთელობისათვის საჭირო სამედიცინო დახმარება გაუწიონ.

გაწეული ხარჯების ასანაზღაურებლად დაუშვებელია ინტერნირებულთა დახმარების თანხიდან, ხელფასიდან ან მათი კუთვნილი თანხიდან ნაწილის დაქვითვა.

სახელმწიფო, რომლის ხელისუფლებაშიც ინტერნირებულები იმყოფებიან, უნდა დაეხმაროს ინტერნირებულთა კმაყოფაზე მყოფ იმ პირებს, რომელთაც საარსებო საშუალებანი არა აქვთ ან თავისი თავის რჩენა არ შეუძლიათ.

მუხლი 82

სახელმწიფო, რომლის ხელისუფლებაშიც იმყოფებიან ინტერნირებულები, შეძლებისამებრ განათავსებს მათი მოქალაქეობის, ენისა და ჩვეულებების მიხედვით. ერთი და იმავე სახელმწიფოს მოქალაქეები არ უნდა იყვნენ განცალკევებით მოთავსებულნი მხოლოდ ენობრივი განსხვავების გამო.

ინტერნირების მთელი პერიოდის მანძილზე ერთი ოჯახის წევრები, განსაკუთრებით მშობლები და შვილები ერთად უნდა იყვნენ მოთავსებულნი, გამონაკლისია შემთხვევები, როცა სამუშაო ან ჯანმრთელობის მდგომარეობა, ან წინამდებარე ნაწილის IX თავის დებულებების გამო-

ყენება დროებით განშორებას აუცილებელს ხდის. ინტერნირებულებს შეუძლიათ მოითხოვონ, რომ მათი შვილები, რომლებიც ინტერნირებული არ არიან და მშობლის მზრუნველობას მოკლებულნი არიან, მათთან ერთად იყვნენ ინტერნირებულნი.

ყველა შესაძლო შემთხვევაში ერთი ოჯახის წევრებს ერთ შენობაში მოათავსებენ, სადაც ისინი სხვებისაგან განცალკევებით იცხოვრებენ. მათ უნდა ჰქონდეთ სათანადო ოჯახური ცხოვრების წარსამართად საჭირო ყველა აუცილებელი საშუალება.

თავი II ინტერნირების აღბილება

მუხლი 83

სახელმწიფომ, რომლის ხელისუფლებაშიც იმყოფებიან ინტერნირებულები, ინტერნირების აღბილება სამხედრო თვალსაზრისით განსაკუთრებულად სახიფათო აღბილებაში არ უნდა განაღავოს.

სახელმწიფო, რომლის ხელისუფლებაშიც იმყოფებიან ინტერნირებულები, მოწინააღმდეგე მხარეებს მფარველი სახელმწიფოს მეშვეობით ინტერნირების აღბილების ყველა გეოგრაფიულ მონაცემს აცნობებს.

ყოველთვის, როცა ეს სამხედრო თვალსაზრისით შესაძლებელი იქნება, ინტერნირების ბანაკები ასოებით „IC“ ისე აღინიშნება, რომ ისინი საჭიერო სივრციდან გარკვევით გამოჩნდეს. ამასთანავე, დაინტერესებული მხარეები აღნიშნვის სხვაგვარ წესზეც შეიძლება შეთანხმდნენ. არ შეიძლება ინტერნირებულთა ბანაკის გარდა რომელიმე სხვა ობიექტის ამგვარად აღნიშვნა.

მუხლი 84

ინტერნირებულებს სამხედრო ტყვეებისა და სხვა ნებისმიერი მიზეზით თავისუფლებააღკვეთილი პირებისაგან განცალკევებით მოათავსებენ და მათ საკუთარი ადმინისტრაცია ეყოლება.

მუხლი 85

სახელმწიფო, რომლის ხელისუფლებაშიც ინტერნირებულები იმყოფებიან, ვალდებულია მიიღოს ყველა აუცილებელი და შესაძლო ზომა, რათა ინტერნირებული დაცვის ქვეშ მყოფი პირები ისეთ შენობებსა და ნაგებობებში მოათავსონ, რომლებიც ჰიგიენისა და ჯანმრთელობის

შენარჩუნების თვალსაზრისით ყველა გარანტიას ქმნის და მკაცრი კლიმატური პირობებისა და საომარი მოქმედებებისგან საკმარის დაცვას უზრუნველყოფს. ინტერნირების ადგილები არაჯანსაღ ან ინტერნირებულთა ჯანმრთელობისათვის მავნე კლიმატის მქონე ადგილებში არავითარ შემთხვევაში არ უნდა განლაგდეს. ყველა შემთხვევაში, როცა დაცვის ქვეშ მყოფი პირები ამგვარ ადგილებში დროებით არიან ინტერნირებულნი, არაჯანსაღ ადგილას იმყოფებიან ან კლიმატი მათ ჯანმრთელობას ვნებს, პირველი შესაძლებლობისთანავე ისინი ინტერნირების სხვა ადგილას უნდა გადაიყვანონ.

ნაგებობები საკმარისად უნდა იყოს დაცული ნესტისგან, კარგად უნდა თბებოდეს და ნათლებოდეს, განსაკუთრებით ეს ეხება სიბნელის დადგომასა და სინათლის გამორთვის დადგენილი დროის შორის ინტერვალს. საძილე შენობები საკმარისად ფართო უნდა იყოს და კარგად უნდა ნიავებოდეს. ინტერნირებულებს საჭირო საძილე მოწყობილობები და საბნების საკმარისი რაოდენობა უნდა ჰქონდეთ. ამასთან, გასათვალისწინებელია კლიმატი, ინტერნირებულთა ასაკი, სქესი და ჯანმრთელობის მდგომარეობა.

დღე-ღამის განმავლობაში ინტერნირებულების განკარგულებაში იქნება სანიტარული დანადგარები, რომლებიც ჰიგიენის მოთხოვნებს შეესაბამება და მუდმივად სუფთად ინახება. ისინი ყოველდღიური ტუალეტისა და თეთრეულის რეცხვისათვის საპნის საკმარის რაოდენობას მიიღებენ; ამ მიზნით მათ საჭირო დანადგარებიც დაეთმობათ. მათთვის საშხაპეებს და აბანოებსაც მოაწილებენ. რეცხვისა და დასუფთავებისათვის უნდა იქნას გამოყოფილი საკმარისი დრო.

იმ შემთხვევაში, როცა გამონაკლისის სახით დროებით საჭირო ხდება ინტერნირებული ქალების ინტერნირებულ იმ მამაკაცებთან ერთად მოთავსება, რომლებიც მათი ოჯახის წევრები არ არიან, აუცილებლად უნდა მოხდეს ქალებისათვის ცალკე საძინებლებისა და სანიტარული დანადგარების გამოყოფა.

მუხლი 86

სახელმწიფო, რომლის ხელისუფლებაშიც იმყოფებიან ინტერნირებულები, მათი აღმსარებლობისდა მიუხედავად, გამოყოფს მათთვის რელიგიური წესების აღსრულებისათვის აუცილებელ სათავსებს.

მუხლი 87

ინტერნირების ყველა ადგილას, გარდა იმისა, სადაც სხვა შესაბამისი საშუალებები არსებობს, უნდა მოეწიოს სურსათ-სანოვავის მაღაზიები, რათა ინტერნირებულებმა შეძლონ ადგილობრივი საბაზრო ფასების ფარგლებში პროდუქტებისა და ყოველდღიური მოხმარების

იმ საგნების შექმნა, რომელთაც მათი ყოფითი პირობებისა და კეთილდღეობის გაუმჯობესება შეუძლია, აღნიშნულ საგნებში იგულისხება საპონი და თაბაკაქოც.

სურსათ-სანოვაგის მაღაზიების საქმიანობისგან მიღებული მოგება ინტერნირების ადგილას შექმნილ დახმარების ფონდში ჩაირიცხება და ამ ადგილზე მყოფი ინტერნირებულების ინტერესებისათვის გამოიყენება. 102-ე მუხლის შესაბამისად შექმნილ ინტერნირებულთა კომიტეტს უფლება აქვს მეთვალყურეობა გაუწიოს სურსათ-სანოვაგის მაღაზიებში საქმის მიმდინარეობასა და ფონდის მიზნობრივ გამოყენებას.

ინტერნირების რომელიმე ადგილის ლიკვიდაციის შემთხვევაში, ფონდის თანხების ნარჩენი სხვა ინტერნირების ადგილის დახმარების ფონდში გადადის, სადაც იმავე ეროვნების ინტერნირებულები იმყოფებიან, ან, თუ ასეთი ადგილი არ არსებობს - დახმარების ცენტრალურ ფონდში, რომელიც დამკავებელი სახელმწიფოს ხელისუფლებაში მყოფი ყველა ინტერნირებულის დასახმარებლად იარსებებს. საყოველთაო გათავისუფლებისას, დაინტერესებულ ქვეყნებს შორის საწინააღმდეგო შეთანხმების არარსებობის შემთხვევაში, მოგება დამატყვევებელ სახელმწიფოსთან რჩება.

მუხლი 88

ინტერნირების ყოველ ადგილზე საჰაერო თავდასხმებისა და ომის სხვა საშიშროებათაგან დაცვის უზრუნველსაყოფად საკმარისი რაოდენობისა და სათანადო აგებულების თავშესაფრები უნდა აშენდეს. განგაშის შემთხვევაში, ინტერნირებულებს თავშესაფრებში რაც შეიძლება სწრაფად შესვლა უნდა შეეძლოს, გამონაკლისია პირები, რომლებიც შენობებს იცავენ. ზემოაღნიშნულ საშიშროებათაგან მოსახლეობის დაცვისათვის განხორციელებული ყველა ზომა ინტერნირებულებზეც თანაბრად გავრცელდება.

ინტერნირების ადგილებში ყველა აუცილებელი ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიება უნდა გატარდეს.

თავი III

კვება და ტანსაცმელი

მუხლი 89

კვების ძირითადი დღიური რაციონი თავისი რაოდენობით, ხარისხითა და მრავალფეროვნებით საკმარისი უნდა იყოს ინტერნირებულთა ჯანმრთელობის ნორმალური მდგომარეობის შესანარჩუნებლად და არასაკმარის კვებასთან დაკავშირებული მოვლენების თავიდან ასა-

ცილებლად. ანგარიში უნდა გაეწიოს ინტერნირებულთათვის ჩვეულ კვების რეჟიმსაც.

გარდა ამისა, ინტერნირებულებს უნდა მიეცეთ მათ განკარგულებაში არსებული დამატებითი პროდუქტებისაგან კერძების თავად მომზადების შესაძლებლობა.

ინტერნირებულები სასმელი წყლის საკმარისი რაოდენობით უნდა მოამარაგონ. თამბაქოს მოწევა ნებადართული უნდა იყოს.

მომუშავე ინტერნირებულებს მათ მიერ შესრულებული სამუშაოს თანაზომიერად დამატებითი საკვები უნდა მიეცეთ.

ორსულმა და მშობიარე ქალებმა და თხუთმეტი წლის ასაკამდე ბავშვებმა დამატებითი საკვები მათი ფიზიოლოგიური მოთხოვნილებების თანაზომიერად უნდა მიიღონ.

მუხლი 90

ინტერნირებულებს შესაძლებლობა უნდა ჰქონდეთ დაკავების მომენტში მოიმარაგონ ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, საცვლები და მოგვიანებით, საჭიროების შემთხვევაში დამატებითი მარაგი შეიძინონ. თუ ინტერნირებულს კლიმატური პირობების შესაბამისი საკმარისი ტანისამოსი არა აქვს და მისი შექენა არ შეუძლია, სახელმწიფომ, რომლის ხელისუფლებაშიც ინტერნირებულები იმყოფებიან, იგი უფასოდ უნდა უზრუნველყოს.

ტანსაცმელი, რომლითაც სახელმწიფო ინტერნირებულებს უზრუნველყოფს, მასზე დატანებული გარეგნული ნიშნებით, არ უნდა იყოს შეურაცხყოფელი და დაცინვის საბაბს არ უნდა წარმოადგენდეს.

მომუშავეებმა უნდა მიიღონ შესასრულებელი სამუშაოს სპეციფიკის შესატყვისი სამუშაო აღჭურვილობა, მათ შორის სპეცტანსაცმელი.

თავი IV

ჰიბიენა და სამედიცინო დახმარება

მუხლი 91

ინტერნირების ყველა ადგილს უნდა ჰქონდეს შესაბამისი ლაზარეთი, რომელსაც უხელმძღვანელებს კვალიფიციური ექიმი. ლაზარეთში ინტერნირებულები საჭირო დახმარებას მიიღებენ და ექნებათ კვების სათანადო რეჟიმი. საჭიროების შემთხვევაში, გადამდები სნეულებებით და სულიერად დაავადებული ავადმყოფებისათვის შეიქმნება იზოლატორები.

მშობიარეებსა და ინტერნირებულებს, რომლებიც მძიმედ არიან დაა-

ვადებულნი ან რომელთა ჯანმრთელობის მდგომარეობაც სპეციალურ მკურნალობას, ქირურგიულ ჩარევას ან ჰოსპიტალიზაციას ითხოვს, ნებისმიერ დაწესებულებაში მიიღებენ, რომელსაც მათი შესაბამისი მკურნალობის უზრუნველყოფა შეუძლია. ისინი მიიღებენ სამედიცინო დახმარებას, რომელიც ხარისხით მოსახლეობისათვის გათვალისწინებული სტანდარტებია.

ინტერნირებულებს სამედიცინო დახმარებას უპირატესად მათივე თანამოქალაქე სამედიცინო პერსონალი გაუწევს.

არ შეიძლება ხელი შეეშალოს ინტერნირებულთა სამედიცინო პერსონალთან მიღებაზე მისვლას. დამატყვევებელი სახელმწიფოს სამედიცინო ხელისუფლება ყოველ ინტერნირებულს, რომელიც მკურნალობს, მისი თხოვნის საფუძველზე მისცემს ოფიციალურ ცნობას დაავადების ან ჭრილობის ხასიათის, მკურნალობის ხანგრძლივობისა და ხასიათის შესახებ. ამ ცნობის დუბლიკატი უნდა გაეგზავნოს 140-ე მუხლში მითითებულ ცენტრალურ სააგენტოს.

ინტერნირებულთა მკურნალობა, მათ შორის ჯანმრთელობის ნორმალური მდგომარეობის შესანარჩუნებლად საჭირო დანადგარებით უზრუნველყოფა, კბილის ან სხვა ხელოვნური პროთეზებისა და სათვალეების ჩათვლით, უფასოა.

მუხლი 92

ინტერნირებულთა სამედიცინო შემოწმება, სულ მცირე, თვეში ერთხელ უნდა ჩატარდეს. კერძოდ, ეს შემოწმებები მიზნად უნდა ისახავდეს ჯანმრთელობის საერთო მდგომარეობაზე, კვებასა და ინტერნირებულთა სისუფთავეზე ზედამხედველობას, აგრეთვე გადაძვლები სნეულებების, განსაკუთრებით ტუბერკულოზის, მალარიისა და ვენერიული დაავადებების გამოვლენას. ასეთი შემოწმებები მოიცავს კონკრეტულად თითოეული ინტერნირებულის აწონვასა და წელიწადში სულ მცირე ორჯერ რენტგენით გაშუქებას.

თავი V

რელიგიური, ინტელექტუალური და ფიზიკური საქმიანობა

მუხლი 93

ინტერნირებულებს სრული თავისუფლება მიენიჭებათ მათი რელიგიური წესების აღსასრულებლად, შესაბამის რელიგიურ წირვებზე დასწრების ჩათვლით, იმ პირობით, რომ ისინი დამკავებელი ხელისუფლების მიერ დაწესებულ დისციპლინას დაიცავენ.

ინტერნირებულ სასულიერო პირებს შეუძლიათ თავისუფლად აღას-

რულონ თავისი მოვალეობანი ერთმორწმუნეთა შორის. ამ მიზნით სახელმწიფო, რომლის ხელისუფლებაშიც ინტერნირებულები იმყოფებიან, იზრუნებს, რათა სასულიერო პირები თანაბრად განაწილდნენ ინტერნირების ადგილებში, სადაც იმყოფებიან ერთსა და იმავე ენაზე მოსაუბრე და ერთი აღმსარებლობის ინტერნირებულები. როდესაც სასულიერო პირების საკმარისი რაოდენობა არ არის, სახელმწიფო მათ შესაბამის პირობებს შეუქმნის, კერძოდ კი გამოუყოფს სატრანსპორტო საშუალებებს, რათა მათ ინტერნირების ერთი ადგილიდან მეორეში გადაადგილება და საავადმყოფოებში მყოფ ინტერნირებულთა მონახულება შეძლონ. სასულიერო პირები იმ სახელმწიფოს სასულიერო ხელისუფლებასთან, რომლის ხელისუფლებაშიც ინტერნირებულები იმყოფებიან, და რამდენადაც ეს შესაძლებელი იქნება, მათი აღმსარებლობის საერთაშორისო რელიგიურ ორგანიზაციებთან თავისუფალი მიმოწერის უფლებით სარგებლობენ. ეს მიმოწერა 107-ე მუხლში მითითებულ ქვოტას არ ექვემდებარება, თუმცა მასზე ვრცელდება 112-ე მუხლის დებულებანი.

იმ შემთხვევაში, როცა ინტერნირებულები მათი აღმსარებლობის სასულიერო პირის სულიერი დახმარებით ვერ სარგებლობენ, ან იმ შემთხვევაში, როცა ეს უკანასკნელი არასაკმარისი რაოდენობით არიან წარმოდგენილი, იმავე აღმსარებლობის სასულიერო ხელისუფალთ, იმ სახელმწიფოს თანხმობით, რომლის ხელისუფლებაშიც ინტერნირებულები იმყოფებიან, შეუძლიათ იმავე აღმსარებლობის სასულიერო პირი დანიშნონ ან, თუ ეს რელიგიური თვალსაზრისით დასაშვებია – გამოყონ მსგავსი რელიგიის წარმომადგენელი სასულიერო ან სათანადოდ კვალიფიცირებული ერისკაცი. ეს უკანასკნელი ისარგებლებენ დაკისრებული მოვალეობებიდან გამომდინარე მათთვის გამოყოფილი საშუალებებით. ამგვარად დანიშნულმა პირებმა იმ სახელმწიფოს მიერ, რომლის ხელისუფლებაშიც ინტერნირებულები იმყოფებიან, დისციპლინისა და უსაფრთხოების დაცვის მიზნით დადგენილი ყველა წესი უნდა დაიცვან.

მუხლი 94

სახელმწიფო, რომლის ხელისუფლებაშიც ინტერნირებულები იმყოფებიან, წაახალისებს მათ ინტელექტუალურ, საგანმანათლებლო, რეკრეაციულ, სპორტულ და გასართობ საქმიანობას და მიანიჭებს მათ ასეთ საქმიანობაში მონაწილეობის სრულ თავისუფლებას. სახელმწიფომ ამგვარი საქმიანობა აუცილებელი პრაქტიკული საშუალებებით, კერძოდ, სათავსების გამოყოფით უნდა უზრუნველყოს.

სწავლის გასაგრძელებლად ან ახალი საგნების დასაუფლებლად ინტერნირებულთათვის შეძლებისამებრ ყველა საშუალება უნდა იქნას გამოყოფილი. უზრუნველყოფილი უნდა იყოს ბავშვებისა და მოზარდების განათლება; მათ უნდა შეეძლოთ სკოლებში იარონ ინტერნირების ბანაკებში ან მის ფარგლებს გარეთ.

ინტერნირებულებს შესაძლებლობა ექნებათ სპორტული ვარჯიშების შესრულებას, სპორტს ან სუფთა ჰაერზე თამაშებს მისდიონ. ამ მიზნით, ინტერნირების ყველა ადგილას საკმარისი თავისუფალი ფართობი უნდა გამოიყოს. ბავშვებისა და მოზარდებისათვის სპეციალური სათამაშო მოედნები გამოიყოფა.

მუხლი 95

სახელმწიფოს, რომლის ხელისუფლებაშიც იმყოფებიან ინტერნირებულები, მათი დასაქმება მხოლოდ მათი სურვილის გათვალისწინებით შეუძლია. ნებისმიერ შემთხვევაში აკრძალულია სამუშაო, რომელსაც არაინტერნირებული დაცვის ქვეშ მყოფი პირი იძულებით ასრულებს და რის შედეგად წინამდებარე კონვენციის მე-40 ან 51-ე მუხლები ირღვევა, აგრეთვე როდესაც სამუშაოს აქვს შეურაცხმყოფელი და დამამცირებელი ხასიათი.

ექვსი კვირის მუშაობის შემდეგ ინტერნირებულს შეუძლია მუშაობა ნებისმიერ დროს შეწყვიტოს, რის შესახებაც მან რვა დღით ადრე უნდა განაცხადოს.

ეს დებულებები ხელს არ უშლის ინტერნირების განმახორციელებელ სახელმწიფოს დაასაქმოს ინტერნირებული ექიმები, კბილის ექიმები და სამედიცინო პერსონალის სხვა წევრები სხვა ინტერნირებულთა სასარგებლოდ, გამოიყენონ ინტერნირებულები ბანაკების მოვლასა და მოწესრიგებასთან დაკავშირებულ სამუშაოებზე; შეასრულებინონ მათ სამზარეულო ან სხვა სამეურნეო სამუშაოები და ბოლოს, გამოიყენონ ისინი საპაერო დაბომბვისა და ომის სხვა საფრთხეთაგან თავდაცვით სამუშაოებში. თუმცა, არც ერთმა ინტერნირებულმა იძულებით არ უნდა შეასრულოს სამუშაო, რომლისთვისაც იგი ადმინისტრაციის მიერ დანიშნული ექიმის დასკვნით ფიზიკურად შეუფერებელია.

სახელმწიფო, რომლის ხელისუფლებაშიც იმყოფებიან ინტერნირებულები, მთლიანად პასუხისმგებელია მუშაობის პირობებზე, სამედიცინო დახმარებაზე, ხელფასებზე, ასევე იმაზე, რომ ინტერნირებულები სამუშაოზე უბედური შემთხვევის გამო დაშავებისა და პროფესიული ტრავმებისათვის შესაბამის კომპენსაციას მიიღებენ. სამუშაო პირობები და უბედური შემთხვევებისა და პროფესიული ტრავმებისათვის კომპენსაცია, რომელიც არავითარ შემთხვევაში იმავე რაიონში ამგვარი სამუშაოსათვის გათვალისწინებულ პირობებსა და კომპენსაციაზე უარესი ან ნაკლები არ უნდა იყოს, ეროვნულ კანონმდებლობასა და არსებულ პრაქტიკას უნდა შეესაბამებოდეს. ხელფასი სამართლიანობის საფუძველზე დადგინდება ინტერნირებულსა და სახელმწიფოს შორის, რომლის ხელისუფლებაშიც ინტერნირებულები იმყოფებიან, ან, საჭიროების შემთხვევაში, სხვა სამუშაოს მიმცემთან დადებული შეთანხმების თანახმად. ამასთან, გათვალისწინებული უნდა იყოს ის ფაქტი, რომ სახელმწიფო, რომლის ხელისუფლებაშიც იმყოფებიან ინტერნირებულები, მოვალეა ყოველგვარი საფასურის გარეშე უზრუნველყოს ინტერნირე-

ბუღალტერული აღრიცხვა და მათი ჯანმრთელობისათვის საჭირო სამედიცინო დახმარება. ინტერნირებულები, რომლებიც ამ მუხლის მესამე პარაგრაფში მითითებულ სამუშაოებს მუდმივად ასრულებენ, სახელმწიფოსაგან, რომლის ხელისუფლებაშიც ისინი იმყოფებიან, სამართლიან ხელფასს მიიღებენ. მათი სამუშაო პირობები, სამუშაოზე დაშვებისა და პროფესიული ტრენინგებისათვის კომპენსაციის მოცულობა იმაზე უარესი ან ნაკლები არ უნდა იყოს, ვიდრე ეს ამ რაიონში მსგავსი სამუშაოებით დაკავებული პირებისთვისაა გათვალისწინებული.

მუხლი 96

ყოველი სამუშაო რაზმი ინტერნირების ადგილის დაქვემდებარებაში იქნება. დამკავებელი სახელმწიფოს შესაბამისი ხელისუფლების წარმომადგენლები და ამ ინტერნირების ადგილის კომენდანტი პასუხს აგებენ სამუშაო რაზმებში წინამდებარე კონვენციის დებულებათა შესრულებაზე. კომენდანტი აწარმოებს მის გამგებლობაში მყოფი სამუშაო რაზმების სიას და აცნობებს მას მფარველი სახელმწიფოს, წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტისა და სხვა ჰუმანიტარული ორგანიზაციების დელეგატებს, რომლებმაც შეიძლება ინტერნირების ადგილები მოინახულონ.

თავი VI

პირადი ნივთები და ფულადი სახსრები

მუხლი 97

ინტერნირებულებს შეუძლიათ დაიტოვონ პირადი მოხმარების ნივთები და საგნები. ფულადი სახსრების, ჩეკების, ფასიანი ქაღალდებისა და სხვათა, ასევე ძვირფასი ნივთების ჩამორთმევა მხოლოდ დადგენილი პროცედურის თანახმად შეიძლება, რასთან დაკავშირებითაც დაწვრილებითი მიღების ხელწერილები გაიცემა.

თანხები ინტერნირებულის პირად ანგარიშზე 98-ე მუხლის თანახმად ჩაირიცხება. არ შეიძლება ამ თანხების სხვა ვალუტაზე მფლობელის თანხმობის გარეშე გადაცემა, თუ ამას ამ ტერიტორიაზე მოქმედი კანონმდებლობა არ მოითხოვს.

აკრძალულია უმთავრესად სუბიექტური ღირებულების მქონე ფასეულობების ან მოსაგონარი ნივთების ჩამორთმევა.

ინტერნირებული ქალების ჩხრეკა მხოლოდ ქალებს შეუძლიათ.

გათავისუფლების ან რეპატრიაციის შემთხვევაში ინტერნირებული ხელზე იღებს ფულს, რომელიც მის სახელზე გახსნილი პირადი ანგა-

რიშის საკრედიტო სადღოა. ის ასევე მიიღებს ინტერნირების მომენტში ჩამორთმეულ ფულს, ჩეკებს, ფასიან ქაღალდებს და სხვა. გამონაკლისს შეადგენს ის საგნები ან ძვირფასეულობა, რომელიც მოქმედი კანონმდებლობით იმ სახელმწიფოს უნდა დარჩეს, რომლის ხელისუფლებაშიც ინტერნირებული იმყოფება. როდესაც ამ კანონმდებლობის თანახმად დაკავებულია ინტერნირებულის კუთვნილი ქონება, მის მფლობელზე ამასთან დაკავშირებით დაწერილებითი მიღების ხელწერილი გაიცემა.

საოჯახო და ვინაობის დამადასტურებელი დოკუმენტები, რომელიც ინტერნირებულებს ხელთ აქვთ, მათ მხოლოდ ხელწერილით ჩამოერთმევათ. ინტერნირებული არავითარ შემთხვევაში არ უნდა დარჩეს ვინაობის დამადასტურებელი მოწმობის გარეშე. მათზე, ვისაც ასეთი დოკუმენტები არა აქვთ, დამკავებელი ხელისუფლება გასცემს სპეციალურ დოკუმენტებს, რომელიც ინტერნირების დასრულებამდე ამ პირთა ვინაობის დამადასტურებელი მოწმობების ფუნქციას შეასრულებს.

ინტერნირებულებს შესყიდვების განხორციელების მიზნით შეიძლება ხელზე ჰქონდეთ გარკვეული რაოდენობის ფულადი თანხა ნაღდად ან შესასყიდი კუპონების სახით.

მუხლი 98

ყოველი ინტერნირებული კრედიტის ან შესასყიდი კუპონების სახით რეგულარულად მიიღებს საჭირო თანხას სურსათის ან ისეთი საგნების შესაძენად, როგორცაა თამბაქო, პირადი ჰიგიენის ნივთები, ა.შ.

გარდა ამისა, ინტერნირებულებმა შეიძლება დახმარება მიიღონ იმ სახელმწიფოსაგან, რომლის მოქალაქეებიც არიან, მფარველი სახელმწიფოსაგან, დამხმარე ორგანიზაციების ან თავიანთი ოჯახებისაგან, ისევე როგორც მიიღონ შემოსავალი თავისი ქონებიდან იმ სახელმწიფოს კანონმდებლობის თანახმად, რომლის ხელისუფლებაშიც ისინი იმყოფებიან. დახმარებათა მოცულობა, რომელსაც აგზავნის სახელმწიფო, რომლის მოქალაქეებიც ინტერნირებული არიან, ერთნაირი უნდა იყოს ყველა კატეგორიის ინტერნირებულთათვის (ინვალიდები, ავადმყოფები, ორსული ქალები, ა.შ.). ამ სახელმწიფოს მიერ დადგენილი დახმარების მოცულობა, ან დამკავებელი სახელმწიფოს მიერ მისი განაწილება არ უნდა ხდებოდეს დისკრიმინაციის საფუძველზე, რასაც კრძალავს წინამდებარე კონვენციის 27-ე მუხლი.

სახელმწიფო, რომლის ხელისუფლებაშიც ინტერნირებულები იმყოფებიან, ყოველი ინტერნირებულის სახელზე გასხნის პირად ანგარიშს, რომელზეც ჩაირიცხება წინამდებარე მუხლში მითითებული დახმარებები, ხელფასი, ასევე მის სახელზე გადმორიცხული თანხები. ანგარიშზე ასევე ჩაირიცხება ინტერნირებულისთვის ჩამორთმეული თანხები, რომლითაც იგი იმ კანონმდებლობის შესაბამისად ისარგებლებდა, რომელიც ინტერნირებულებით დასახლებულ ტერიტორიაზე მოქმედებს. ინტერნი-

რებულებს, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, შესაძლებლობა ექნებათ ფულადი დახმარება ოჯახებს და მათზე მატერიალურად დამოკიდებულ პირებს გაუგზავნონ. ინტერნირებულები, იმ სახელმწიფოს მიერ დადგენილ ფარგლებში, რომლის ხელისუფლებაშიც ისინი იმყოფებიან, შეძლებენ თავისი ანგარიშიდან პირადი ხარჯების დასაფარად აუცილებელი თანხების გამოტანას. ნებისმიერ დროს მათ შესაძლებლობა ექნებათ გაეცნონ თავისი ანგარიშების მდგომარეობას და მიიღონ ამონაწერები. თხოვნის საფუძველზე მფარველი სახელმწიფო ანგარიშების მდგომარეობას გაეცნობა. ინტერნირებულის სხვა ადგილზე გადასვლის შემთხვევაში თავისი პირადი ანგარიში მას თან მიყვება.

თავი VII ხელმძღვანელობა და დისციპლინა

მუხლი 99

ინტერნირების ყოველ ადგილს სათავეში უდგას ოფიცერი ან პასუხისმგებელი თანამდებობის პირი დამკავებელი სახელმწიფოს რეგულარული შეიარაღებული ძალების შემადგენლობიდან ან სამოქალაქო ადმინისტრაციის კადრებიდან. ინტერნირების ადგილის ხელმძღვანელ ოფიცერს ან თანამდებობის პირს თან ექნება წინამდებარე კონვენციის ტექსტი ოფიციალურ ან ერთ-ერთ ოფიციალურ ენაზე და იგი პასუხს აგებს მის შესრულებაზე. ინტერნირებულთა ზედამხედველი პერსონალი წინამდებარე კონვენციის დებულებებსა და მათ გამოსაყენებლად მიღებულ ადმინისტრაციულ ზომებს უნდა იცნობდეს.

წინამდებარე კონვენციის ტექსტი, ასევე ამ კონვენციის შესაბამისად დადებული სპეციალური შეთანხმების ტექსტები ინტერნირებულთათვის გასაგებ ენაზე ინტერნირების ადგილზე გამოიკვრება ან ინტერნირებულთა კომიტეტში შეინახება.

ინტერნირებულ პირებს, მათთვის გასაგებ ენაზე, უნდა აცნობონ ყოველი წესი, ბრძანება, განცხადება და შეტყობინება, რომელსაც ინტერნირების ადგილებში გამოაკრავენ.

ასევე, ცალკეული ინტერნირებულისთვის განკუთვნილ ყოველ ბრძანებასა და განკარგულებას მას მისთვის გასაგებ ენაზე მისცემენ.

მუხლი 100

დისციპლინა ინტერნირების ადგილებში ჰუმანურ პრინციპებს უნდა შეესაბამებოდეს და არავითარ შემთხვევაში არ უნდა მოიცავდეს წესებს, რომელიც ინტერნირებულებისაგან მათი ჯანმრთელობისათვის სახიფათო ფიზიკურ დაძაბვას მოითხოვს ან ფიზიკურ ან მორალურ

დაცინვას წარმოადგენს. აკრძალულია მოსვირინგება, დაშანთვა და სხვა ამოსაცნობი ნიშნების სხეულზე დადება.

აკრძალულია ინტერნირებულთა დიდი ხნით იძულებით ფეხზე დაყენება, ხანგრძლივი გადაძახილი, დასჯის მიზნით ფიზიკური ვარჯიში, სამხედრო წვრთნა ან საკვების რაციონის შემცირება.

მუხლი 101

ინტერნირებულებს უფლება აქვთ ხელისუფალთ, რომელთა დაქვემდებარებაშიც იმყოფებიან, შუამდგომლობით მიმართონ დადგენილი რეჟიმის თაობაზე.

მათ უფლება აქვთ ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე ინტერნირებულთა კომიტეტს ან, თუ საჭიროდ თვლიან, უშუალოდ მფარველი სახელმწიფოს წარმომადგენლებს მიმართონ და აცნობონ მათი ინტერნირების პირობების მიმართ თავისი საჩივრების შესახებ. ეს შუამდგომლობები და საჩივრები სასწრაფოდ და ყოველგვარი ცვლილების გარეშე უნდა გადაიცეს. იმ შემთხვევაში, თუ მათ დაუსაბუთებლად ჩათვლიან, ამას რაიმე სახის სასჯელი არ უნდა მოჰყვეს.

ინტერნირებულთა კომიტეტს შეუძლია მფარველი სახელმწიფოს წარმომადგენლებს პერიოდულად გაუგზავნოს მოხსენება ინტერნირების ადგილებში არსებული მდგომარეობისა და ინტერნირებულთა საჭიროებების შესახებ.

მუხლი 102

ინტერნირების ყოველ ადგილზე თავისუფალი, ფარული კენჭისყრით, ყოველ ექვს თვეში ერთხელ ირჩევენ კომიტეტის წევრებს. კომიტეტი ინტერნირებულებს წარმოადგენს სახელმწიფო ხელისუფლების, მფარველი სახელმწიფოს, წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტისა და ყველა სხვა დამხმარე ორგანიზაციის წინაშე. შესაძლებელია ამ კომიტეტის წევრთა გადარჩევა.

არჩეულები თავიანთი მოვალეობების შესრულებას მას შემდეგ შეუდგებიან, რაც მათ არჩევას ინტერნირების განმახორციელებელი ხელისუფლება დაამტკიცებს. კომიტეტის წევრთა დამტკიცებაზე უარის თქმის ან შეცვლის მიზეზები დაინტერესებულ მფარველ სახელმწიფოს უნდა ეცნობოს.

მუხლი 103

ინტერნირებულთა კომიტეტებმა ხელი უნდა შეუწყონ ინტერნირებულთა ფიზიკურ, მორალურ და ინტელექტუალურ კეთილდღეობას.

კერძოდ, თუ ინტერნირებულები ურთიერთდახმარების სისტემის ორგანიზებას გადაწყვეტენ, ეს ორგანიზება კომიტეტთა კომპეტენციის ქვეშ უნდა მოექცეს წინამდებარე კონვენციის სხვა დებულებებით მათზე დაკისრებული სპეციალური ვალდებულებების დამოუკიდებლად.

მუხლი 104

ინტერნირებულთა კომიტეტების წევრები არ უნდა აიძულონ შეასრულონ ნებისმიერი სხვა სამუშაო, რომელიც მათი ფუნქციების შესრულებას დააბრკოლებს. ინტერნირებულთა კომიტეტების წევრებს შეუძლიათ ინტერნირებულთაგან თანამემწეები დანიშნონ. მათ მიეცემათ ყველა პრაქტიკული საშუალება, კერძოდ, მათი ვალდებულებების შესრულებისათვის აუცილებელი გადაადგილების გარკვეული თავისუფლება (სამუშაო რაზმების მონახულება, დახმარების გზავნილების მიღება, ა.შ.).

ინტერნირებულთა კომიტეტების წევრებს ექნებათ დამატევევებელ ხელისუფლებასთან, მფარველ სახელმწიფოებთან, წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტსა და მათ დელეგატებთან, აგრეთვე ინტერნირებულთა დამხმარე სხვა ორგანიზაციებთან საფოსტო და სატელეგრაფო მიმოწერის წარმოების ყველა შესაძლებლობა. ასეთივე შეთავაზებით ისარგებლებენ სამუშაო რაზმებში მყოფი კომიტეტის წევრები ინტერნირების ძირითად ადგილზე ინტერნირებულთა კომიტეტთან თავის მიმოწერასთან მიმართებაში. ასეთი მიმოწერისათვის რაიმე შეზღუდვა არ უნდა დაწესდეს და იგი 107-ე მუხლში მითითებული ქვოტის სათვალავში არ უნდა მოექცეს.

ინტერნირებულთა კომიტეტების წევრებს, რომლებიც სხვა ადგილას გადაჰყავთ, საკმარისი დრო უნდა მიეცეთ თავისი შემცველების საქმის კურსში ჩასაყენებლად.

თავი VIII

ბარე სამქაროსთან ურთიერთობა

მუხლი 105

დაცვის ქვეშ მყოფ პირთა ინტერნირებისთანავე, დამკავებელი სახელმწიფოები შეატყობინებენ მათ, იმ სახელმწიფოს, რომელსაც ისინი ეკუთვნიან და მათ მფარველ სახელმწიფოს, წინამდებარე თავის დებულებათა შესასრულებლად მიღებული ღონისძიებების შესახებ. ამასთანავე, დამკავებელი სახელმწიფოები დაინტერესებულ მხარეებს ამ ღონისძიებებთან დაკავშირებულ ნებისმიერ ცვლილებას აცნობებენ.

მუხლი 106

ყოველ ინტერნირებულს, ინტერნირებისთანავე ან ინტერნირების ადგილას მიყვანიდან არა უგვიანეს ერთი კვირისა, აგრეთვე ავადმყოფობის ან ლაზარეთში ან ინტერნირების სხვა ადგილას გაგზავნის შემთხვევაში, შესაძლებლობა უნდა მიეცეს, ერთი მხრივ თავის ოჯახს, მეორე მხრივ კი 140-ე მუხლში გათვალისწინებულ ცენტრალურ საა-

გენტოს გაუგზავნოს ბარათი ინტერნირების შესახებ, რომელიც შეძლებისამებრ წინამდებარე კონვენციაზე თანდართული ნიმუშის მიხედვით შედგება. ამ საფოსტო ბარათით იგი თავის ნათესავებს აცნობებს დაკავების ფაქტს, თავის ჯანმრთელობის მდგომარეობასა და მისამართს. აღნიშნული ბარათები რაც შეიძლება სწრაფად უნდა გადაიგზავნოს და მათი ნებისმიერი სახით დაყოვნება დაუშვებელია.

მუხლი 107

ინტერნირებულთათვის ნებადართულია წერილებისა და საფოსტო ბარათების გაგზავნა და მიღება. თუ დამკავებელი სახელმწიფო აუცილებლად მიიხნევს ინტერნირებულის მიერ წარმოებული კორესპონდენციის შეზღუდვას, მან, სულ მცირე თვეში ორი წერილისა და ოთხი ბარათის გაგზავნის ნება მაინც უნდა მისცეს, რომლებიც, შეძლებისამებრ, წინამდებარე კონვენციაზე თანდართული ნიმუშების მიხედვით შედგება. თუ ინტერნირებულთა მისამართით მოსულ კორესპონდენციაზე შეზღუდვები უნდა დაწესდეს, ზოგიერთ შემთხვევაში დამკავებელი სახელმწიფოს თხოვნის საფუძველზე, გადაწყვეტილებას იღებს სახელმწიფო, რომელსაც ასეთი ინტერნირებულები ეკუთვნიან. ასეთი წერილებისა და ბარათების გაგზავნა გონივრულობის ფარგლებში დროულად უნდა მოხდეს; მათი დაკავება ან შეფერხება დისციპლინური ზემოქმედების მიზნით დაუშვებელია.

ინტერნირებულთათვის, რომლებსაც ახლო ნათესავებისგან დიდი ხნის განმავლობაში არ მიუღიათ ცნობები ან ჩვეულებრივი გზით მათი მიღების ან გაგზავნის შესაძლებლობა არა აქვთ, აგრეთვე მათთვის, რომლებიც თავისი სამშობლოსგან დიდი მანძილით არიან დაშორებულნი, ნებადართული იქნება დეპეშების გაგზავნა, რომლის საფასურსაც ისინი მათ განკარგულებაში არსებული ვალუტის მეშვეობით გადაიხდიან. დეპეშების გაგზავნის შესაძლებლობა ინტერნირებულებს უკიდურესი აუცილებლობის შემთხვევებშიც მიეცემა.

როგორც წესი, ინტერნირებულების კორესპონდენცია მშობლიურ ენაზე იწარმოება. კონფლიქტის მონაწილე მხარეებს შეუძლიათ კორესპონდენციის სხვა ენებზე წარმოებაც დაუშვან.

მუხლი 108

ინტერნირებულებს ფოსტით ან ნებისმიერი სხვა საშუალებით შეუძლიათ მიიღონ ინდივიდუალური ან კოლექტიური გზავნილები, რომლებშიც შეიძლება იყოს კვების პროდუქტები, ტანსაცმელი, მედიკამენტები, ასევე წიგნები და მათი რელიგიური მოთხოვნილებების, განათლებისა და გართობისთვის საჭირო ნივთები. აღნიშნული გზავნილები დამკავებელ სახელმწიფოს წინამდებარე კონვენციით მისთვის დაკისრებული ვალდებულებებისგან არავითარ შემთხვევაში არ ათავისუფლებს.

იმ შემთხვევაში, როცა სამხედრო მოსაზრებებიდან გამომდინარე

აუცილებელია ამგვარი გზავნილების რაოდენობის შეზღუდვა, შეტყობინება აღნიშნულის შესახებ გაეგზავნება მფარველ სახელმწიფოს, წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტს ან ნებისმიერ სხვა ორგანიზაციას, რომელიც ინტერნირებულებს ეხმარება და ასეთი გზავნილების გადაგზავნაზე პასუხისმგებელი.

ინდივიდუალური და კოლექტიური გზავნილების გაგზავნის წესი, საჭიროების შემთხვევაში, დაინტერესებულ სახელმწიფოთა სპეციალური შეთანხმების საგანი უნდა გახდეს, რომელთაც ინტერნირებულთა დასახმარებელი გზავნილების მიღება არავითარ შემთხვევაში არ უნდა შეაფერხონ. აკრძალულია პროდუქტებსა და ტანისამოსთან ერთად წიგნების ჩადება. მედიკამენტები, როგორც წესი, კოლექტიური გზავნილებით იგზავნება.

მუხლი 109

კონფლიქტის მონაწილე მხარეთა შორის დახმარების კოლექტიური გზავნილების მიღებისა და განაწილების წესის შესახებ სპეციალური შეთანხმების არარსებობის შემთხვევაში გამოიყენება წინამდებარე კონვენციაზე თანდართული კოლექტიურ დახმარებასთან დაკავშირებული წესები.

ზემოაღნიშნული სპეციალური შეთანხმებები არავითარ შემთხვევაში არ ზღუდავს ინტერნირებულთა კომიტეტების უფლებას მიიღონ და მიმღებთა ინტერესების შესაბამისად გაანაწილონ და განკარგონ ინტერნირებულთათვის განკუთვნილი კოლექტიური გზავნილები.

ამასთანავე, ამ შეთანხმებებით დაუშვებელია მფარველი სახელმწიფოს, წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის ან ინტერნირებულების დამხმარე ნებისმიერი სხვა ორგანიზაციის გზავნილების გადაცემაზე პასუხისმგებელი წარმომადგენლების კოლექტიური გზავნილების მიმღებთა შორის განაწილების პროცესზე ზედამხედველობის უფლების შეზღუდვა.

მუხლი 110

ინტერნირებულთათვის განკუთვნილი დახმარების ყოველგვარი გზავნილი თავისუფლდება საიმპორტო, საბაჟო და სხვა გადასახადებისაგან.

ყველა საფოსტო გზავნილი, ფოსტით გაგზავნილი დახმარების ამანათებისა და სხვა ქვეყნიებიდან ინტერნირებულთა სახელზე გადარიცხული ან მათ მიერ უშუალოდ, ან 136-ე მუხლით გათვალისწინებული ცნობათა ბიუროსა და 140-ე მუხლით გათვალისწინებული ცენტრალური სააგენტოს მეშვეობით ფოსტით გაგზავნილი ფულადი თანხების ჩათვლით, თავისუფლდება ყოველგვარი საფოსტო გადასახადისგან

როგორც გამგზავნ და დანიშნულების ქვეყნებში, ისე შუალედურ სახელმწიფოებშიც. ამ მიზნით, 1947 წლის მსოფლიო საფოსტო კონვენციითა და მსოფლიო საფოსტო კავშირის ხელშეკრულებებით ბანაკებსა და სამოქალაქო ციხეებში მყოფი მოწინააღმდეგის სამოქალაქო პირების გათვალისწინებული გათავისუფლება საფოსტო გადასახადებისაგან გავრცელდება წინამდებარე კონვენციაში მითითებულ ყველა კატეგორიის ინტერნირებულ დაცვის ქვეშ მყოფ პირზეც. სახელმწიფოები, რომლებიც აღნიშნული ხელშეკრულებების მონაწილენი არ არიან, ვალდებული არიან საფოსტო გადასახადებისაგან გათავისუფლება იმავე პირობებით უზრუნველყონ.

ინტერნირებულთათვის განკუთვნილი დახმარების გზავნილების ხარჯებს, რომლებიც თავისი წონის ან რაიმე სხვა მიზეზის გამო ფოსტით ვერ იგზავნება, გაიღებს სახელმწიფო, რომლის ხელისუფლებაშიც იმყოფებიან მის კონტროლს დაქვემდებარებულ ყველა ტერიტორიაზე მყოფი ინტერნირებულები. წინამდებარე კონვენციის მონაწილე სხვა სახელმწიფოები მის ტერიტორიებზე ტრანსპორტირების ხარჯებს თავად გაიღებენ.

ასეთი გზავნილების ტრანსპორტირებასთან დაკავშირებულ ხარჯებს, რომელსაც არ ფარავს ზემოთ მოცემული პარაგრაფებით გათვალისწინებული შემთხვევები, გამგზავნები გაიღებენ.

მაღალი ხელშემკვრელი მხარეები შეეცდებიან, შეძლებისამებრ შეამცირონ ინტერნირებულების მიერ ან მათთვის გაგზავნილი დეპეშებისათვის დაწესებული ნიხრი.

მუხლი 111

იმ შემთხვევაში, როცა საომარი ოპერაციები დაინტერესებულ სახელმწიფოებს ხელს უშლის შეასრულონ 106-ე, 107-ე, 108-ე და 113-ე მუხლებში მითითებული ვალდებულები მათ შორის უზრუნველყონ საფოსტო და დახმარების გზავნილების გადაზიდვა, დაინტერესებულ მფარველ სახელმწიფოებს, წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტს ან კონფლიქტის მონაწილე მხარეების მიერ აღიარებულ ნებისმიერ სხვა ორგანიზაციას შეუძლიათ თავის თავზე აიღონ ამ გზავნილების სათანადო სატრანსპორტო საშუალებებით (სარკინიგზო ვაგონები, საბარგო ავტომანქანები, გემები, თვითმფრინავები, ა.შ.) გადაზიდვა. ამ მიზნით, მაღალი ხელშემკვრელი მხარეები ეცდებიან ეს სატრანსპორტო საშუალებები გამოყონ და დაუშვან მათი მოძრაობა მათთვის აუცილებელი საშვების გაცემის გზით.

აღნიშნული სატრანსპორტო საშუალებებით შეიძლება გადაიზიდოს შემდეგი ტვირთი:

- (ა) კორესპონდენცია, სიები და ანგარიშები, რომლებსაც ერთმანეთში 140-ე მუხლში მითითებული ცნობათა ცენტრალური სააგენტო და 136-ე მუხლში მითითებული ეროვნული ბიურო ცვლიან;
- (ბ) ინტერნირებულთა შესახებ კორესპონდენცია და ანგარიშები,

რომელსაც მფარველი სახელმწიფოები, წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი ან ინტერნირებულთა დამხმარე სხვა ორგანიზაციები ცვლიან როგორც თავის წარმომადგენლებთან, ისე კონფლიქტის მონაწილე მხარეებთან.

ეს დებულებები არ ზღუდავს კონფლიქტის მონაწილე ნებისმიერ მხარეს უზრუნველყოს ტრანსპორტირების სხვა საშუალება ან გასცეს საში იმ პირობებით, რომლებიც ორმხრივი შეთანხმებებით შეიძლება დადგინდეს.

ამ სატრანსპორტო საშუალებათა გამოყენებასთან დაკავშირებულ ხარჯებს, გზავნილთა ღირებულების პროპორციულად, გაიღებენ კონფლიქტის მონაწილე ის მხარეები, რომელთა მოქალაქეების სასარგებლოდაც არის ეს მომსახურება გაწეული.

მუხლი 112

ინტერნირებულთა მისამართით ან მათ მიერ გაგზავნილი კორესპონდენციის ცენზურა შეძლებისამებრ უმოკლეს ვადაში უნდა განხორციელდეს.

ინტერნირებულთა მისამართით გზავნილების დათვალიერება ისეთ პირობებში არ უნდა მოხდეს, რომელსაც შეუძლია გზავნილებში მოთავსებული კვების პროდუქტების დაცულობას საფრთხე შეუქმნას; დათვალიერება ადრესატის ან მისი სათანადოდ რწმუნებული თანაინტერნირებული პირის თანდასწრებით უნდა მოხდეს. არ შეიძლება ინდივიდუალური ან კოლექტიური გზავნილების ინტერნირებულთათვის გადაცემის შეფერხება ცენზურასთან დაკავშირებული სირთულეების მომიზეხებით.

კონფლიქტის მონაწილე მხარეების მიერ სამხედრო ან პოლიტიკური მიზეზებით შემოღებული კორესპონდენციის ნებისმიერი აკრძალვა მხოლოდ დროებით ხასიათს უნდა ატარებდეს და რაც შეიძლება ხანმოკლე უნდა იყოს.

მუხლი 113

სახელმწიფოები, რომელთა ხელისუფლებაშიც იმყოფებიან ინტერნირებულები, შექმნიან ყველა გონივრულ შესაძლებლობას იმისთვის, რომ მფარველი სახელმწიფოს ან 140-ე მუხლში გათვალისწინებული ცენტრალური სააგენტოს ანდა სხვა შესაბამისი საშუალების მეშვეობით, მოხდეს ინტერნირებულთათვის განკუთვნილი ან მათ მიერ შედგენილი ანდერძების, მინდობილობების ან სხვა სახის დოკუმენტების გადაცემა.

სახელმწიფოები, რომელთა ხელისუფლებაშიც იმყოფებიან ინტერნირებულები, ყველა შემთხვევაში დაეხმარებიან ინტერნირებულებს ამგვარი დოკუმენტების სათანადოდ შედგენასა და დამოწმებაში, კერძოდ, ნებას დართავენ მათ გაიარონ კონსულტაციები იურისტთან.

მუხლი 114

სახელმწიფო, რომლის ხელისუფლებაშიც იმყოფებიან ინტერნირებული, მიანიჭებს მათ ინტერნირების რეჟიმსა და მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამის ყველა შესაძლებლობას, რათა მათ შეძლონ საკუთარი ქონების განკარგვა. ამ მიზნით, აღნიშნულ სახელმწიფოს შეუძლია უკიდურესი აუცილებლობის შემთხვევაში, ან თუ ეს არსებული გარემოებებითაა დაშვებული, ნება დართოს ინტერნირებულებს დატოვონ ინტერნირების ადგილი.

მუხლი 115

ყველა შემთხვევაში, როცა ინტერნირებული პირი, ნებისმიერ სასამართლოში, სამართალწარმოების ერთ-ერთი მხარეა, მისი მოთხოვნის საფუძველზე სახელმწიფომ, რომლის ხელისუფლებაშიც ის იმყოფება, სასამართლოს მისი დაკავების შესახებ უნდა აცნობოს და კანონიერების ფარგლებში თვალყური ადევნოს, რათა ამ პირის ინტერნირების გამო ზიანი არ მიადგეს მისი საქმის მომზადებასა და წარმართვას, ისევე როგორც ნებისმიერი სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებას.

მუხლი 116

დროის გარკვეული ინტერვალის შემდეგ და რაც შეიძლება ხშირად, ნებადართული იქნება ყოველი ინტერნირებულის მონახულება მნახველების, პირველ რიგში კი უახლოესი ნათესავების მიერ.

უკიდურესი აუცილებლობის შემთხვევაში და შესაძლებლობის ფარგლებში, განსაკუთრებით ნათესავის გარდაცვალების ან მძიმე ავადმყოფობის შემთხვევაში, ინტერნირებულებს ნებას დართავენ მონახულონ მათი ოჯახები.

თავი IX

სისხლისსამართლებრივი და ღისცი კლინური ზომები

მუხლი 117

წინამდებარე თავის დებულებათა გათვალისწინებით, იმ ტერიტორიის კანონმდებლობა, სადაც ინტერნირებულები იმყოფებიან, განაგრძობს მოქმედებას ინტერნირების პერიოდში სამართალდარღვევის ჩამდენი ინტერნირებულების მიმართ.

თუ კანონებში, დადგენილებებსა და განკარგულებებში მითითებულია, რომ ინტერნირებულის მიერ ჩადენილი მოქმედება დასჯადია, მაშინ როცა არაინტერნირებული პირის მიერ ჩადენილი მსგავსი ქმედება

არ ისჯება, ინტერნირებულ პირს აღნიშნული ქმედებისათვის მხოლოდ აღმინისტრაციული სასჯელი დაეკისრება.

ერთი და იმავე სამართალდარღვევისათვის და ერთი და იმავე ბრალდებით ინტერნირებულ მხოლოდ ერთხელ შეიძლება დაისაჯოს.

მუხლი 118

სასჯელის განსაზღვრისას სასამართლოები და ხელისუფლების ორგანოები შესაძლებლობის ფარგლებში მხედველობაში მიიღებენ იმ ფაქტს, რომ ბრალდებული არ არის დამკავებელი სახელმწიფოს მოქალაქე. ისინი თავისუფალი იქნებიან არჩევანში შეამსუბუქონ ინტერნირებულის მიერ ჩადენილი სამართალდარღვევისათვის გათვალისწინებული სასჯელი და ვალდებულნი არ იქნებიან ამ მიზნით სასჯელის ქვედა ზღვარი დაიცვან.

აკრძალულია მსჯავრდებულის მოთავსება უსინათლო ადგილებში, ისევე როგორც ყოველგვარი სახის სისასტიკის გამოყენება.

ინტერნირებულებს დისციპლინური ან სისხლისსამართლებრივი სასჯელის მოხდის შემდეგ არ უნდა მოეპყრან სხვა ინტერნირებულებისგან განსხვავებით.

ყველა შემთხვევაში, წინასწარ პატიმრობაში გატარებული პერიოდი გამოაკლდება სისხლის სამართლის ან დისციპლინური წესით დაკისრებული სასჯელით გათვალისწინებული თავისუფლების აღკვეთის ვადას.

ინტერნირებულთა კომიტეტებს უნდა ეცნობოთ იმ ინტერნირებულთა მიმართ აღძრული სისხლის სამართლის საქმეთა და მათი შედეგების შესახებ, რომელთაც ისინი წარმოადგენენ.

მუხლი 119

ინტერნირებულებს შეიძლება დაეკისროთ შემდეგი დისციპლინური სასჯელები:

- (1) ჯარიმა, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 95-ე მუხლის დებულებებით გათვალისწინებული ინტერნირებულის ხელფასის 50 პროცენტს და განისაზღვროს არა უმეტეს ოცდაათი დღით.
- (2) წინამდებარე კონვენციით გათვალისწინებული მოპყრობის ფარგლებში და ფარგლებს გარეთ უპირატესობების ჩამორთმევა.
- (3) რიგგარეშე განაწესები დღეში არა უმეტეს ორი საათისა, რომელიც ინტერნირების ადგილის მოვლას უკავშირდება.
- (4) პატიმრობა.

დისციპლინური სასჯელი არავითარ შემთხვევაში არ უნდა იყოს არაადამიანური, სასტიკი ან ინტერნირებულის ჯანმრთელობისათვის სახიფათო. ინტერნირებულის ასაკი, სქესი და ჯანმრთელობის მდგომარეობა გათვალისწინებული უნდა იყოს.

ნებისმიერი ცალკეული სასჯელის მაქსიმალური ვადა არასოდეს

არ უნდა აღემატებოდეს ოცდაათ თანმიმდევრულ კალენდარულ დღეს იმ შემთხვევაშიც კი, როცა სასჯელის გამოტანის მომენტისათვის ინტერნირებულს უკვე დაკისრებული ჰქონდა დისციპლინური სასჯელი რაიმე დარღვევის გამო, მიუხედავად იმისა, უკავშირდება თუ არა ეს დარღვევები ერთმანეთს.

მუხლი 120

გაქცევის ან გაქცევის მცდელობის შემდეგ ხელახლა დაკავებული ინტერნირებულები, რეციდივის შემთხვევაშიც კი, სასჯელს მხოლოდ დისციპლინური წესით იხდიან.

118-ე მუხლის მესამე პარაგრაფის მიუხედავად, გაქცევის ან გაქცევის მცდელობის გამო დასჯილი ინტერნირებულები შეიძლება განსაკუთრებული ზედამხედველობის ქვეშ მოექცნენ, მხოლოდ იმ პირობით, რომ ეს ზედამხედველობა მათ ჯანმრთელობას ზიანს არ მიაყენებს, ის ინტერნირების ადგილზე განხორციელდება და წინამდებარე კონვენციით მინიჭებული რაიმე გარანტიის გაუქმებას არ გამოიწვევს.

გაქცევის ან გაქცევის მცდელობის დამხმარე და თანამონაწილე ინტერნირებულები ბრალდების ამ ნაწილში მხოლოდ დისციპლინური წესით დაისჯებიან.

მუხლი 121

გაქცევა ან გაქცევის მცდელობა რეციდივის შემთხვევაშიც კი არ უნდა ჩაითვალოს დამამძიმებელ გარემოებად, როცა ინტერნირებული გაქცევის დროს ჩადენილ სამართალდარღვევებზე სასამართლოს წინაშე აგებს პასუხს.

კონფლიქტის მონაწილე მხარეები უზრუნველყოფენ, რომ კომპეტენტურმა ორგანოებმა გულისხმიერება გამოიჩინონ იმის გადაწყვეტისას, თუ როგორი სასჯელი გამოიტანონ სამართალდამრღვევი ინტერნირებულისათვის – დისციპლინური თუ სისხლისსამართლებრივი, განსაკუთრებით გაქცევასთან დაკავშირებულ დარღვევებთან მიმართებაში, მიუხედავად იმისა იქნება ეს გაქცევა წარმატებული თუ არა.

მუხლი 122

დისციპლინის დარღვევის ფაქტები დაუყოვნებლივ უნდა იქნას გამოძიებული. ეს განსაკუთრებით გაქცევას ან გაქცევის მცდელობას ეხება. ხელახლა დაკავებული ინტერნირებულები კომპეტენტურ ორგანოებს უმოკლეს დროში უნდა გადაეცენ.

დისციპლინის დარღვევის შემთხვევაში ყველა ინტერნირებულისათვის საქმის მოსმენამდე პატიმრობის ვადა აბსოლუტურ მინიმუმამდე უნდა იყოს დაყვანილი და არ უნდა აღემატებოდეს თოთხმეტ დღეს. ყველა შემთხვევაში ასეთ პატიმრობაში გატარებული დრო თავისუფ-

ლემის აღკვეთის ვადას უნდა გამოაკლდეს.

124-ე და 125-ე მუხლების დებულებები იმ ინტერნირებულთა მიმართ გამოიყენება, რომლებიც დისციპლინური სახის დარღვევების გამო წინასწარ პატიმრობაში იმყოფებიან.

მუხლი 123

სასამართლო ორგანოებისა და უმაღლესი ხელისუფლების უფლებამოსილებისათვის ზიანის მიუყენებლად დისციპლინური სასჯელის დაკისრება შეუძლია მხოლოდ ინტერნირების ადგილის კომენდანტს, ან კომენდანტის შემცვლელ ოფიცერს ანდა პასუხისმგებელ თანამდებობის პირს, რომელსაც კომენდანტმა დისციპლინური უფლებამოსილება გადასცა.

ნებისმიერი დისციპლინური სასჯელის გამოტანამდე, ბრალდებულ ინტერნირებულს დაწვრილებით აცნობებენ მისთვის წაყენებული ბრალდების შესახებ და მისცემენ დაცვისა და საკუთარი ქმედების ახსნა-განმარტების შესაძლებლობას. კერძოდ, ბრალდებულს შეეძლება გამოიძახოს მოწმეები და აუცილებლობის შემთხვევაში კვალიფიციური თარჯიმნის დახმარებას მიმართოს. გადაწყვეტილება ბრალდებულისა და ინტერნირებულთა კომიტეტის ერთ-ერთი წევრის თანდასწრებით უნდა გამოცხადდეს. დისციპლინური სასჯელის გამოტანიდან მის აღსრულებამდე ერთ თვეზე მეტი არ უნდა გავიდეს.

თუ ინტერნირებულს დამატებითი დისციპლინური სასჯელი დაეკისრა და თუ თითოეული სასჯელის ხანგრძლივობა ათი ან მეტი დღეა, ყოველი მათგანის აღსრულებას შორის უნდა გავიდეს არანაკლებ სამი დღისა.

ინტერნირების ადგილის კომენდანტმა უნდა აწარმოოს გამოტანილი დისციპლინური სასჯელების რეგისტრაცია; სარეგისტრაციო წიგნი მფარველი სახელმწიფოს წარმომადგენელთა მიერ შესამოწმებლად ხელმისაწვდომი უნდა იყოს.

მუხლი 124

ყოველად დაუშვებელია დისციპლინური სასჯელის მოსახდელად ინტერნირებულთა გამასწორებელ დაწესებულებებში (ციხე-გამასწორებელი დაწესებულება, საკატორლო ციხე, ა.შ.) გადაყვანა.

დისციპლინური ზომების მოხდისათვის გათვალისწინებული სათავსები სანიტარიულ მოთხოვნებს უნდა შეესაბამებოდეს; კერძოდ, ინტერნირებულთათვის უზრუნველყოფილი უნდა იყოს ადეკვატური საძილე საშუალებები. სასჯელის მოხდის პერიოდში, ინტერნირებულებს საკუთარი თავის ჰიგიენური მოვლის შესაძლებლობა უნდა ჰქონდეთ.

ინტერნირებული ქალები, რომლებიც დისციპლინურ ზომებს იხდიან ინტერნირებული მამაკაცებისგან განცალკევებულ სათავსებში, ქალების უშუალო მეთვალყურეობის ქვეშ უნდა განთავსდნენ.

მუხლი 125

ინტერნირებულებს, რომლებსაც დისციპლინური ზომები დაეკისრათ, ყოველდღიური ფიზიკური ვარჯიშისა და ღია ჰაერზე არანაკლებ ორი საათით ყოფნის შესაძლებლობა ექნებათ.

მათთვის, მათი თხოვნის საფუძველზე, ნებადართული იქნება ყოველდღიური სამედიცინო შემოწმების გავლა. ისინი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესაბამის სამედიცინო დახმარებას მიიღებენ, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში საინტერნო ლაზარეთში ან ჰოსპიტალში მოთავსდებიან.

მათ ნებადართული ექნებათ წერილების წაკითხვა და დაწერა, ისევე როგორც მათი მიღება და გაგზავნა. თუმცა, მათთვის ამანათებისა და ფულადი გზავნილების გადაცემა შეიძლება სასჯელის მოხდამდე გადაიდოს; ასეთი გზავნილები ამ დროის განმავლობაში ინტერნირებულთა კომიტეტს გადაეცემა, რომელიც ამანათებში მოთავსებულ მალ-ფუჭებად პროდუქტებს ლაზარეთს გადასცემს.

დისციპლინური სასჯელის მოხდამდე არც ერთ ინტერნირებულს არ შეიძლება ჩამოერთვას წინამდებარე კონვენციის 107-ე და 143-ე მუხლების დებულებებით გათვალისწინებული გარანტიები.

მუხლი 126

71-დან 76-ე მუხლების ჩათვლით გათვალისწინებული დებულებანი ანალოგიის გზით გამოიყენება ინტერნირებულთა წინააღმდეგ იმ სამართალწარმოების დროს, რომელიც იმ სახელმწიფოს კუთვნილ ტერიტორიაზე მიმდინარეობს, რომლის ხელისუფლებაშიც ინტერნირებულები იმყოფებიან.

თავი X

ინტერნირებულთა გადაცემა

მუხლი 127

ინტერნირებულთა გადაყვანა ყოველთვის ჰუმანურად უნდა ხორციელდებოდეს. როგორც წესი, გადაყვანა რკინიგზით ან სხვა სატრანსპორტო საშუალებებით და იმ პირობებში უნდა მოხდეს, რომელიც სულ მცირე ისეთივეა, რომელშიც ხდება დამკავებელი სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების დისლოკაცია. როგორც გამონაკლისი ზომა, გადაყვანა ქვეითად უნდა განხორციელდეს, ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში მოხდება, როცა ინტერნირებულთა ფიზიკური ჯანმრთელობის მდგომარეობა ამის საშუალებას იძლევა და ქვეითად გადაადგილება არავითარ შემთხვევაში მათ ზედმეტად დაღლას არ გამოიწვევს.

სახელმწიფომ, რომლის ხელისუფლებაშიც ინტერნირებულები იმყოფებიან, გადაყვანის დროს ისინი უნდა უზრუნველყოს საკმარისი რაოდენობისა და კარგი ხარისხის სასმელი წყლითა და საკვებით, რათა შენარჩუნდეს მათი ჯანმრთელობის ნორმალური მდგომარეობა. ინტერნირებულებს ასევე უზრუნველყოფენ საჭირო ტანსაცმლით, შესაფერისი თავშესაფრითა და აუცილებელი სამედიცინო დახმარებით. დამკავებელი სახელმწიფო მიიღებს ყველა ზომას, რათა გადაადგილების დროს ამ პირთა უსაფრთხოება უზრუნველყოს; გამგზავრების წინ უნდა შედგეს გადასაყვან ინტერნირებულთა სრულ სია.

ავადმყოფი, დაჭრილი ან ინვალიდი ინტერნირებულებისა და მშობიარეების გადაყვანა არ განხორციელდება, თუ გადაადგილებამ მათ ჯანმრთელობას შეიძლება სერიოზული ზიანი მიაყენოს, გამონაკლისია შემთხვევები, როცა ამას მათივე უსაფრთხოება აუცილებლად მოითხოვს.

ფრონტის ხაზის ინტერნირების ადგილთან მოახლოებისას, აღნიშნული ადგილიდან ინტერნირებულთა გადაყვანა მხოლოდ იმ შემთხვევაში მოხდება, თუ მათი გადაადგილება საკმარისი უსაფრთხოების პირობებში განხორციელდება, ან, თუ მათი ადგილზე დატოვება გაცილებით სახიფათოა, ვიდრე გადაადგილება. სახელმწიფომ, რომლის ხელისუფლებაშიც იმყოფებიან ინტერნირებულები, მათ გადაყვანასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებების მიღებისას მხედველობაში უნდა მიიღოს ინტერნირებულთა ინტერესები, კერძოდ არ უნდა ჩაიდინოს იმგვარი ქმედება, რომელიც მათ რეპატრიაციას ან საკუთარ სახლებში დაბრუნებას გაართულებს.

მუხლი 128

გადაადგილების შემთხვევაში, ინტერნირებულებს გამგზავრებისა და ახალი საფოსტო მისამართის შესახებ ოფიციალურად უნდა აცნობონ. ეს შეტყობინება წინასწარ ისე უნდა გაკეთდეს, რომ ინტერნირებულებმა თავისი ბარგის შეკვრა და ოჯახის გაფრთხილება შეძლონ.

მათ შეუძლიათ თან წაიღონ პირადი ნივთები, კორესპონდენცია და მათ სახელზე გამოგზავნილი ამანათები. თუ გადაადგილების პირობები ამას მოითხოვს, შეიძლება ბარგის წონა შეიზღუდოს, მაგრამ ყოველ ინტერნირებულს უფლება ექნება წაიღოს არანაკლებ ოცდახუთი კილოგრამისა. მათი ინტერნირების ადრინდელ ადგილზე მისული კორესპონდენცია და გზავნილები მათ დაუყოვნებლივ უნდა გადაეგზავნოს.

ინტერნირების ადგილის კომენდანტი ინტერნირებულთა კომიტეტთან შეთანხმებით მიიღებს საჭირო ზომებს ინტერნირებულთა კოლექტიური ქონებისა და მეორე პარაგრაფით გათვალისწინებული შეზღუდვების შედეგად ინტერნირებულთა მიერ დატოვებული ნივთების ტრანსპორტირებისათვის.

მუხლი 129

ინტერნირეპულთა ანდერძები მათი უსაფრთხოდ შენახვის მიზნით პასუხისმგებელ ორგანოებს უნდა გადაეცეთ. ინტერნირეპულთის გარდაცვალების შემთხვევაში ანდერძს ინტერნირეპულთის მიერ წინასწარ მითითებულ პირს გადასცემენ.

ყოველი ინტერნირეპულთის გარდაცვალებას ადასტურებს ექიმი, რის შემდეგაც შედგება აქტი სიკვდილის მიზეზებისა და გარემოებების მითითებით.

ინტერნირეპის ადგილის ტერიტორიაზე მოქმედი პროცედურის თანახმად შედგენილი, სათანადოდ რეგისტრირებული გარდაცვალების ოფიციალური აქტი და სათანადოდ დამოწმებული ასლი დაუყოვნებლივ გადაეცემა მფარველ სახელმწიფოს და 140-ე მუხლით გათვალისწინებულ ცნობათა ცენტრალურ სააგენტოს.

მუხლი 130

დამკავებელი სახელმწიფოს ხელისუფლებამ უნდა უზრუნველყოს, რომ ინტერნირეპის დროს გარდაცვლილი ინტერნირეპული პირები პატივით და თუ შესაძლებელია, მათი რელიგიური მრწამსის თანახმად დაკრძალონ, გარდაცვლილთა საფლავებს პატივი უნდა მიეგოს, ისინი უნდა იყოს მოვლილი და იმგვარად აღნიშნული, რომ ნებისმიერ დროს შეიძლებოდეს მათი მოძებნა.

გარდაცვლილი ინტერნირეპულეები ინდივიდუალურ საფლავებში უნდა დაიკრძალონ, გამონაკლისია ის გარდაუვალი გარემოებები, რომელიც მათ სამომ საფლავში დაკრძალვას მოითხოვს. ცხედართა კრემაცია შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ ჰიგიენის განსაკუთრებული მოსაზრებების, რელიგიური მოტივების ან აშკარად გამოთქმული სურვილის საფუძველზე. კრემაციის შემთხვევაში, კრემაციასა და მისი მიზეზების შესახებ გარდაცვალების აქტში უნდა იყოს მითითებული. ფერფლს უსაფრთხოდ შენახვის მიზნით ინტერნირეპის განმახორციელებელი ორგანოები ინახავენ და უმოკლეს დროში გარდაცვლილის ნათესავებს მათი თხოვნის საფუძველზე გადასცემენ.

როგორც კი გარემოებები ამის შესაძლებლობას შექმნის, მაგრამ არა უგვიანეს საომარი მოქმედებების დასრულებისა, სახელმწიფო, რომლის ხელისუფლებაშიც ინტერნირეპულეები იმყოფებიან, 136-ე მუხლით გათვალისწინებული ცნობათა ბიუროს მეშვეობით სახელმწიფოებს, რომელთა სახელზეც გარდაცვლილი ინტერნირეპულეები ირიცხებიან, გადასცემს გარდაცვლილ ინტერნირეპულთა საფლავის სიებს. ეს სიები უნდა მოიცავდეს გარდაცვლილ ინტერნირეპულთა ვინაობის დასად-

გენად აუცილებელ ყველა მონაცემს, ისევე როგორც მითითებას მათი საფლავეების ზუსტი ადგილმდებარეობის შესახებ.

მუხლი 131

ინტერნირებულის გარდაცვალების ან მძიმედ დაჭრის ყველა შემთხვევაში, რომელიც ყარაულის მიზეზითაა გამოწვეული ან რომელიც ეჭვს იწვევს, რომ ამ უკანასკნელის, სხვა ინტერნირებულის ან ნებისმიერი მესამე პირის მიზეზით მოხდა, ისევე დაუდგენელ გარემოებებში გარდაცვალების ყველა შემთხვევაში, დამკავებელმა სახელმწიფომ ოფიციალური გამოძიება დაუყოვნებლივ უნდა დაიწყოს.

ამასთან დაკავშირებით მფარველ სახელმწიფოს დაუყოვნებლივ უნდა აცნობონ. ნებისმიერ მოწმეს ჩვენება უნდა ჩამოართვან და ამ ჩვენებათა შინაარსის შემცველი ანგარიში უნდა მომზადდეს და აღნიშნულ მფარველ სახელმწიფოს გაეგზავნოს.

თუ გამოძიების შედეგად ერთი ან რამდენიმე პირის ბრალეულობა დადგინდება, დამკავებელი სახელმწიფო დამნაშავეს ან დამნაშავეთა სასამართლოს წინაშე წარდგენისათვის ყველა ზომას მიიღებს.

თავი XII

ბათავისუფლება. რეპატრიაცია და ნეიტრალურ ქვეყნებში ბანთავსება

მუხლი 132

ინტერნირების განმახორციელებელი სახელმწიფო გაათავისუფლებს ყოველ ინტერნირებულს, როგორც კი შეწყდება ინტერნირების გამომწვევი აუცილებელი მიზეზები.

გარდა ამისა, კონფლიქტის მონაწილე მხარეები ეცდებიან საომარი მოქმედებების დროს დადონ შეთანხმებები ცალკეული კატეგორიის ინტერნირებულთა გათავისუფლების, რეპატრიაციის, საცხოვრებელ ადგილზე დაბრუნების ან ნეიტრალურ ქვეყანაში განთავსების შესახებ. ეს განსაკუთრებით ეხებათ ბავშვებს, ფეხმძიმე ქალებს და ჩვილი ან მცირეწლოვანი ასაკის შვილების დედებს, დაჭრილებს და ავადმყოფებს და იმ ინტერნირებულებს, რომლებიც ინტერნირების ადგილებში დიდი ხნის განმავლობაში იმყოფებიან.

მუხლი 133

ინტერნირება საომარი მოქმედებების დასრულებიდან უმოკლეს ვა-

დაში უნდა შეწყდეს.

კონფლიქტის მონაწილე რომელიმე მხარის ტერიტორიაზე მყოფი ინტერნირებულები, რომლებიც სასამართლოს წინაშე წარდგნენ ისეთი სამართალდარღვევისათვის, რომელიც მხოლოდ დისციპლინური სასჯელის დაკისრებას არ ითვალისწინებს, შეიძლება სასამართლო პროცესის დამთავრებამდე ან, შესაბამის შემთხვევებში – სასჯელის მოხდამდე დააკავონ. იგივე ეხება ინტერნირებულებს, რომელთაც უკვე დაკისრებული ჰქონდათ სასჯელი თავისუფლების აღკვეთის სახით.

ინტერნირების განმახორციელებელ სახელმწიფოსა და დაინტერესებულ სახელმწიფოებს შორის შეთანხმებით საომარი მოქმედებების ან ტერიტორიების ოკუპაციის დასრულების შემდეგ შეიძლება შეიქმნას კომიტეტები სხვადასხვა ადგილზე გაბნეული ინტერნირებულების მოსაძიებლად.

მუხლი 134

მაღალმა ხელშემკვრელმა მხარეებმა საომარი მოქმედებების ან ოკუპაციის დასრულების შემდეგ უნდა უზრუნველყონ ყველა ინტერნირებულის მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე დაბრუნება ან ხელი შეუწყონ მათ რეპატრაციას.

მუხლი 135

სახელმწიფო, რომლის ხელისუფლებაშიც ინტერნირებულები იმყოფებიან, გაიღებს გათავისუფლებული ინტერნირებულების იმ ადგილამდე დაბრუნების ხარჯებს, სადაც ისინი ინტერნირებამდე ცხოვრობდნენ, ან, თუ ისინი დაკავებული იყვნენ ტრანზიტული გადაადგილების დროს ან ღია ზღვაში, სახელმწიფო გაიღებს თანხებს, რათა მათ ტრანზიტული გადაადგილება განაგრძონ ან მათი თავდაპირველი გამგზავრების პუნქტში დაბრუნდნენ.

თუ ინტერნირების განმახორციელებელი სახელმწიფო ინტერნირებულს, რომლის მუდმივი საცხოვრებელი ადგილი ადრე მის ტერიტორიაზე მდებარეობდა, უარს ეუბნება წინანდელ ადგილზე ცხოვრების გაგრძელებაზე, იგი ვალდებულია გაიღოს მისი რეპატრაციის ხარჯები. მაგრამ თუ ინტერნირებულს თავის ქვეყანაში გამგზავრება საკუთარი პასუხისმგებლობით ან იმ მთავრობის ზედამხედველობის ქვეშ სურს, რომელთანაც ერთგულების ვალდებულებითაა დაკავშირებული, დამკავებელი სახელმწიფო არ იქნება ვალდებული მისი ტერიტორიის გარეთ ინტერნირებულის მგზავრობის ხარჯები დაფაროს. დამკავებელი სახელმწიფო არ არის ვალდებული აანაზღაუროს იმ ინტერნირებულთა რეპატრაციის ხარჯები, რომელთა რეპატრაციაც მათივე მოთხოვნით მოხდა.

თუ ინტერნირებულთა გადაცემა 45-ე მუხლის შესაბამისად ხორციელდება, გადამცემი და მიმღები სახელმწიფოები შეთანხმდებიან, თუ ხარჯების რომელ ნაწილს აიღებს თავის თავზე თითოეული მათგანი.

ზემოაღნიშნული დებულებები ზიანს არ უნდა აყენებდეს სპეციალურ შეთანხმებებს, რომელიც შეიძლება კონფლიქტის მონაწილე მხარეებს შორის მოწინააღმდეგის ხელში მყოფი მათი მოქალაქეების გაცვლისა და რეპატრიაციის შესახებ დაიდოს.

ნაწილი V

ცნობათა ბიურო და ცენტრალური სააგენტო

მუხლი 136

კონფლიქტის დაწყებისთანავე და ოკუპაციის ყველა შემთხვევაში, კონფლიქტის მონაწილე ყოველი მხარე დააარსებს ოფიციალურ ცნობათა ბიუროს, რომელმაც უნდა შეაგროვოს და გასცეს ცნობები მის ხელისუფლებაში მყოფი დაცვით მოსარგებლე პირების შესახებ.

კონფლიქტის მონაწილე თითოეული მხარე მითითებულ ცნობათა ბიუროს უმოკლეს ვადაში გადასცემს ცნობებს თითოეული დაცვის ქვეშ მყოფი იმ პირის მიმართ გატარებული ზომების შესახებ, რომელიც ორ კვირაზე მეტია, რაც დაპატიმრებულია, იძულების წესით არის საცხოვრებელ ადგილზე მიმაგრებული ან ინტერნირებულია. გარდა ამისა, იგი თავის სხვადასხვა დაინტერესებულ ორგანოს დაავალებს დაუყოვნებლივ მიაწოდონ აღნიშნულ ბიუროს მონაცემები, რომელიც ეხება ყოველგვარ ცვლილებას ამ პირებთან დაკავშირებით, მაგალითად მათ გადაყვანას, გათავისუფლებას, რეპატრიაციას, გაქცევას, საავადმყოფოში განთავსებას, დაბადების ფაქტსა და გარდაცვალებას.

მუხლი 137

თითოეული ეროვნული ცნობათა ბიურო დაუყოვნებლივ და არსებული უსწრაფესი საშუალებებით, ერთი მხრივ მფარველი სახელმწიფოს, მეორე მხრივ კი 140-ე მუხლში მითითებული ცენტრალური სააგენტოს მეშვეობით, გადასცემს ცნობებს დაცვის ქვეშ მყოფი პირების შესახებ იმ სახელმწიფოებს, რომლის მოქალაქეებიც ისინი არიან, ან სახელმწიფოებს, რომლის ტერიტორიაზეც ისინი ცხოვრობდნენ. ბიურო ასევე ვალდებულია უპასუხოს ყველა იმ შეკითხვას, რომელიც დაცვის ქვეშ მყოფ პირებს ეხება.

ცნობათა ბიურო გადასცემს დაცვის ქვეშ მყოფი პირების შესახებ მონაცემებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ამ ცნობების გადაცემამ შეიძლება აღნიშნულ პირს ან მის ნათესავებს ზიანი მიაყენოს. თუმცა, ამ შემთხვევაშიც კი უარი არ შეიძლება ეთქვას ცენტრალური სააგენტოსთვის მონაცემების გადაცემას, რომელიც, არსებული გარემოებების შესახებ გაფრთხილების შედეგად 140-ე მუხლით გათვალისწინებულ

უსაფრთხოების აუცილებელ ზომებს მიიღებს.

ნებისმიერი ბიუროდან მიღებული ყველა წერილობითი შეტყობინება ხელმოწერით ან ბეჭდით უნდა იყოს დამოწმებული.

მუხლი 138

ეროვნული ცნობათა ბიუროს მიერ მიღებული და გადაცემული ცნობები დაცვის ქვეშ მყოფი პირის ვინაობის ზუსტად დადგენისა და შეტყობინების მისი ოჯახისათვის გადაცემის საშუალებას უნდა იძლეოდეს. ცნობაში, სულ მცირე, მითითებული უნდა იყოს ამა თუ იმ პირის გვარი, სახელი, დაბადების ადგილი და თარიღი, მოქალაქეობა, უკანასკნელი საცხოვრებელი ადგილი, განსაკუთრებული ნიშნები, მამის სახელი და დედის ქალიშვილობის გვარი, ამ პირის მიმართ გატარებული ღონისძიებების ხასიათი და მათი გატარების თარიღი და ადგილი, მისამართი, რომელზეც მისთვის კორესპონდენციის გაგზავნა შეიძლება და იმ პირის მისამართი და გვარი, რომელიც ინფორმირებული უნდა იყოს. ამის მსგავსად, ინფორმაცია მძიმე ავადმყოფი ან მძიმედ დაჭრილი ინტერნირებულების ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ რეგულარულად და, თუ ეს შესაძლებელია, ყოველკვირეულად უნდა გადაიცემოდეს.

მუხლი 139

ამას გარდა, თითოეული ეროვნული ცნობათა ბიურო ვალდებულია შეაგროვოს 136-ე მუხლში მითითებული დაცვის ქვეშ მყოფი პირების მიერ დატოვებული პირადი ნივთები, რომელიც მათ რეპატრიაციის, გათავისუფლების, გაქცევის ან გარდაცვალების შედეგად დატოვეს; ეს ნივთები დაინტერესებულ პირებს გადაეცემა უშუალოდ, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში – ცენტრალური სააგენტოს მეშვეობით. ამ ნივთებს გადასცემენ ბიუროს ბეჭდიანი გზავნილებით, რომელსაც თან ერთვის განცხადება მფლობელის ვინაობის დასადგენად აუცილებელი მონაცემებით და გზავნილის შემადგენლობის სრული ნუსხა. აუცილებელია აღნიშნული სახის ნივთების მიღებისა და გაგზავნის დაწვრილებითი აღრიცხვა.

მუხლი 140

დაცვის ქვეშ მყოფ პირთა, კერძოდ კი ინტერნირებულთა საქმეების ცნობათა ცენტრალური სააგენტო ნეიტრალურ ქვეყანაში დაარსდება. თუ წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი საჭიროდ ჩათვლის, იგი დაინტერესებულ მხარეებს ისეთი სააგენტოს შექმნის ორგანიზებას შესთავაზებს, რომელიც იქნება სამხედრო ტყვეებთან მოპყრობის შესახებ უენევის 1949 წლის 12 აგვისტოს კონვენციის 123-ე მუხლით გათვალისწინებული სააგენტოს მსგავსი.

სააგენტოს დაეკისრება 136-ე მუხლში მითითებული სახის ინფორმაციის შეგროვება, რომლის მიღებასაც იგი ოფიციალური ან კერძო წყაროების მეშვეობით მოახერხებს. მან ეს მონაცემები შეძლებისამებრ უმოკლეს ვადაში უნდა გადასცეს ინტერნირებულთა სამშობლოს ან იმ ქვეყანას, რომლის ტერიტორიაზეც ისინი ცხოვრობდნენ, გამონაკლისია შემთხვევები, როცა ინფორმაციის გადაცემამ შეიძლება შესაბამის პირს ან მის ნათესავებს ზიანი მიაყენოს. კონფლიქტის მონაწილე მხარეები სააგენტოს მითითებული მონაცემების გადასაცემად ყველა გონივრულ შესაძლებლობას შეუქმნიან.

მაღალი ხელშემკვრელი მხარეები, კერძოდ კი ისინი, რომელთა მოქალაქეებიც ცენტრალური სააგენტოს მომსახურებით სარგებლობენ, შეიძლება იყვნენ მიწვეულნი სააგენტოსათვის საჭირო ფინანსური დახმარების გასაწევად.

დებულებები ისე არ უნდა განიმარტოს, თითქოს ისინი წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტისა და 142-ე მუხლში მითითებული სხვა დამხმარე ორგანიზაციების ჰუმანიტარულ საქმიანობას ზღუდავენ.

მუხლი 141

ცნობათა ეროვნული ბიურო და ცნობათა ცენტრალური სააგენტო თავისუფლდებიან საფოსტო გადასახადებისაგან და სარგებლობენ 110-ე მუხლში მითითებული ყველა შეღავათით; შეძლებისდაგვარად მაქსიმალურად მათ უნდა მიეცეთ ტელეგრაფით უფასოდ ან უკიდურეს შემთხვევაში, მკვეთრად შემცირებული ნიხრით სარგებლობის უფლება.

პარი IV
კონვენციის შესრულება

ნაწილი I
ზოგადი დებულებები

მუხლი 142

იმ შემთხვევების გარდა, როცა დამკავებელი ქვეყნები იღებენ ზომებს, რომელთაც აუცილებლად მიიჩნევენ თავისი უშიშროების უზრუნველყოფის ან სხვა გონივრულ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად, რელიგიური ორგანიზაციების, დახმარების საზოგადოებათა ან დაცვის ქვეშ მყოფ პირთა დამხმარე ნებისმიერი სხვა ორგანიზაციის წარმომადგენლები დამატვევებელი სახელმწიფოსაგან თავისთვის, აგრეთვე მათი შესაბამისად აკრედიტირებული და სრულუფლებიანი წარმომადგენლებისათვის მიიღებენ დაცვის ქვეშ მყოფ პირთა მონახულების, მათ შორის, დახმარების ამანათების განაწილების, სასულიერო და აღმზრდელობითი დანიშნულების მქონე, ასევე გართობისა და ინტერნირების ადგილის შიგნით დასვენების უკეთ ორგანიზებისათვის ნებისმიერი საგნების განაწილების აუცილებელ ყველა შესაძლებლობას. ზემოაღნიშნული საზოგადოებები ან ორგანიზაციები შეიძლება დაფუძნდეს დამკავებელ სახელმწიფოში ან ნებისმიერ სხვა სახელმწიფოში, ან ატარებდეს საერთაშორისო ხასიათს.

დამკავებელ სახელმწიფოს შეუძლია შეზღუდოს ორგანიზაციებისა და საზოგადოებების რიცხვი, რომელთა წარმომადგენლებსაც საკუთარი კონტროლის ქვეშ მის ტერიტორიაზე საქმიანობის ნებას დართავს, აღნიშნული უნდა განხორციელდეს იმ პირობით, რომ ეს შეზღუდვა დაცვის ქვეშ მყოფი ყველა პირისთვის ქმედითი იქნება და ხელს არ შეუშლის სათანადო დახმარების აღმოჩენას.

ამ სფეროში წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის განსაკუთრებული მდგომარეობა ყოველთვის აღიარებული და პატივცემული უნდა იყოს.

მუხლი 143

მფარველი სახელმწიფოების წარმომადგენლებს ან დელეგატებს უფლება ექნებათ მოინახულონ დაცვის ქვეშ მყოფ პირთა ყველა ადგილსამყოფელი, კერძოდ, ინტერნირების, დაკავებისა და სამუშაო ადგილები. მათ უფლება აქვთ დაცვის ქვეშ მყოფ პირთათვის განკუთვნილ შენობაში შევიდნენ და გაესაუბრონ მათ მოწმეების გარეშე პირადად ან

თარჯიმნის დახმარებით.

ასეთი ვიზიტების აკრძალვა შეიძლება მხოლოდ უკიდურესი საომარი აუცილებლობიდან გამომდინარე და ისიც მხოლოდ გამონაკლისი და დროებითი სახით. მონახულებათა ხანგრძლივობა და სიხშირე არ უნდა შეიზღუდოს.

მფარველი სახელმწიფოების წარმომადგენლები და დელეგატები თავისუფლად აირჩევენ მონახულების ადგილებს. დამკავებელი ან ოკუპანტი სახელმწიფო, მფარველი სახელმწიფო და შესაბამის შემთხვევაში სახელმწიფო, რომლის მოქალაქენიც არიან მოსანახულებელი პირები, შეიძლება მოსანახულებლად ინტერნირებულთა თანამოქალაქეების დაშვების თაობაზე შეთანხმდნენ.

წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის დელეგატები უნდა სარგებლობდნენ ანალოგიური უფლებამოსილებებით. მათ დანიშნენ უნდა დაეთანხმოს იმ ტერიტორიების მაკონტროლებელი სახელმწიფო, რომლის ტერიტორიაზეც ისინი თავის უფლებამოსილებებს განახორციელებენ.

მუხლი 144

მაღალი ხელშემკვრელი მხარეები ვალდებულია იღებენ, როგორც მშვიდობიან, ისე ომის დროს, რაც შეიძლება ფართოდ გაავრცელონ წინამდებარე კონვენციის ტექსტი თავიანთ ქვეყნებში და, კერძოდ, მისი სწავლება შეიტანონ სამხედრო და, შეძლებისამებრ, სამოქალაქო სასწავლო პროგრამებში, რათა მის პრინციპებს მთელი მოსახლეობა გაეცნოს.

ნებისმიერ სამოქალაქო, სამხედრო, საპოლიციო თუ სხვა ორგანოებს, რომელსაც ომიანობის დროს შეიძლება დაცვის ქვეშ მყოფ პირებზე პასუხისმგებლობა დაეკისროს, ხელთ უნდა ჰქონდეთ კონვენციის ტექსტი და საგანგებოდ გაეცნონ მის დებულებებს.

მუხლი 145

მაღალი ხელშემკვრელი მხარეები, შევიცარიის ფედერალური საბჭოს მეშვეობით, ხოლო ომის დროს მფარველი სახელმწიფოების დახმარებით ერთმანეთს გადასცემენ წინამდებარე კონვენციის ოფიციალურ თარგმანთა ტექსტებს, ასევე კანონებსა და დადგენილებებს, რომელიც შესაძლოა მის განსახორციელებლად მიიღონ.

მუხლი 146

მაღალი ხელშემკვრელი მხარეები ვალდებულია იღებენ შემოიღონ ისეთი კანონმდებლობა, რომელიც დააწესებს ეფექტურ სისხლის-სამართლებრივ სასჯელებს მომდევნო მუხლში განსაზღვრული უხეში დარღვევის ჩამდენი ან ასეთი დარღვევის ჩადენის ბრძანების გამცემი პირებისათვის.

თითოეული მაღალი ხელშემკვრელი მხარე ვალდებულია ეძებოს პირები, რომელთაც ასეთი უხეში დარღვევების ჩადენა ან მათი ჩადენის ბრძანების გაცემა ედებათ ბრალად და მათი მოქალაქეობის მიუხედავად, გადასცეს ისინი საკუთარ სასამართლოს. ამასთანავე, მას შეუძლია, საკუთარი სურვილით და თავისი კანონმდებლობის თანახმად, ამგვარი პირები სასამართლოს წინაშე წარსადგენად გადასცეს სხვა დაინტერესებულ მაღალ ხელშემკვრელ მხარეს, იმ შემთხვევაში, თუ ეს ხელშემკვრელი მხარე ფლობს ასეთი პირების ბრალდებისათვის საკმარის მტკიცებულებებს.

თითოეულმა მაღალმა ხელშემკვრელმა მხარემ აუცილებელი ზომები უნდა მიიღოს წინამდებარე კონვენციის დებულებების შეუსაბამო ყველა იმ ქმედების აღსაკვეთად, რომელიც არ წარმოადგენს მომდევნო მუხლში განსაზღვრულ უხეშ დარღვევებს.

ყველა გარემოებაში ბრალდებული პირები უნდა სარგებლობდნენ სათანადო სასამართლო გარანტიებითა და დაცვის უფლებით, რომლებიც არ უნდა იყოს ნაკლებად ხელსაყრელი, ვიდრე ეს გათვალისწინებულია სამხედრო ტყვეებთან მოპყრობის შესახებ ჟენევის 1949 წლის 12 აგვისტოს კონვენციის 105-ე და მომდევნო მუხლებით.

მუხლი 147

წინა მუხლში აღნიშნულ უხეშ დარღვევათა რიცხვს მიეკუთვნება დარღვევები, რომლებიც დაკავშირებულია ქვემოთ ჩამოთვლილ რომელიმე ქმედებასთან, იმ შემთხვევაში, თუ ისინი მიმართულია კონვენციის დაცვის ქვეშ მყოფი პირების ან ქონების წინააღმდეგ: წინასწარ განზრახვით მკვლელობა, წამება ან არაადამიანური მოპყრობა, ბიოლოგიური ცდების ჩათვლით, წინასწარი განზრახვით მძიმე ტანჯვის ან სერიოზული ზიანის მიყენება სხეულისთვის ან ჯანმრთელობისათვის, დაცვის ქვეშ მყოფი პირის უკანონოდ დეპორტაცია, გადაყვანა ან დაპატიმრება, დაცვის ქვეშ მყოფი პირისათვის მოწინააღმდეგე შეიარაღებულ ძალებში მსახურობის იძულება, დაცვის ქვეშ მყოფი პირისათვის წინამდებარე კონვენციით გათვალისწინებული სამართლიანად და ჩვეულებრივი წესით გასამართლების უფლების განზრახ ჩამორთმევა, მძევლების აყვანა და ფართო მასშტაბით წარმოებული უკანონო, თვითნებური ნგრევა და ქონების მითვისება, რომელიც სამხედრო აუცილებლობით არ არის გამართლებული.

მუხლი 148

არც ერთ მაღალ ხელშემკვრელ მხარეს არ შეუძლია თავისი თავის ან რომელიმე სხვა მაღალი ხელშემკვრელი მხარის გათავისუფლება პასუხისმგებლობისაგან, რომელიც მას ან სხვა მაღალ ხელშემკვრელ მხარეს წინა მუხლში მითითებულ დარღვევებთან მიმართებაში ეკისრება.

მუხლი 149

კონფლიქტის მონაწილე ერთ-ერთი მხარის თხოვნით, გამოიძიება კონვენციის დარღვევის შესახებ ნებისმიერი მტკიცების თაობაზე უნდა დაიწყოს იმ პროცედურით, რომელსაც დაინტერესებული მხარეები დაადგენენ.

თუ მხარეები ვერ შეთანხმდებიან გამოიძიების პროცედურაზე, ისინი ურთიერთშეთანხმებით აირჩევენ არბიტრს, რომელიც გადაწყვეტს პროცედურის საკითხს.

როგორც კი დადგინდება დარღვევის ფაქტი, კონფლიქტის მონაწილე მხარეები აღკვეთენ მას და შეძლებისამებრ უმოკლეს ვადაში მიიღებენ ზომებს მისი ჩამდენის დასასჯელად.

ნაწილი II

დასკვნითი დებულებები

მუხლი 150

წინამდებარე კონვენცია შესრულებულია ინგლისურ და ფრანგულ ენებზე. ორივე ტექსტი თანაბრად ავთენტურია.

შევიცარიის ფედერალური საბჭო უზრუნველყოფს კონვენციის ოფიციალური თარგმანის შესრულებას რუსულ და ესპანურ ენებზე.

მუხლი 151

მოცემული რიცხვით დათარიღებული წინამდებარე კონვენცია 1950 წლის 12 თებერვლამდე ღიაა ხელმოწერისათვის ყველა სახელმწიფოსათვის, რომლებიც მონაწილეობდნენ ქენევის 1949 წლის 21 აპრილს გახსნილ კონფერენციაში.

მუხლი 152

წინამდებარე კონვენციის რატიფიკაცია მოხდება შეძლებისამებრ უმოკლეს ვადაში და სარატიფიკაციო სიგელების დეპონირება მოხდება ბერნში.

თითოეული სარატიფიკაციო სიგელის გაცემის შესახებ შედგება ოქმი, რომლის დამოწმებულ ასლებს შევიცარიის ფედერალური საბჭო გადასცემს ყველა სახელმწიფოს, რომლის სახელითაც ხელი მოეწერა კონვენციას ან რომელმაც თანხმობა განაცხადა მიერთების თაობაზე.

მუხლი 153

წინამდებარე კონვენცია ძალაში შევა ექვსი თვის შემდეგ იმ მომენტიდან, რაც მოხდება არანაკლებ ორი სარატიფიკაციო სიგელის დეპონირება.

ამის შემდეგ, თითოეული მაღალი ხელშემკრელი მხარისათვის იგი ძალაში შევა მისი სარატიფიკაციო სიგელის დეპონირებიდან ექვსი თვის შემდეგ.

მუხლი 154

იმ სახელმწიფოებს შორის ურთიერთობებში, რომლებიც შეზღუდული არიან სახმელეთო ომის წარმოების კანონებისა და ჩვეულებების შესახებ ჰააგის კონვენციებით, იქნება ეს 1899 წლის 29 ივლისისა თუ 1907 წლის 18 ოქტომბრის კონვენცია, და რომლებიც წინამდებარე კონვენციის მხარეები არიან, ეს უკანასკნელი ზემოაღნიშნულ ჰააგის კონვენციებზე თანდართული წესების II და III ნაწილებს ავსებს.

მუხლი 155

წინამდებარე კონვენცია, ძალაში შესვლის დღიდანვე, ღიაა შეერთებისათვის ყველა სახელმწიფოსათვის, რომელსაც მასზე ხელი არ მოუწერია.

მუხლი 156

მიერთების შესახებ ყოველი შეტყობინება წერილობით უნდა ეცნობოს შეეიცარიის ფედერალურ საბჭოს. შეერთება ძალაში შევა საბჭოს მიერ წერილობითი ცნობის მიღებიდან 6 თვის შემდეგ.

შეეიცარიის ფედერალური საბჭო მიერთების შესახებ აცნობებს ყველა სახელმწიფოს, რომლის სახელითაც კონვენციას ხელი მოეწერა ან რომელმაც მიერთების სურვილი გამოთქვა.

მუხლი 157

მეორე და მესამე მუხლებში მითითებული შემთხვევებისას დეპონირებული სარატიფიკაციო სიგელები, ასევე მიერთების შესახებ განცხადებები, რომლებიც კონფლიქტის მონაწილე მხარეებმა საომარი მოქმედებების ან ოკუპაციის დაწყებამდე, ან ამის შემდეგ გააკეთეს, დაუყოვნებლივ შედის ძალაში. შეეიცარიის ფედერალური საბჭო სასწრაფოდ აცნობებს კონფლიქტის მონაწილე მხარეებისაგან მიღებულ სარატიფიკაციო სიგელებისა ან შეერთების შესახებ განცხადებების თაობაზე.

მუხლი 158

ყოველ მაღალ ხელშემკვრელ მხარეს შეუძლია მოახდინოს წინამდებარე კონვენციის დენონსირება.

დენონსაციის შესახებ წერილობით უნდა ეცნობოს შვეიცარიის ფედერალურ საბჭოს, რომელიც მას ყოველი მაღალი ხელშემკვრელი მხარის მთავრობას გადასცემს.

დენონსაცია ძალაში შევა შვეიცარიის ფედერალური საბჭოს წერილობითი შეტყობინებიდან ერთი წლის შემდეგ. თუმცა, დენონსაცია, რომლის შესახებაც განცხადება გააკეთდა მაშინ, როცა მოცემული ქვეყანა კონფლიქტში იყო ჩართული, ძალაში შევა მხოლოდ მშვიდობის დამყარებისა და ამ კონვენციის დაცვის ქვეშ მყოფი პირების გათავისუფლებასთან, რეპარტიაციასა და ხელახალ დამკვიდრებასთან დაკავშირებული ოპერაციების დასრულების შემდეგ.

დენონსაცია მოქმედებს მხოლოდ იმ სახელმწიფოსთან მიმართებაში, რომელმაც იგი მოახდინა. ამასთან, იგი არავითარ გავლენას არ მოახდენს ვალდებულებებზე, რომელთა შესრულება კონფლიქტის მონაწილე მხარეებს კვლავაც ეკისრებათ საერთაშორისო სამართლის პრინციპების საფუძველზე, ვინაიდან ისინი ცივილიზებულ ხალხთა შორის დამყარებული ჩვეულებებიდან, ჰუმანურობის მოთხოვნებიდან გამომდინარეობს და საზოგადოებრივი სინდისითაა ნაკარნახევი.

მუხლი 159

შვეიცარიის ფედერალური საბჭო წინამდებარე კონვენციის რევიზიტრაციას ახდენს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამდივნოში. შვეიცარიის ფედერალური საბჭო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამდივნოს აწვდის მის მიერ მიღებულ ყველა ცნობას წინამდებარე კონვენციის რატიფიცირების, დენონსაციის ან მასთან მიერთების შესახებ.

ამის დასტურად, სათანადო რწმუნებების წარმდგენმა ქვემოთ ხელის მომწერებმა, ხელი მოაწერეს ამ კონვენციას.

შესრულებულია ვენევაში 1949 წლის 12 აგვისტოს, ინგლისურ და ფრანგულ ენებზე. ორიგინალი ინახება შვეიცარიის კონფედერაციის არქივებში, ხოლო დამოწმებულ ასლებს შვეიცარიის ფედერალური საბჭო გადასცემს თითოეულ სახელმწიფოს, რომელმაც კონვენციას მოაწერა ხელი ან მიუერთდა მას.

დანართი I

შეთანხმების პროექტი სანიტარული და უსაფრთხოების ზონებისა და ალბილების შესახებ

მუხლი 1

სანიტარული და უსაფრთხოების ზონები მკაცრად განკუთვნილია მოქმედ ჯარში დაჭრილთა და ავადმყოფთა მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ ჟენევის 1949 წლის 12 აგვისტოს კონვენციის 23-ე მუხლსა და ომის დროს სამოქალაქო მოსახლეობის დაცვის შესახებ ჟენევის 1949 წლის 12 აგვისტოს კონვენციის მე-14 მუხლში ნახსენები პირებისათვის, ასევე პერსონალისათვის, რომელსაც ამ ზონებისა და ადგილების ორგანიზება, მართვა და ამ ზონებში მყოფ პირთა მოვლა ევალება.

მიუხედავად ამისა, პირებს, რომელთაც მუდმივი საცხოვრებელი ადგილი ამგვარი ზონების ტერიტორიაზე აქვთ, მიეცემათ ამ ზონებში დარჩენის უფლება.

მუხლი 2

არც ერთი პირი, რომელიც რაიმე მიზეზით სანიტარულ და უსაფრთხოების ზონაში იმყოფება, არ უნდა ასრულებდეს სამუშაოს, რომელიც პირდაპირაა დაკავშირებული სამხედრო ოპერაციებთან ან სამხედრო მასალების დამზადებასთან, როგორც ზონის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ.

მუხლი 3

სახელმწიფო, რომელიც ქმნის სანიტარულ და უსაფრთხოების ზონას, მიიღებს ყველა შესაძლო ზომას, რათა ზონაში შესვლის ან ყოფნის უფლების არმქონე პირებს აკრძალოთ იქ შესვლა.

მუხლი 4

სანიტარული და უსაფრთხოების ზონები უნდა აკმაყოფილებდნენ შემდეგ პირობებს:

(ა) ისინი უნდა შეადგენდნენ მხოლოდ მცირე ნაწილს იმ ტერიტორიისა, რომელზეც კონტროლს მათი შემქმნელი სახელმწიფო ახორციელებს.

(ბ) შესაძლო დასახლების გამო, ისინი არ უნდა იყოს მჭიდროდ დასახლებული.

(გ) ისინი უნდა მდებარეობდნენ ყოველგვარი სამხედრო ობიექტის, მსხვილი სამრეწველო ან ადმინისტრაციული დაწესებულებებისგან.

ბებისაგან მოშორებით, რომლებიც ასევე არ უნდა შედიოდნენ მათ შემადგენლობაში.

(დ) ისინი არ უნდა მდებარეობდნენ იმ რაიონებში, რომელიც, სავარაუდოდ, შეიძლება საომარი მოქმედებების წარმართვისათვის მნიშვნელოვანი გახდეს.

მუხლი 5

სანიტარული და უსაფრთხოების ზონების მიმართ გამოიყენება შემდეგი მოთხოვნები:

(ა) არ შეიძლება მათ ტერიტორიაზე არსებული სავალი გზების და სატრანსპორტო საშუალებების გამოყენება შეიარაღებული ძალების გადასაყვანად და საბრძოლო მასალების გადასატანად, ტრანზიტითაც კი.

(ბ) სამხედრო საშუალებები მათ არავითარ შემთხვევაში არ დაცავენ.

მუხლი 6

სანიტარული და უსაფრთხოების ზონები აღინიშნება თეთრ ფონზე გამოსახული ირიბი წითელი ხაზებით, რომელიც ზონის პერიფერიასა და შენობა-ნაგებობებზეა განლაგებული.

ექსკლუზიურად დაჭრილებისა და ავადმყოფებისათვის განკუთვნილი ზონები თეთრ ფონზე გამოსახული წითელი ჯვრით (წითელი ნახევარმთვარით, წითელი ღოძითა და მზით) აღინიშნება.

ღამით შეიძლება მათი აღნიშვნა იგივე მეთოდით, შესაბამისი განათების გამოყენებით.

მუხლი 7

მშვიდობიან დროს ან საომარი მოქმედებების დაწყებისას, ყოველი სახელმწიფო თითოეულ მაღალ ხელშემკვრელ მხარეს გადასცემს იმ სანიტარული და უსაფრთხოების ზონების სიას, რომელიც განლაგებულია მათ ხელისუფლებაში მყოფ ტერიტორიაზე. ასევე, ის შეატყობინებს მათ ომიანობის პერიოდში შექმნილი ყოველი ახალი ზონის შესახებ.

მოწინააღმდეგე მხარის მიერ ზემოაღნიშნული შეტყობინების მიღების მომენტიდან ეს ზონა კანონიერად დაარსებულად ჩაითვლება.

თუმცა, იმ შემთხვევაში, თუ მოწინააღმდეგე მხარე ჩათვლის, რომ ამ შეთანხმების პირობები არ იყო შესრულებული, მას შეუძლია უარი განაცხადოს ზონის აღიარებაზე იმ მხარისადმი სასწრაფო შეტყობინების გზით, რომლის განკარგულებაშიც იმყოფება ეს ზონა, ან შეუძლია აღიაროს ეს ზონა მე-8 მუხლით გათვალისწინებული კონტროლის დაწესების პირობით.

მუხლი 8

ყოველი სახელმწიფო, რომელმაც აღიარა მოწინააღმდეგე მხარის მიერ შექმნილი ერთი ან რამდენიმე სანიტარული და უსაფრთხოების ზონა, უფლებამოსილია მოითხოვოს, რომ ერთმა ან მეტმა სპეციალურმა კომისიამ გაუწიოს ამ ზონებს კონტროლი, ამ უკანასკნელის შემთხვევაში მოყვანილ პირობებსა და ვალდებულებებთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით.

ამ მიზნით, სპეციალური კომისიის წევრებს ექნებათ ნებისმიერ დროს ნებისმიერ ზონაში ყოველგვარი შეფერხების გარეშე შესვლისა და მათში მუდმივი ცხოვრების უფლებაც კი. მათ უნდა შეუქმნან კონტროლის განხორციელების სფეროში მოვალეობების შესრულების ყველა პირობა.

მუხლი 9

იმ შემთხვევაში, თუ სპეციალური კომისიები დაადგენენ რაიმე ფაქტებს, რომლებიც, მათი თვალსაზრისით, ეწინააღმდეგება წინამდებარე შეთანხმებით გათვალისწინებულ პირობებს, მათ ამის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინონ სახელმწიფოს, რომლის განკარგულებაშიც იმყოფება ეს ზონა, და დააწესონ ხუთდღიანი ვადა ამ საკითხის გადასაწყვეტად. ამის შესახებ შესაბამისად უნდა ეცნობოს იმ სახელმწიფოს, რომელმაც ეს ზონა ცნო.

თუ დადგენილი ვადის ამოწურვისას სახელმწიფო, რომლის განკარგულებაშიც იმყოფება ეს ზონა, არ დაემორჩილება გაფრთხილებას, მოწინააღმდეგე მხარეს შეუძლია განაცხადოს, რომ იგი აღარ არის შეზღუდული წინამდებარე შეთანხმების იმ ნაწილით, რომელიც აღნიშნულ სანიტარულ ზონას შეეხება.

მუხლი 10

ნებისმიერი სახელმწიფო, რომელიც ქმნის ერთ ან რამდენიმე სანიტარულ და უსაფრთხოების ზონას, ასევე ყველა მოწინააღმდეგე მხარე, რომელსაც ეცნობება ამ ზონის არსებობის შესახებ, დაასახელებს, ან მფარველ სახელმწიფოებს ან სხვა ნეიტრალურ სახელმწიფოებს სთხოვს დაასახელონ, მე-8 და მე-9 მუხლებში მითითებული სპეციალური კომისიის წევრობის სათანადო კანდიდატები.

მუხლი 11

არავითარ შემთხვევაში არ დაიშვება თავდასხმა სანიტარულ და უსაფრთხოების ზონებზე. ისინი ყოველთვის კონფლიქტის მონაწილე მხარეთა დაცვითა და პატივისცემით სარგებლობენ.

მუხლი 12

ტერიტორიის ოკუპაციის დროს, მასზე მდებარე სანიტარული და უსაფრთხოების ზონები დაცვით სარგებლობას განაგრძობენ და გამოიყენებიან დანიშნულებისამებრ.

მიუხედავად ამისა, ოკუპანტ სახელმწიფოს შეუძლია ამ ზონის დანიშნულების შეცვლა იმ პირობით, რომ ის უზრუნველყოფს მასში მყოფი პირების უსაფრთხოებას.

მუხლი 13

წინამდებარე შეთანხმება ასევე გამოიყენება იმ ადგილების მიმართ, რომლებსაც სახელმწიფო იმავე მიზნით იყენებს, როგორც სანიტარულ და უსაფრთხოების ზონებს.

დანართი II

წესების პროექტი სამოქალაქო ინტერნირებაში
კოლექტიური დახმარების შესახებ

მუხლი 1

ინტერნირებულთა კომიტეტებს ნებადართული ექნებათ მათ განკარგულებაში მყოფი დახმარების კოლექტიური გზავნილების განაწილება ყველა იმ ინტერნირებულ პირს შორის, რომელიც აღნიშნული კომიტეტის დაქვემდებარებაში არსებული ინტერნირების ადგილის ადმინისტრაციაზეა დამოკიდებული, იმათი ჩათვლით, ვინც საავადმყოფოებში, ციხეებსა ან სხვა გამასწორებელ დაწესებულებებში იმყოფება.

მუხლი 2

კოლექტიური დახმარების გზავნილების განაწილება დონორების მითითებებისა და ინტერნირებულთა კომიტეტების მიერ შემუშავებული გეგმის შესაბამისად განხორციელდება. თუმცა, სამედიცინო მასალების შემცველი გზავნილების განაწილება უპირატესად უფროს ექიმებთან შეთანხმებით განხორციელდება; ამასთან, ჰოსპიტლებსა და ლაზარეთებში ამ უკანასკნელებს შეუძლიათ ზემოაღნიშნულ მითითებებს იმ ფარგლებში გადაუსვიონ, რამდენადაც ეს ავადმყოფების მოთხოვნებითაა ნაკარნახევი. ამგვარად დადგენილ ფარგლებში დახმარების განაწილება ყოველთვის სამართლიანად უნდა ხორციელდებოდეს.

მუხლი 3

იმისთვის, რათა ინტერნირებული კომიტეტების წევრებს ჰქონდეთ მიღებული ტვირთის ხარისხისა და რაოდენობის შემოწმების და ამ საკითხზე შემომწირველებისათვის დეტალური მოხსენების შედგენის შესაძლებლობა, მათ საშუალება უნდა მიეცეთ გავიდნენ რკინიგზის სადგურებში ან ინტერნირების ადგილის მახლობლად მდებარე დახმარების ტვირთის მიღების პუნქტებში.

მუხლი 4

ინტერნირებული კომიტეტებს უნდა მიეცეს საჭირო შესაძლებლობა იმისათვის, რათა დარწმუნდნენ, რომ ინტერნირების ადგილის ყველა ქვედანაყოფსა და ფილიალში კოლექტიური დახმარების ტვირთის განაწილება მათი მითითებების შესაბამისად ხდება.

მუხლი 5

ინტერნირებული კომიტეტებს ნებას დართავენ შეავსონ შემომწირველებისათვის განკუთვნილი ბლანკები ან ანკეტები, რომელიც დახმარების კოლექტიურ ტვირთებს ეხება (განაწილება, მოთხოვნილებები, რაოდენობა, ა.შ.), აგრეთვე, დაავალონ ამგვარი ბლანკებისა და ანკეტების შევსება სამუშაო ჯგუფებში ინტერნირებული კომიტეტების წევრებს ან ლაზარეთებისა და ჰოსპიტლების მთავარ ექიმებს. სათანადოდ შევსებული ამგვარი ბლანკები და ანკეტები შემომწირველებს დაუყოვნებლივ უნდა გადაეცეთ.

მუხლი 6

იმისთვის, რათა უზრუნველყოფილი იყოს ინტერნირების ადგილზე ინტერნირებული შორის კოლექტიური დახმარების ტვირთის რეგულარული განაწილება და იმ მოთხოვნების დაკმაყოფილება, რომელიც ინტერნირებული ახალი კონტინგენტის ჩამოსვლასთან დაკავშირებით შეიძლება წარმოიშვას, ინტერნირებული კომიტეტებს უნდა მიეცეს საშუალება შექმნან და შეინახონ კოლექტიური დახმარების ტვირთის საკმარისი რაოდენობის მარაგი. ამ მიზნით, მათ შესაბამისი საწყობები უნდა გააჩნდეთ, თითოეული საწყობი ორ ბოქლომზე უნდა იკეტებოდეს, ამასთან ერთ-ერთის გასაღები ინტერნირებული კომიტეტს უნდა ჰქონდეს, ხოლო მეორე - ინტერნირების ადგილის უფროსს.

მუხლი 7

მაღალმა ხელშემკვრელმა მხარეებმა, კერძოდ კი დამკავებელმა სახელმწიფოებმა მაქსიმალურად შესაძლებლობების ფარგლებში, მოსახლეობის სურსათით მომარაგების მარეგულირებელი დებულებების

გათვალისწინებით, ნება უნდა დართონ მათ ტერიტორიებზე ინტერნირებულთა შორის დახმარების კოლექტიური ტვირთების განაწილების მიზნით განხორციელებულ ნებისმიერ შესყიდვას. ისინი ანალოგიურად ხელს შეუწყობენ ფულადი სახსრების გადაცემას და ტექნიკური ან ადმინისტრაციული ხასიათის სხვა იმ ფინანსური ღონისძიებების განხორციელებას, რომელთა მიზანია ამგვარი შესყიდვების განხორციელება.

მუხლი 8

ზემოაღნიშნული დებულებები ხელს არ უნდა უშლიდეს როგორც ინტერნირებულთა უფლებას, მიიღონ კოლექტიური დახმარების ტვირთი ინტერნირების ადგილზე ჩასვლამდე ან გადაყვანის დროს, ისე მფარველი სახელმწიფოს, წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის ან ინტერნირებულთათვის ჰუმანიტარული დახმარების აღმომჩენი ორგანიზაციის და ამგვარი ტვირთების განაწილებაზე პასუხისმგებელი სხვა ორგანიზაციის წარმომადგენლის შესაძლებლობას, უზრუნველყონ მიმღებებს შორის მათი განაწილება ნებისმიერი სხვა ხერხით, რომელსაც ისინი შესაფერისად ჩათვლიან.

ღანართი III

I – ბარათი ინტერნირების შესახებ

წინა ხელი

<p>ინტერნირებული სამოქალაქო პირების ფოსტა _____ უფასო</p> <p style="text-align: center;">საზ(ო)სტ(ო) ბარათი</p>	
<p style="text-align: center;">საყურადღებოდ</p> <p>ეს ბარათი თითოეულმა ინტერნირებულმა პირმა უნდა შეავსოს მისი ინტერნირების შემდეგ დაუყოვნებლივ, ასევე ყოველთვის, როდესაც ის სხვა ინტერნირების ადგილას გადავა ან საავადმყოფოში მოთავსების შედეგად შეიცვლის მისამართს.</p> <p>ამ ბარათს არავითარი კავშირი არა აქვს სპეციალურ ბარათთან, რომლის ოჯახთან გაგზავნის უფლებაც აქვს თითოეულ ინტერნირებულს.</p>	<p>მზარველობის ქვეშ მყოფ პირთა ცენტრალური სააბანტო</p> <p>წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი</p>

უკანა ხელი

<p>წერეთ გარკვევით და მთავრული ასოებით</p> <p>1. ეროვნება/მოქალაქეობა _____</p>		
2. გვარი	3. სახელი (სრულად)	4. მამის სახელი

5. დაბადების თარიღი	6. დაბადების ადგილი	
7. პროფესია		
8. მისამართი ინტერნირებამდე		
9. ოჯახის მისამართი		

<p>*10. ინტერნირებულია: (ან) მოემგზავრება (კოსპიტალი, ა.შ.) -დან</p>		
*11. ჯანმრთელობის მდგომარეობა		
12. ამჟამინდელი მისამართი:		
13. თარიღი	14. ხელმოწერა	
<p>* ზედმეტი ამოშალეთ - შენიშვნები არ დაამატოთ - განმარტება იხილეთ ბარათის მეორე მხარეს</p>		

(ინტერნირების შესახებ ბარათის ზომა - 10X15სმ.)

II. ღანართი III წერილი

ინტერნირებული სამოქალაქო
პირების ფოსტა

უფასო

ვის

ქუჩა, ბინის ნომერი

დანიშნულების ადგილი (მთავრული ასოებით)

მხარე ან რაიონი

ქვეყანა (მთავრული ასოებით)

საფლავიდან გადმავლენა

საბინაო ან საბინაო გადმავლენა

საფლავი ან საბინაო

საფლავი

(წერილის ზომა - 29X15სმ.)

